პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 18, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 242 (2285)

დ ღ ი უ რ ი

- — პროკურორის პროტესტით განახლდა ყალბი ჩერვონცების მკეთებელ სადათიერაშვილის და სხვ. საქმე.
- — სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო კონფერენციას ვაშინგტონში ესწრებიან საბჭ. კავშ. წარმომადგენლები.
- — სამხრეთ-უელსში (ინგლისი) მოელიან სერიოზულ მღელვარებას.
- — უმუშევართა რიცხვი ინგლისში 1.319.700 აღწევს.
- — რეპრესიები პროფკავშირების წევრ-კომუნისტების წინააღმდეგ გერმანიაში.
- — ოფიციალური ცნობებით გერმანიაში 600.000 უმუშევარია.
- — კელნში დაიხურა ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენა.

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა
ცაკის მე-IV სესია მოწვეულია თბილისში

სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის
29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე
დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა.

2) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხსენებელი ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახკომისარი მ. დ. ჰუსეინოვი; თანამომხსენებელი ამ.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ნაზარეტიანი.

3) საბჭოების გადარჩევის შესახებ 1928—29 წ.—მომხსენებელი ამხ. ი. ტაგიევი.

4) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (მე-4 მოწვევის) პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესიებს შორის მიღებული დადგენილებების შესახებ—მომხსენებელი ამხ. ა. შავერდოვი.

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

კლასობრივი ბრძოლა პოლონეთში

15 ოქტომბერს ლოძში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. მებრძოლ ფეიქართა ას ათასიან კლასობრივ არმიას სოლიდარობის ნიშნად შეუერთდნენ დანარჩენ დარგების მუშები. გაფიცვა მოედვა აგრეთვე ლოძის ახლო-მახლო მდებარე სამრეწველო რაიონებს. ამავე დროს ლოძის პროფკავშირების საბჭომ მიმართა პოლონეთის პროფკავშირების ცენტრალურ კომისიას წინადადებით, რათა გაფიცვა გამოცხადებულ იქნას მთელ პოლონეთში. ასეთივე წინადადებას აყენებენ ვარშავის და სხვა ქალაქების მთელი რიგი პროფკავშირები. ამგვარად, კლასობრივი ბრძოლა პოლონეთში ფართოვდება და ემუქრება როგორც კაპიტალისტების ბატონობას, ისე ფაშისტურ ხელისუფლების არსებობას.

თეთრმა ტერორმა, რომელიც მძვინვარებს პილსუდსკის პოლონეთში, ვერ შესძლო მუშათა კლასის გატეხა. ფაშისტურმა მთავრობამ ეს ვერ მოახერხა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დახმარებითაც, რომელიც მასთან ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედობს რევოლიუციონურ მოძრაობასა და კომუნისტებთან ბრძოლაში. პირიქით, ფაშისტების და სოციალ-გამცემლების ამ გაერთიანებულმა იერიშებმა გამოიწვიეს პოლონეთის პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების ზრდა და მისი რევოლიუციონური ნებისყოფის განმტკიცება. სეიმის უკანასკნელი არჩევნები, როცა სამრეწველო ცენტრების მუშების უდიდესმა უმრავლესობამ კომპარტიას მისცა ხმა, და ეხლანდელი გაფიცვები, რომლებიც კომუნისტების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, ამ მხრივ მეტად საგულისხმოა.

რომ პოლონეთის მუშათა კლასი მარცხნივ იხრება და კომპარტიის დროშის ირგვლივ იყრის თავს, ეს უდავო ფაქტია. ესაა პასუხი მთავრობის, მრეწველების და „სოციალისტების" მთლიანი ფრონტით შემოტევაზე მის წინააღმდეგ. კაპიტალისტები, მთავრობის მხრით ზურგ გამაგრებულნი, წარმოების რაციონალიზაციას ატარებენ მუშათა უკიდურესი შევიწროების და ექსპლოატაციის გზით. 10-12 საათის და ხშირად მეტი ხანგრძლივობის სამუშაო დღე, წელმოუწყვეტი მუშაობა, უუფლებობა, მცირე ხელფასი, მაშინ როცა ცხოვრება ძვირდება, — ასეთია პოლონელ მუშების ხვედრი. ლოძის ფეიქრების მდგომარეობა მაინც განსაკუთრებით მძიმეა.

ლოძის ფეიქრები დიდი ხანია იბრძვიან თავის არსებობის და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის. კომპარტია მათ დასარაზმავად იმ თავიდანვე ენერგიულ მუშაობას ეწევა. მაგრამ რეფორმისტულ და ე. წ. ქრისტიანულ პროფკავშირების სისტემატიური გამცემლობის გამო მუშები დღემდე ვერ აღწევენ ცოტად თუ ბევრად საგრძნობ შედეგებს. საკმარისია აქ დავასახელოთ ამ გამცემლობის ორი ფაქტი. როცა ა. წ. მაისში ლოძის ფეიქრებმა კომორგანიზაციის ხელმძღვანელობით უარი სთქვეს არსებულ საარბიტრაჟო ხელშეკრულების განახლებაზე და მოითხოვეს ხელფასის 25 პროცენტით გადიდება, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვა და დაადგინეს გაფიცვის გამოცხადება, თუ ეს მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, — რეფორმისტებმა, მოსალოდნელი გაფიცვის აცილების მიზნით, ჩუმად, მუშების ზურგს უკან მრეწველებთან დასდვეს ახალი ხელშეკრულება, რომელიც ხელფასის მომატებას მხოლოდ 6 პროცენტით ითვალისწინებდა და რომელიც სხვა მოთხოვნებს სავსებით უვლიდა გვერდს. შემდეგ: სექტემბრის მეორე ნახევრიდან იწყება ლოძელ ფეიქრების ახალი ამოძრავება, რომლის უშუალო საბაბად შეიქნა მრეწველების მიერ ჯარიმების და მუშათა სხვა დამმონებელ წესების შემოღება. წინააღმდეგ გამცემლების მეცადინეობისა, დაიწყო გაფიცვები, რომლებისათვის კომპარტიას წინასწარი მუშაობით ნიადაგი ჰქონდა მომზადებული. მთავრობას შეეშინდა ბრძოლის გაფართოვების და ის იძულებული გახდა ჯარიმები გაეუქმებინა. ამით ისარგებლეს რეფორმისტებმა და გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადეს.

მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. თუმცა გაფიცვა შეწყდა, მაგრამ მუშებმა მრეწველებს წარუდგინეს ხელფასის მომატების და სხვა ხასიათის მოთხოვნები, რომელთა უარყოფას კვლავ მოყვა გაფიცვები, რომლებიც ამჟამად უკვე გრანდიოზული მასშტაბით იშლებიან.

როგორია „სოციალისტების" პოზიცია ამ უდიდეს ბრძოლაში? როგორც ვიცით, პოლონეთის „სოციალისტური" პარტია ღრმა შინაგან კრიზისს განიცდის. მისი მემარჯვენე ფრთა აშკარად გადავიდა ფაშისტების, პილსუდსკელების მხარეზე. მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი ჯერ კიდევ თამაშობს „ოპოზიციობით". ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ის არსებითად წინააღმდეგი იყოს ფაშისტური რეჟიმის, პირიქით, იგი მზად არის ერთგულად ემსახუროს პილსუდსკის. დღემდეც პოლონეთის „სოციალისტური" პარტია მასთან თანამშრომლობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ზოგიერთ წრეების მიერ პოლონეთის დიქტატურის პოლიტიკის უხერხემლო, თვალთმაქცურ და მასების მოსატყუებლად წარმოებულ „კრიტიკას". მაგრამ ამ პარტიას, რომლის გავლენა მუშათა კლასზე ისედაც ძალზე შერყეულია, სავსებით შემოეცლებიან ის კლასობრივი შეგნებით ჩამორჩენილი მუშებიც, რომლებიც ჯერ კიდევ მისდევენ მას, თუ იგი საჯაროდ და პირდაპირ გადაბარგდება პილსუდსკელების ბანაკში. ამით აიხსნება, რომ პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიის ხელმძღვანელები „ილაშქრებენ" მემარჯვენეთა წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ პოლონეთის „სოციალისტური" პარტია „გააგრძელებს ბრძოლას სოციალიზმისათვის" (!). ასეთი ბრძოლის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, ხოლო ცნობილია ამ პარტიის სისტემატიური გამცემლობა მუშათა კლასისა და დაუნდობელი ბრძოლა სოციალისტურ მოძრაობის ყოველგვარ გამოხატულებასთან.

პოლონელ რეფორმისტების მოღალატეობას კარგად ახასიათებს მათი დამოკიდებულებაც ეხლანდელ გაფიცვასთან. მუშების აღშფოთების შიშით ისინი ეხლა იძულებული არიან გაფიცულთ კუდში მისდიონ, მაგრამ ამავე დროს ყოველი ხრიკით ცდილობენ გაფიცვის ჩაფუშვას. მაგ., საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე „სოციალისტურ" პარტიის წარმომადგენელი, იმედს გამოსთქვამს, რომ საქმეში მთავრობა ჩაერევა და გაფიცვის „სახიფათო" შედეგები აცილებული იქნება. ცხადია, მას აფრთხობს რევოლიუციურ ბრძოლის გაშლის ლანდი. პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს (კომისიას), რომელიც რეფორმისტებისაგან შესდგება, „არ სცალია" გაფიცვის საკითხის სასწრაფოდ განხილვისათვის. „სოციალისტურ" პარტიის ორგანო „რაბოტნიკ" გაურბის ლოძის ამბების გაშუქებას.

რა მდგომარეობა შეიძლება შეიქნეს ლოძის გაფიცვასთან დაკავშირებით? მთავრობა ერთი მხრივ ლოძში თავს უყრის ჯარსა და პოლიციას, მაგრამ ამავე დროს მას ეშინია გაფიცვის ხიშტებით ჩაშლის ცდის: მოსალოდნელია, რომ ამას ფაშისტურ ხელისუფლებისათვის არასასიამოვნო შედეგები მოყვება, ე. ი. საფიქრებელია, რომ ასეთი ზომა მუშათა კლასის რევოლიუციონურ აჯანყებას გამოიწვევს, რაც მრისხანე მუქარას შექმნის ფაშისტურ მთავრობის არსებობისათვის. აქედან— არ იქნება გასაკვირი, თუ მთავრობა მრეწველთ წინადადებას მისცემს ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ მუშების მიმართ. ამ ნაბიჯის მიზანი იქნება ხსენებულ საფრთხის აცილება და ამავე დროს ფართო მოსახლეობაში „სიმპატიის" დამსახურება: თავის მხრივ ეს გარემოება „სოციალისტებს" გაუადვილებს პილსუდსკისთან თანამშრომლობას. ისინი, ამასთან, მთავრობის ასეთ ჩარევას გაფიცვაში მიაწერენ თავის დამსახურებას, რომ თავისი მდგომარეობა განამტკიცონ მუშათა კლასში.

კომპარტია, რა თქმა უნდა, გააძლიერებს მუშაობას კლასობრივი ბრძოლის გასაფართოვებლად. ეხლანდელი გაფიცვები უკვე დიდი მიღწევაა, რომელიც კომპარტიის გავლენის ზრდას მოწმობს. ამ გარემოებას ის გამოიყენებს როგორც მიმდინარე გაფიცვების უშუალო მიზნების, ისე პროლეტარიატის საბოლოო მიზნების განსახორციელებლად.

ამერიკა-საბჭ. კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება

50 მილიონი მანეთის კრედიტი საბჭ. კავშირს ელექტრო-მოწყობილობის შესაძენად

ამერიკის ელექტრონული კომპანია უარს ამბობს კომპენსაციაზე საბჭ. კავშირში ჩამორთმეულ ქონებისათვის

პოლონეთის ნაციონალური პარტია მოითხოვს კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭ. კავშირთან

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი „ამტორგ"-მა ელექტრონის საერთაშორისო გენერალურ კომპანიასთან დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ხსენებულმა კომპანიამ უნდა მიაწოდოს „ამტორგ"-ს 26 მილიონი დოლარის ელექტრონის მოწყობილება. ხელშეკრულების ძალით, „ამტორგ"-ს ეძლევა კრედიტი მთელი შესყიდული მოწყობილების ღირებულების 75 პროცენტის რაოდენობით, 5 წლის ვადით. ასეთი გრძელვადიანი კრედიტი საბჭოთა ორგანიზაციას პირველად ეძლევა ამერიკაში. როგორც ელექტრონის საერთაშორისო გენერალური კომპანია იუწყება, მოლაპარაკება მომხდარა სახელმწიფო დეპარტამენტის დასტურის გარეშე. ამასთან კომპანია იუწყება, რომ ამ ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ის გაუქმებულად ჩასთვლის ყველა თავის პრეტენზიას ძველი რუსეთის ქონების მიმართ. (ადს).

პოლონეთის ნაციონალური პარტია მოითხოვს
კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას საბჭ. კავშირთან

ვარშავა, 16 ოქტომბერი. გაზეთი „ვარშავსკა" აქვეყნებს „ნაციონალური პარტიის" პროგრამას, რომელიც მიღებულ იქნა ამ პარტიის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე 7 ოქტომბერს. ეს პარტია იგივე ნაციონალ - დემოკრატების პარტიაა, რომელმაც სახელწოდება გამოიცვალა. პროგრამის იმ მუხლში, რომელიც ეხება პოლონეთის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, ნათქვამია:

„პოლონეთის დამოკიდებულების გამწვავება საბჭოთა კავშირთან არ არის ხელსაყრელი პოლონეთის სახელმწიფოს ინტერესებისათვის. პოლონეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ მიზნად უნდა ისახავდეს, მშვიდობიან კეთილმეზობლურ ურთიერთობის შექმნას. პოლონეთი არ ერევა რუსეთის სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. თავის მხრივ რუსეთმაც მტკიცედ უნდა დაიცვას პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. რუსეთმა ხელი უნდა აიღოს პროპაგანდაზე პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და პოლონეთში რაიმე პარტიების და საიდუმლო ორგანიზაციების შექმნაზე".

პროგრამის იმ მუხლში, რომელიც შეეხება პოლონეთის პოლიტიკას ბალტიის განაპირა სახელმწიფოების მიმართ, ნათქვამია, რომ **საჭიროა დაახლოვება ამ სახელმწიფოებთან, მაგრამ ყოველგვარი აგრესიული მიზნების გარეშე საბჭოთა კავშირის მიმართ.** (ადს).

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

პარიზი, 16 ოქტომბერი. „ტან"-ი მოწინავე წერილში ეხება პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობას. გაზეთი სასურველად სთვლის გერმანია-პოლონეთის [illegible]

„მართალია, პოლონეთი უშუალო მონაწილეობას არ იღებს მოლაპარაკებაში რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პოლონეთის უშიშროება საგრძნობლად დამოკიდებულია უშიშროებისაგან რეინზე. პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესება უშუალო ამოცანაა, რომლის(ც) დემოკრატიული [illegible] უკანასკნელს ნამდვილად სურს გაატაროს შეთანხმებისა და დაახლოვების პოლიტიკა ლოკარნოს პრინციპების მიხედვით". (ადს).

რაზე თათბირობდა პილსუდსკი ბუქარესტში

ბერლინი, 16 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ბუქარესტელი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს „ადევერულ"-ის ცნობას იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც პილსუდსკი ბუქარესტში აწარმოებდა. „ადევერულ"-ის სიტყვით, პილსუდსკიმ მართლაც აღძრა საკითხი რუმინეთ-უნგრეთის დაახლოვების შესახებ. პილსუდსკი ხელმძღვანელობდა იმ აზრით, რომ რუმინეთმა, ისევე, როგორც პოლონეთმაც, უნდა უზრუნველ ჰყოს თავისი ზურგი იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი მოხდება საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა კავშირის არსებობა პილსუდსკის საფრთხედ მიაჩნია ორივე ქვეყნისათვის, თუ ახლა არა, მომავალში მაინც. ეს საფრთხე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ის, რომელსაც ჰქმნიან პოლონეთსა და უნგრეთს შორის არსებული გადაუჭრელი საკითხები.

პილსუდსკი ენერგიულად იცავდა გერმანიასთან დაახლოვების საჭიროებას. მან იმედი გამოსთქვა, რომ ამ აზრს დიდი გასავალი ექნება პოლონელი ხალხის ყველა წრეში (ადს).

კანტონალური არჩევნები საფრანგეთში
კომპარტიამ შეინარჩუნა თავისი პოზიციები

პარიზი, 16 ოქტომბერი „ლიუმანიტე" ჯამს უკეთებს კანტონალურ არჩევნების წინასწარ შედეგებს და აღნიშნავს, რომ კომპარტიამ შეინარჩუნა პოზიციები იმ ოლქებში, სადაც წამოაყენა თავისი კანდიდატები, კერძოთ — სამრეწველო რაიონებში. როგორც საფრანგეთის კომპარტიის სამდივნოს ცნობიდან სჩანს, მეორე კენჭის ყრის დროს პარტია სტოვებს ყველა თავის კანდიდატს ბურჟუაზიული და სოციალისტური კანდიდატების წინააღმდეგ (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირების მოთხოვნა

ოსლო, 16 ოქტომბერი. მიუხედავად პროფკავშირთა რეფორმისტ ლიდერების წინააღმდეგობისა, პროფკავშირთა მრავალმა ადგილობრივმა უდიდესმა გაერთიანებამ მოსთხოვა პროფკავშირთა სრულიად ნორვეგიის გაერთიანებას, რომ ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ დასდოს ხელშეკრულება ფინეთის გაერთიანებასთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან. ასეთი მოთხოვნები წარადგინეს, სხვათა შორის, ოსლოს, ბერგენის, ტრონდჰეიმის, სლეინსტადის და სხვა ქალაქების პროფკავშირთა ადგილობრივმა გაერთიანებებმა. დიდი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ ასეთივე რეზოლიუცია მიიღო ფრედრიკსტადის პროფკავშირთა გაერთიანებამ, რომლის მუშაკთა შორის დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ. (ადს).

სამოქალაქო ავიაციის კონფერენცია

ვაშინგტონი, 16 ოქტომბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს ვაშინგტონში შესდგება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრებიან საბჭოთა კავშირის კერძო და ნებაყოფლობითი საავიაციო ორგანიზაციების წარმომადგენელნი. კონფერენცია მოწვეული იქნება ვაჭრობის სამინისტროს მიერ და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ არაოფიციალურად (ადს).

კაფარჯიევი არ იქნება გაცემული

ვენა, 16 ოქტომბერი. ვენის საოლქო სასამართლომ უარჰყო უნგრეთის ხელისუფლების მოთხოვნილება ბულგარეთის პოლიტიკური ემიგრანტის კაფარჯიევის გაცემის შესახებ, რადგანაც უკანასკნელის დამცველებმა დაამტკიცეს, რომ კაფარჯიევს საერთო არაფერი აქვს სისხლის სამართლის დამნაშავე ივანე კოსტოვთან, რომელსაც ეძებს უნგრეთის ხელისუფლება.

შენიშვნა: ავსტრიის ხელისუფლებამ დააპატიმრა ბულგარეთის რევოლიუციონერი კაფარჯიევი, რომელიც არალეგალურად გადავიდა ავსტრიის საზღვარს ივანე კოსტოვის სახელზე გაცემული ყალბი პასპორტით. უნგრეთის ხელისუფლებამ მოითხოვა ცრუ ივანე კოსტოვის გაცემა იმ საფუძველზე, რომ ივანე კოსტოვმა რამდენიმე წლის წინად უნგრეთში სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

ხორენის საქმის გამოძიება

პარიზი, 16 ოქტომბერი. მინისტრ[illegible]ხადა, რომ დამთავრდა ხორენის მიერ ორი დოკუმენტის მიღების საქმის გამოძიება. დოკუმენტები ეხებოდნენ [illegible] საქმე გადაეცა იუსტიციის სამინისტროს. (ადს).

ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენის დახურვა

ბერლინი, 16 ოქტომბერი. კელნში დაიხურა ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენა. გამოფენა ხუთი თვის განმავლობაში დაათვალიერა 5 მილიონმა კაცმა (ადს).

სადათიერაშვილის და სხვ. საქმე განაახლეს

ბერლინი, 16 ოქტომბერი. პროკურატურის საჩივრის გამო, გაუქმდა ბერლინის სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც ხსენებულმა სასამართლომ თავის დროზე მოსპო ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა (ემიგრანტი სადათიერაშვილი და სხვ.) საქმე, თანახმად გამოცხადებული ამნისტიისა. ბერლინის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ყალბი ჩერვონცების დამზადება **არაა პოლიტიკური დანაშაული და რომ დამნაშავეთა მიმართ ამნისტიის შეფარდება სწორი არ არის.** საქმე განახლდება. მთავარი ბრალდებულნი, რომელნიც პროკურატურის პროტესტის მიუხედავად, პოლიცეი-პრეზიდენტმა გაანთავისუფლა, მიუნჰენში წავიდნენ. (ადს).

მძიმე ინდუსტრიის განვითარება

სამეურნეო მშენებლობის დარგში პარტიას გენერალურ ხაზს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შეუფერხებელი განხორციელება. ხოლო ინდუსტრიალიზაციის „ხერხემალი" მძიმე მრეწველობაა, წარმოებას საშუალებათა საკუთარი ძალებით შექმნის გაფართოება და განვითარება. მძიმე ინდუსტრიის განვითარებასთან ორგანიულად არის დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის ყველა ძირითადი საკითხი. ლენინმა არა ერთხელ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის,—როგორც დამოუკიდებელი, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის,—ბედ-იღბალი დამოკიდებულია მძლავრი მძიმე ინდუსტრიის ორგანიზაციასა და განვითარებაზე. „მძიმე ინდუსტრია სოციალიზმის მთავარი საფუძველია",—ამას სწერდა ლენინი სრულიად რუსეთის პროფკავშირების მე-5 ყრილობას 1922 წლის დამლევს.

პრაქტიკული მშენებლობის ყოველდღიური გაკვეთილების დროს ჩვენ ვგრძნობთ სოციალიზმის ბედ-იღბალის განმსაზღვრელ მძიმე ინდუსტრიის, „სოციალიზმის მთავარი საფუძვლის" მნიშვნელობას. ყოველდღიური მშენებლობა ნათლად გვაგრძნობინებს, რომ საჭიროა უდიდესი ძალ-ღონის დახარჯვა და ყოველგვარი საშუალების ხმარება საკუთარი მძიმე ინდუსტრიის აღორძინებლად.

ჩვენ მუდამ დღე გვაწუხებს საქონლის სიმცირე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტის ნაკლებობა. მაგრამ ადამიანს მეტად ზერელე ობივატელური წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საქონლის სიმცირის შესახებ, რომ დაასკვნას, ვითომც აქ მხოლოდ მოხმარების საშუალებათა ნაკლებობა მოქმედებს. ეს შედეგებია. საქონლის სიმცირის საფუძველი გაცილებით უფრო რთულია. საქმის თავი და ბოლო ის არის, რომ მარტო მოხმარების საშუალებათა ნაკლებობას კი არ განვიცდით, არამედ წარმოების საშუალებათა ნაკლებობასაც. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ მძიმე ინდუსტრიის სუსტ განვითარებას. ლითონის სიმცირე,—აი რა ახასიათებს ახლანდელი პერიოდის მთელ სამეურნეო ვითარებას. მთლად ვერ კმაყოფილდება არა მარტო სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის საჭიროება, ვერ კმაყოფილდება აგრეთვე თვით მრეწველობის მოთხოვნილება, ვერ კმაყოფილდება სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება მანქანაზე და საერთოდ წარმოების იარაღზე. ჩვენ აშკარად გვაკლია რკინა, მანქანები, მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა.

ამიტომ, ის გარემოება, რომ მძიმე ინდუსტრია ვერ აკმაყოფილებს მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ამას ნათლად ადასტურებს მძიმე ინდუსტრიის აღდგენის სურათი: 1927—1928 წელს ამოღებული რკინა მხოლოდ 62,9 პროცენტს შეადგენს 1913 წელს ამოღებულ რკინასთან შედარებით, შავი ქვა—მხოლოდ 34,3 პროცენტს, თუჯის წარმოება—79,1 პროცენტს, ახლაც, 1928—29 წელს, ამ საგნების წარმოება ჯერ კიდევ ვერ აღწევს ომის წინადროინდელ დონეს.

სწორედ მძიმე ინდუსტრია, კერძოდ და უმთავრესად ლითონის მრეწველობა, წარმოადგენს იმ მუხრუჭს, რომელიც ჰბორკავს ჩვენს მოძრაობას და აფერხებს მთელი მეურნეობის განვითარებას.

მაჩვენებელია თუ არა ეს იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობა შეიძლება უკანა რიგზე დავაყენოთ? რომ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მსუბუქი მრეწველობის ყოველმხრივი განვითარების ინტერესებს? რომ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ მუშებისა და გლეხების სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანები?

არავითარ შემთხვევაში. მსუბუქ ინდუსტრიას შეუსვენებლად ანვითარებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენს ინდუსტრიალიზაციას ახასიათებს მშრომელთა მასების კეთილდღეობის შეუჩერებელი ზრდა. ამას ყველა საბუთი ადასტურებს. მაგრამ პარტია მთლიანად ითვალისწინებს იმ პირობებს, რომლებიც შეხამებლად ხდიან მსუბუქი ინდუსტრიის, ბამბის, სელის, ტყავეულების წარმოების ხანგრძლივ განვითარებას და სხვ. ხოლო მსუბუქი ინდუსტრიის შემდგომი სწრაფი განვითარება მოხერხდება მძიმე ინდუსტრიის, ლითონების საშუალებით.

ამჟამად მსუბუქი ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას წარმოადგენს ნედლეულის არსებული რაოდენობა, ნედლეულის პრობლემა კი დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ეკონომიურ წყობილებაზე, გლეხის მცირე და უმცირესი მეურნეობის წყობილებაზე, რომელიც ცოტა საქონელს იძლევა და ეს აუცილებელიც არის. ამ წყობილების შეცვლა, საქონლის რაოდენობის ზრდა, სოციალისტური მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულით შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ გაძლიერდეს გლეხის ინდივიდუალური მეურნეობა და ეს მცირე და უმცირესი მეურნეობა გარდაიქმნას მსხვილ მექანიზაციაქმნილ მეურნეობად. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია კი მოითხოვს მძიმე ინდუსტრიის სწრაფად გარდამქმნელ ზრდას, ლითონების წარმოების გაძლიერებას, განსაკუთრებით მანქანათ მშენებლობის ზრდის გაძლიერებას.

მსუბუქი ინდუსტრია მეორეს მხრითაც არის დამოკიდებული მძიმე ინდუსტრიაზე—მოწყობილების მხრით. წარმოების თვალსაჩინო ზრდა, თვითღირებულების საგრძნობლად შემცირება, ხელფასის გადიდება, მუშათა და გლეხთა მატერიალური დონის ამაღლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მსუბუქი ინდუსტრიის ტეხნიკურ რეკონსტრუქციას მოვახდენთ. ეს კიდევ ცოტაა. არსებითად ყალბია ის შეხედულება, ვითომც მხოლოდ მსუბუქი ინდუსტრია წარმოადგენდეს შემაკავშირებელ დარგს. შემაკავშირებელია ლითონის მრეწველობაც. მძიმე მრეწველობის ხაზით მყარდება სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო კავშირი. სწორედ წარმოების ხაზით დამყარებული კავშირი მოიპოვებს უფრო და უფრო მეტს მნიშვნელობას. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი ინდუსტრიალიზაცია, მკვიდრი ზრდა, სოფლის მეურნეობის განსაზოგადოება ნაკლებად სწარმოებს და ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მძიმე ინდუსტრიაში.

ახლანდელ მდგომარეობას ის ახასიათებს, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო მოთხოვნილებას ნაკლებად აკმაყოფილებს მრეწველობა. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სხვა იარაღის დიდი ნაკლებობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამიტომ საარსებო ამოცანას წარმოადგენს ის, რომ მრეწველობამ უფრო მეტად დააკმაყოფილოს სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტეხნიკური საჭიროებანი.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორედ მძიმე მრეწველობას — ლითონს, ქვანახშირს და სხვ., როგორც მსუბუქი ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების, ქსოვილისა და ფეხსაცმელის საჭიროების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ისე სოფლის მეურნეობის შემდგომი გაძლიერების თვალსაზრისით. „ყველა გზა რომში მიდის". ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს ის, რომ სოციალისტური მძიმე ინდუსტრია საკმაოდ განვითარებული არ არის. შეუსვენებელი ბრძოლა მძიმე ინდუსტრიისათვის, თვალსაჩინო თანხების დაბანდება მასში, ამ თანხების ყოველწლიურად გადიდება, ეფექტივობა და სხვა—ჩვენი უდმივი ზრუნვის საგანია.

ამიტომ პარტია უარჰყოფს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც შეანელებს მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, რომელიც მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებას ვარაუდობს მას ხარჯზე და სხვა. შეუძლებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ ინდუსტრიალიზაციის საქმეში „გადავაჭარბეთ", რომ ინდუსტრიალიზაციაზე აღებული გეზი სერიოზულ შესწორებას მოითხოვს, რომ სოფლის მეურნეობის „დაქვეითების" გამო სერიოზულად უნდა შევცვალოთ თანხების განაწილება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის და სხვა.

ასეთი სულიერი განწყობილება, რომელსაც ადგილს უწყობენ დღევანდელი დღის სამეურნეო სიძნელენი, გზას იკვლევს საბჭოთა აპარატში და ერთგვარ გამოხმაურებას პოულობს ჩვენი პარტიის ზოგიერთ ელემენტთა შორის. მაგრამ ასეთი სულიერი განწყობილება მხოლოდ კაპიტულაციას ნიშნავს იმ სიძნელეთაგან, რომლებიც განვითარების დღევანდელ საფეხურზე აუცილებელია, რომლებიც შეუძლებელია მოვერიდოთ. ასეთი სულიერი განწყობილება და „შესწორებანი" მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გადათვალიერებულ იქნას პარტიის გეზი ინდუსტრიალიზაციაზე.

უკანასკნელ ხანებში ეკონომიური პრესის ფურცლები აჭრელებულია წერილებით „თუჯის სიმცირის შესახებ". მოყვანილია შავი ლითონების თვალსაჩინო დეფიციტის მაჩვენებლი ციფრები 1928—29 წლისათვის. ეს დეფიციტი მთელი მოთხოვნილების 20 პროცენტს კი აჭარბებს. აშკარა, დისპროპორცია არსებობს შავი ლითონების წარმოებასა და მანქანათა მშენებლობას შორის. მით უმეტეს, რომ მანქანათა მშენებლობა განვლილ წელს [illegible] პროცენტით გაიზარდა, ამ დეფიციტის მოსპობად ყოველგვარი ზომებია მიღებული როგორც იმ მხრით, რომ ლითონების წარმოება გაძლიერდეს, ისე იმ მხრით, რომ ლითონები უფრო მეტი ეკონომიით გამოვიყენოთ, თავი მოვუყაროთ არსებულ რკინის ნატეხებს და სხვ. რკინის ნატეხების თავის ყრა ფართო საზოგადოებრივი კამპანიის სახეს იღებს. თუჯის სიმცირის შენელების ერთ-ერთ საშუალებად დასახელებულ და განხილულ იქნა უცხოეთიდან თუჯის შემოტანაც კი. მარტო ეს ერთი ფაქტი გვიჩვენებს, რა მწვავედ სდგას ლითონის საკითხი მთელი ჩვენი მეურნეობისთვის. მარტო ეს ერთი ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა ფასი აქვს იმ კაპიტულიანტურ წინადადებებს, რომელნიც მძიმე ინდუსტრიის განვითარების შენელებას მოითხოვენ. ეს გზა არ არის ის გზა, რომელიც შეანელებს და ბოლოს მოუღებს დისპროპორციას ბაზარზე; პირიქით, იგი უფრო გაამწვავებს ამ დისპროპორციას.

შავი ლითონის წარმოება ერთი უმნიშვნელოვანესი დარგთაგანია საბჭოთა ეკონომიკაში. ხომ არ უნდა გამოვიყვანოთ აქედან ის დასკვნა, რომ იმ შეუსაბამობის მოსასპობად, რომელსაც ადგილი აქვს შავი ლითონის წარმოებასა და მანქანათმშენებლობას შორის, უნდა დავადგეთ მანქანათმშენებლობის შენელების გზას? ჩვენ ამავე დროს განვიცდით საშენებელი მასალის ნაკლებობას და სხვა გაჭირვებას. ყოველივე ეს მოასწავებს თუ არა იმას, რომ ინდუსტრიალიზაციის ტემპი პასიურად უნდა შევუგუოთ ჩვენი ეკონომიკის სხვა საჭიროებას? რასაკვირველია, არა. ჩვენ არ შეგვიძლია და ვერც დავადგებით მანქანათმშენებლობის შეზღუდვის გზას. ჩვენ არ შეგვიძლია და ვერც დავადგებით იმ გზას, რომლის მიხედვითაც ხელი უნდა ავიღოთ კაპიტალურ სამუშაოთა დიდ გეგმებზე. ჩვენი გზა ჩვენი ეკონომიკის ვიწრო ადგილების აქტიური დაძლევის გზაა. მთელი ძალღონე და სახსარი უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავაძლიეროთ ჩამორჩენილი დარგები, რომ ნამდვილად უზრუნველვყოთ „ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი, რასაც პროლეტარულ სახელმწიფოს უკარნახებს მთელი საერთაშორისო და შინაური ვითარება" (ც. კ-ის აპრილის პლენუმის დადგენილებიდან). 1928-29 წლის საკონტროლო ციფრებმა სავსებით უნდა უზრუნველჰყონ საწარმოო საშუალებათა წარმოების ზრდა და მისი ხვედრითი წონის გადიდება ჩვენს ეკონომიკაში.

მთელი ჩვენი ძალღონით ვიბრძოლებთ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის. რასაკვირველია, ჩვენი პარტია უარჰყოფს ყოველგვარ ზეინდუსტრიალურ სისულელეს: ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს იგი ახორციელებს მხოლოდ სოფლის მეურნეობის ზრდის საფუძველზე, შინაური ბაზრის განვითარების საფუძველზე. ეს აზრი მკაფიოდ არის გამოთქმული ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებაში.

პარტია სავსებით ითვალისწინებს, რომ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი დაკავშირებულია თვალსაჩინო სიძნელეებთან. მაგრამ პარტიას სიძნელეებისა არ ეშინია. ის გადაჭრით ჰგმობს იმ სულიერ განწყობილებას, რომელსაც ამ სიძნელეთა ზედგავლენით სურს მცირეოდენად „შეასწოროს" ჩვენი გეზი ინდუსტრიალიზაციაზე. ასეთ „შესწორებას" ჩვენ უკუვაგდებთ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელსაც მთელი თავისი ძალღონით ახორციელებს პროლეტარული სახელმწიფო, ერთად-ერთი სწორი გზაა, რათა ნამდვილად აღმოიფხვრას დისპროპორცია, გაიზარდოს ქვეყნის სამეურნეო ძლიერება, განმტკიცდეს მისი თავდაცვის შემძლებლობა და უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა კაპიტალისტური მსოფლიოსაგან.

„პრავდა", 17 ოქტომბერი.

ლოძის ფეიქრები მედგრად იბრძვიან
სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 17 ოქტომბერი. საყოველთაო გაფიცვა ლოძში ბრწყინვალედ მიმდინარეობს. გაფიცულნი ზედმიწევნით იცავენ დისციპლინას. სტრეიკბრეხერობის შემთხვევები იშვიათია. გაფიცვა დღითი-დღე ფართოვდება. გუშინ გაიფიცნენ კანალიზაციის და ძაფის განყოფილების მუშები.

პოლონეთის სოციალისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს გაფიცვის რაც შეიძლება სწრაფი ლიკვიდაციისათვის. გუშინ იმ პროფკავშირების საოლქო კომისიის სადგომის წინ, რომლებსაც ხელმძღვანელობს პოლონეთის სოციალ. პარტია, შეგროვდნენ დიდძალი მუშები. მუშები მოითხოვდნენ, რომ საოლქო კომისიას დემონსტრ. მოეწყო ქუჩაში. მუშათა დელეგაცია შეიჭრა კომისიის სადგომში სადაც ფეიქართა პროფკავშირის თავმჯდომარეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატს შჩერბაკოვსკის მოსთხოვა მეთაურობა გაეწია დემონსტრაციისათვის. შჩერბაკოვსკიმ უარი განაცხადა მუშათა წინადადებაზე. აღშფოთებულნი მუშები თავს დაესხნენ მას და პოლონეთის სოციალისტური პარტიის რამდენიმე წევრს, რომელნიც იქვე იმყოფებოდნენ, უკანასკნელთათვის დასახმარებლად დაუყოვნებლივ გამოცხადდა პოლიციის რაზმი, რომელმაც ხიშტებით მიიტანა იერიში მუშების წინააღმდეგ. ამ შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი მუშა, ორი მძიმედ დაჭრილი; რამდენიმე ათეული მუშა კონდახებითაა ნაცემი. ეხლა სრულიად ნათელია, რომ გაფიცვის ხელმძღვანელობა კომუნისტების ხელშია.

ყვითელმა „მუშათა ნაციონალურმა პარტიამ" მიტინგი მოაწყო გუშინ თავის სადგომში. მიტინგზე მოვიდა კომუნისტური დეპუტატი ბიტნერი, მიტინგის ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ გადავიდა ბიტნერის ხელში, რასაც აუდიტორია სიხარულით შეეგება. მუშათა ნაციონალური პარტიის პრეზიდიუმი იძულებული შეიქნა დაეტოვებია საკუთარი სადგომი. მათ გამოიძახეს პოლიცია, რომელიც შეეცადა მიტინგის გაფანტვას. მაგრამ მუშებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. მხოლოდ იარაღით შესძლო პოლიციამ მუშების გაძევება სადგომიდან. მუშათა შორის ბევრია დაჭრილი და ნაცემი. დააპატიმრეს რამდენიმე მუშა.

გუშინვე კომუნისტების ხელმძღვანელობით გაიმართა მიტინგი საპატიმროსთან, სადაც იტანჯებიან პოლიტიკური პატიმრები. სასტიკი შეტაკების შემდეგ პოლიციამ ძლივობით გაჰფანტა დემონსტრანტები. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი. დააპატიმრეს 20 კომუნისტი მუშა.

დღეს დილით ლოძის ერთ-ერთ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი როსაკი. მიტინგზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა პოლიცია, რომელსაც მუშებმა ქვები დაუშინეს. ქვებით ჩამტვრეულია მინები მეზობელ სადგომებში. მუშების გაფანტვა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც სპეციალურად გამოიძახეს ცხენოსანი პოლიცია, რომელმაც იერიში მიიტანა მიტინგის მონაწილეებზე.

ამავე დროს ქალაქის მეორე ადგილზე გაიმართა მიტინგი კომუნისტ-დეპუტატის ბიტნერის მონაწილეობით. როდესაც პოლიცია მოახლოვდა, მუშები მჭიდროთ შეჯგუფდნენ ბიტნერის გარშემო და იცავდნენ მას პოლიციისაგან. ეს მიტინგიც გაჰფანტეს ცხენოსან და ქვეითი პოლიციის შემწეობით.

გაფიცულთა რევოლიუციონურმა განწყობილებამ, ხელმძღვანელობის გადასვლამ კომუნისტების ხელში და მოძრაობის ფართო მასშტაბმა ნამდვილი პანიკა გამოიწვია პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში. მუნიციპალურ მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი ვოიდანი და ლოძის ქალაქის თავი პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი ზემენსკი გაზეთ „კურიერ პორანი"-ს თანამშრომელთან გამართულ საუბარში მოითხოვენ, რომ მთავრობა რაც შეიძლება მალე ჩაერიოს კონფლიქტში, და პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ მოლაპარაკება ხუთშაბათისათვის არის დანიშნული.

ბურჟუაზიული პრესა დიდ იმედებს ამყარებს მომავალ მოლაპარაკებაზე და ფიქრობს, რომ ამ მოლაპარაკების შემდეგ გაფიცვა შეწყდება. როგორც სჩანს გაფიცულთა ზურგს უკან ვაჭრობას აწარმოებენ.

ეტყობა მთავრობის წრეებმა მიიღეს განსაზღვრული დაპირება (გამოტოვებულია). ამბობენ, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია დახთანხმდა გაფიცვის ჩაშლაზე იმის შემდეგ, რაც მას დაპირდნენ ფეიქართა ხელფასის გადიდებას 8—10 პროცენტით. მაგრამ „სოციალისტებისათვის" არც თუ ისე ადვილი იქნება გაფიცვის ჩაშლა. როგორც პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცნობილ წევრების განცხადებებიდან სჩანს, ისინი თვითონ არ არიან მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ მათ გაუვათ ეს ოინი. (ადს).

ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ მიმართული კამპანია ჩაიშალა

ბერლინი, 17 ოქტომბერი. გუშინ დამთავრდა ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ საყოველთაო კენჭის ყრისათვის ხელმოწერათა შეგროვება. ხელმოწერათა საჭირო რაოდენობის, ე. ი. 4.100.000-ის შეგროვება ვერ მოხერხდა. შეგროვილია 2—3 ნახ. მილიონი ხელმონაწერი. მემარცხენე პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ხელმონაწერთა შეგროვების შედეგები გამოწვეულია მთელ რიგ ფრიად არსებითი ხასიათის მიზეზებით. სააგიტაციო მომზადებისათვის მოკლე ვადა იყო [illegible] სოციალ-დემოკრატიული პრესა ჩაჩუმების პოლიტიკას აწარმოებდა კამპანიის მიმართ. მას [illegible] მხედველობაში აგრეთვე მრავალრიცხოვანი დაბრკოლებები ხელისუფლ. მხრივ, კომპარტიის აპარატის შედარებითი სისუსტე, რომელიც მარტო აწარმოებდა ბრძოლას და აგრეთვე ის ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გერმანიის კომპარტიაში ამ უკანასკნელ დროს. ბოლოს, კანონის ძალით, ხელმონაწერთა შეგროვება აშკარად სწარმოებს, რის გამოც ბევრი ხელს არ აწერდა იმის შიშით, რომ დამქირავებლები, ხელისუფლება და რეფორმისტები მათ დევნას დაუწყებდნენ შემდეგში.

15 წელიწადი სარდაფში

ტაშკენტი, 17 ოქტომბერი. ყიშლაგ ტანტექში, ტაშკენტის მახლობლად, სარდაფში ნახეს უზბეკი, რომელსაც ხელფეხში გაყრილი ჰქონდა ხუნდები. პატიმარმა, რომელიც სარდაფში 15 წელს იჯდა, განაცხადა, რომ ის 15 წლის ბავში დაამწყვდიეს სარდაფში დედინაცვალის და სხვა ნათესავების თხოვნით ადგილობრივ მოსამართლის ნებართვით. განთავისუფლებული ღრმა მოხუცს შთაბეჭდილებას სტოვებს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობაზე მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) პარტიის იდეოლოგიური ფრონტი ამიერ-კავკასიაში, 2) პარტიის მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის, 3) ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის.

პირველად მოსმენილ იქნა ამხ. **რუბენის** ვრცელი მოხსენება ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ ამიერ-კავკასიის სოფელში. მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

დღეს დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. რუბენის მოხსენების გარშემო.

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ცხოვრება ქ. ლოძში ჩაკვდარია.

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება: ცხოვრება ქალაქში ჩაკვდა. დამდგარია ყველა ფაბრიკა-ქარხანა. ტრამვაის დირექციამ სცადა მუშაობის გაგრძელება. ამ მიზნით მან გამოუშვა ხაზზე 11 ვაგონი. გაფიცულ მუშებმა ყველა ეს ვაგონები გადააგდეს ლიანდაგიდან.

ქალაქის სხვადასხვა უბნებში იმართება სახელდახელო მიტინგები. გაფიცულები ერთხმად აცხადებენ, რომ იბრძოლებენ სრულ გამარჯვებამდე.

პოლონეთის სოციალისტური პარტიები ცდილობენ განხეთქილების შეტანას მუშების შორის და ამრიგად გაფიცვის ჩაშლას. ფეიქართა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ მიმართა შრომის მინისტრს განცხადებით, რათა ის ჩაერიოს საქმეში და იკისროს შუამდგომლობა მუშებსა და მწარმოებლებს შორის.

მოძრაობა ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. შნელერმა პრესის წარმომადგენლებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ამხ. შნელერის სიტყვით ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ გაილაშქრა გერმანიის პროლეტარიატის ყველაზე უფრო მოწინავე ნაწილმა. მაგრამ ამავე დროს კამპანიას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ყველა პარტიებმა, რომელნიც სოციალ-დემოკრატებიდან ნაციონალისტებამდე მთლიანი ფრონტით გამოდიოდენ. ჩვენ კი, ძალიან ცოტა დრო გვქონდა იმისათვის, რომ სათანადო წინააღმდეგობა გაგვეწია განაცხადა ამხ. შნელერმა, გერმანიის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიების ერთიან ანტიპროლეტარული გამოსვლებისათვის.

პროფინტერნის წევრი ლოძის გაფიცვის შესახებ.

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. პროფინტერნის პოლონური სექცია განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს ლოძის ამბებს. პროფინტერნის წევრმა პოლონეთიდან ამხ. ეზოვიჩმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა: ლოძიდან მიღებული ცნობები მოწმობს, რომ მთავრობა ემზადება გაფიცვის ჩასაქრობად შეიარაღებული ძალის საშვალებითო.

როდის დაიწყებს მუშაობას ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენი

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ნეფტესინდიკატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენის პირველი ნაწილი, დაიწყებს მუშაობას მიმდინარე წლის ნოემბერში.

ნავთის ახალი რაიონების გამოკვლევა.

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ წინადადება მისცა გეოლოგიურ კომიტეტს, რათა ეს უკანასკნელი შეუდგეს მუშაობას ნავთის ადგილების გამოსაკვლევად, ბათომისა, სოხუმისა და სოჭის რაიონში.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საჭადრაკო სექციის ბიუროს დადგენილებით ახლო მომავალში მოსკოვში მოეწყობა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. მოელიან ცნობილ მსოფლიო მოჭადრაკეებს.

საბჭოების მომავალი გადარჩევა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მიმართვა

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატებისადმი

დაიწყო სამზადისი საბჭოების გადარჩევისათვის, ამ უმნიშვნელოვანესი მასიური პოლიტიკური კამპანიის ჩასატარებლად. მისი წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა, რომ მასში აქტიური და შეკავშირებული მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა მთელმა საზოგადოებრივობამ, პირველ რიგში—შეკავშირებულმა საბჭოთა აქტივმა — საბჭოებისა და აღმასკომების წევრებმა. ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იმ წევრებისა და კანდიდატების როლი, რომელნიც ადგილობრივ მუშაობენ და ცოცხალ და ორგანიულ კავშირს ამყარებენ უმაღლეს ორგანოსა და ფართო მშრომელი მოსახლეობის მასებს შორის, მდგომარეობს იმაში, რომ მათ ადგილობრივ საბჭოებთან და აღმასკომებთან შეთანხმებით უხელმძღვანელონ საანგარიშო და საარჩევნო კამპანიას.

ამ დიდს მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელმძღვანელობის საკითხს. ამ საკითხის სისწორით გადაჭრა საგრძნობლად გაადვილებს ყველა სიძნელის გადალახვას და წინანდელი კამპანიების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. ამ მიზნით კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოხდება მობილიზაცია საუკეთესო ძალებისა. ამ.-კავკასიის ცაკის ადგილობრივ მომუშავე წევრებმა და კანდიდატებმა, როგორც ადგილობრივი პირობებისა და ამა თუ იმ რაიონში მუშაობის თავისებურობის კარგათ მცოდნეებმა, მთელი კამპანიის განმავლობაში უნდა უხელმძღვანელონ მის მსვლელობას და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ადგილობრივადვე გადასჭრან ყველა ის სიძნელე, რომელიც მუშაობის დროს წამოიჭრება და რომლის გადაჭრაც ადგილობრივ შეიძლება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საკითხის ადგილობრივ გადაჭრა ან ძნელია ან შეუძლებელი, უნდა აცნობონ ცაკის პრეზიდიუმს.

ძირითადი საკითხი ,რომელსაც ამ.-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა და კანდიდატებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ, არის შემდეგი:

წინა წლებში საბჭოების ცალკე წევრები არ იყვნენ სათანადოდ ჩაბმული საანგარიშო კამპანიაში; საანგარიშო უბნების უმეტეს ნაწილში საბჭოსა თუ აღმასკომის მუაშობის შესახებ მოხსენებით გამოდიოდნენ მხოლოდ პრეზიდიუმის თავმჯდომარეები ან წევრები.

მომავალ საანგარიშო კამპანიაში საჭიროა ჩაბმულ იქნას საბჭოს წევრების მაქსიმალური რაოდენობა, კერძოდ დეპუტატი-ქალები.

ამ ამხანაგებს უნდა გადაეცეს საჭირო მასალა სათანადო საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობის შესახებ. სასურველია, რომ ეს მასალა შეძლების და გვარად, გადაცემულ იქნას წერილობით; ამავე დროს საბჭოების წევრთათვის უნდა ეწყობოდეს საინსტრუქციო მოხსენებები სათანადო ორგანოების მუშაობის შესახებ.

ეს კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას ამომრჩეველთა და დეპუტატთა შორის კავშირის გასაძლიერებლად, რისთვისაც უნდა გადიდდეს საარჩევნო უბნების რიცხვი და მიღებულ იქნას ზომები, რომ ამ საანგარიშო კრებებს ესწრებოდეს ამომრჩეველთა მაქსიმალური რიცხვი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამომრჩეველი ქალების მიზიდვას.

მოხსენებებში საბჭოების მუშაობის შესახებ გაშუქებულ უნდა იქნას საბჭოთა მშენებლობის ძირითადი მომენტები, მიღწევები პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ დარგში, მასიურ მუშაობაში და სხვ.

საანგარიშო კრებებზე ფართოდ უნდა შეეხნენ არა მარტო ადგილობრივ საკითხებს, არამედ სოციალისტური მშენებლობის ძირითად საკითხებსაც (სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, საბჭოთა მეურნეობის განმტკიცება და სხვ.).

საანგარიშო კამპანიის დროს ფართოდ უნდა ჩატარდეს ანგარიშგების საქმე. მშრომელ მასებს ანგარიში უნდა ჩააბარონ არა მარტო ქვედა, ადგილობრივმა საბჭოებმა და აღმასკომებმა, არამედ ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანოებმაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანია არის დათვალიერება მშრომელთა მხრივ საბჭოთა ხელისუფლების მთელი საქმიანობისა.

ანგარიშგებამ, ამას გარდა, უნდა მოგვცეს ამომრჩეველთა დავალებების შესრულების შემოწმების სურათი. ახალი დავალებები უნდა მუშავდებოდეს იმ წინადადებათა მიხედვით, რომლებსაც შეიტანენ ამომრჩევლები საბჭოებისა თუ აღმასკომების მოხსენებათა გამო. დავალება ცხოვრებას უნდა ეგუებოდეს და ეყრდნობოდეს ადგილობრივ რეალურ შესაძლებლობათა მტკიცე აღრიცხვას.

საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობის კრიტიკაში ჩაბმულ უნდა იქნან მთელი საბჭოთა აქტივი, ღარიბი გლეხები, მოჯამაგირეები, საშუალო შეძლების გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია. კრიტიკამ უნდა ხელი შეუწყოს საბჭოს და აღმასკომის მუშაობის ყველა მიღწევისა და ნაკლის გამოაშკარავებას და იმ ღონისძიებათა გათვალისწინებას, რომლებიც საჭიროა ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად. კრიტიკა უნდა წარმოადგენდეს თვითშემოწმებას, მუშაობის ყველა დეფექტებისა და სუსტი მხარეების კოლექტიურად გამორკვევას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი და კანდიდატი უნდა კარგად იცნობდეს საარჩევნო ინსტრუქციას და, საერთოდ, ყველა იმ საკითხს, რომელიც შეეხება საბჭოების გადარჩევას და საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას.

თავიანთი შთაბეჭდილებებისა და ამ მუშაობაში შენიშნული დეფექტების შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასკომის წევრებმა წერილობით უნდა აცნობონ ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს ორ კვირაში ერთხელ მაინც.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ს. აღამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
— **ი. ტაგიევი.**

16 ოქტომბერი 1928 წ.
თბილისი-სასახლე.

ქალთა განყ. გამგეების რესპუბლიკანური თათბირი

ქალთა შორის მუშაობა საქართველოში

(ამხ. პშენიცინის მოხსენება თათბირის პირველ სხდომაზე)

კულტურული ჩამორჩენილობა—მთავარი დაბრკოლებაა

ამხ. პშენიცინმა დაახასიათა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ამჟამად გაცხოველებული სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ეძლევა ქალთა შორის მუშაობას, მან აღნიშნა, რომ იმ მრავალ დაბრკოლების დასაძლევად, რომელიც ეღობება ქალთა განთავისუფლების საქმეს, და რომელიც გამომდინარეობს მუშათა და გლეხთა ფართო მასების, ხოლო განსაკუთრებით ქალთა მასის კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი ჩამორჩენილობიდან, საჭირო ხდება უდიდესი ღონისძიებების მიღება.

ამ მუშაობას საქართველოში, განსაკუთრებით ავტონომიურ ოლქებში, აფერხებენ ძველი ყოფა-ცხოვრების ტრადიციებისა და ყალბი შეხედულებების ნაშთები. ყოველივე ის აფერხებს ქალის ჩაბმას საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში და ხელს უშლის მის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში.

ქალთა აქტივობა იზრდება

საქართველოს პირობებში ქალთა შორის მუშაობის ძირითადი ამოცანაა ქალის ჩაბმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის გარდაქმნის და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ მუშათა და გლეხთა ფართო მასების აქტივობის ზრდასთან ერთად თვალსაჩინოდ იზრდება ქალთა აქტივობის ზრდაც. საბჭოების უკანასკნელ გადრჩევაში ქალები ამომრჩეველთა 87,7 პროცენტს შეადგენენ. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოს ქალთა მასების გამოფხიზლების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებია. მაგრამ ქალთა ამ აქტივობას სათანადოთ ვერ იყენებენ ჩვენი საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ქალის შრომა წარმოებაში

შემდეგ ამხ. პშენიცინი ეხება ქალთა მონაწილეობას წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში. „დაქირავებული შრომის შესახებ არსებული ცნობებიდან — ამბობს ის — სჩანს, რომ დაქირავებულ მუშაობაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი უკანასკნელი წლის განმავლობაში 24.700-დან 28.800-მდე გაიზარდა".

აგრეთვე მტკიცდება ქალთა ორგანიზაციული შეკავშირება. ასე მაგალითად, იმ ქალთა რიცხვი, რომელნიც პროფკავშირის წევრები არ არიან, 20,3 პროცენტიდან 7,8 პროცენტამდე შემცირდა. მაგრამ ქალთა ჩაბმა წარმოებაში მამაკაცებთან შედარებით შესამჩნევად ჩამორჩენილია. წარმოებაში ქალთა ჩაბმა ხწარმოებს უმთავრესად ახლად გახსნილ აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებში. ხოლო დანარჩენ დარგებში, სადაც უწინ ქალთა შრომას არ იყენებდნენ, ქალთა ჩაბმა წარმოებაში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ადგილ-ადგილ კი სრულებითაც არ ხწარმოებს.

მრეწველობის ისეთ დარგებში, სადაც ქალთა რიცხვი მეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს, შესამჩნევია ქალთა შრომის შემცირება. ასე, მაგალითად, ტყავეულობის მრეწველობაში, ქალთა შრომა შემცირდა 14,8 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 5 პროცენტით, ლითონის მრეწველობაში — 1 პროცენტით და კომუნალურ მეურნეობაში—0,3 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში, მიუხედავად ამ შრომის რენტაბელობისა, და მიუხედავად ისეთი დარგების ზრდისა, რომლებშიაც უმთავრესად გამოყენებულია ქალის შრომა (მეთამბაქოვეობა, ჩაის მოყვანა, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და სხვ.) ქალთა დაქირავებული შრომა სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წელს 4,5 პროცენტით შემცირდა.

ამასთან ერთად თვალსაჩინოდ იზრდება ქალთა უმუშევრობა, პირველ რიგში, სასოფლო - სამეურნეო მუშა-ქალთა უმუშევრობა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში 39,8 პროცენტით გაიზარდა. პროფსაბჭოს ცნობებით, უმუშევრობის მიზეზია უმთავრესად ქალთა მცირე კვალიფიკაცია, ხოლო იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ქალთა შრომისადმი „ტრადიციულ" უნდობლობას იჩენენ.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავტონომიების ძირითად ეროვნებათა (აჭარელ და აფხაზ) ქალების ჩაბმა წარმოებაში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ მხრივ ქალების შრომისა და ყოფა - ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიების მუშაობა საჭიროა მიმართულ იქნეს შემდეგ კარდინალური ამოცანების ხაზით: ქალების ჩაბმა წარმოებაში, ქალთა კვალიფიციური ძალების მომზადება, ყოფა - ცხოვრებითი საკითხების შესწავლა და სხვ. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია გვავალებს, უწინარეს ყოვლისა, „კვალიფიციურ მუშაკთა კადრების მომზადებას ძირითად ეროვნების ქალთაგან". საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური განყოფილების რეზოლუციაში პირდაპირაა ნათქვამი „მოეწყობილ იქნეს მთელი რიგი სპეციალური კურსები მოჯამაგირე, ღარიბების და მუშა - ქალებისაგან საბჭოთა და კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებლად".

ეს დირექტივები და აგრეთვე ის საკითხები, რომელნიც სდგანან საოლქო კომიტეტში და საქართველოს ცენტრალური კომიტეტში, სეზონურ მუშა-ქალებთან და მომთაბარე-ქალებთან მუშაობის დარგში, პარტიისა და საბჭოთა ადგილობრივ ორგანოებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ დახმარების აღმოჩენას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებისათვის.

ქალები საზ. მუშაობაში

შემდეგ მომხსენებელი ეხება მეორე საკითხს—ქალთა ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში და აღნიშნავს, რომ თუმცა ქალები მრავლად არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ სისტემატიური მუშაობა ქალთა აქტივთან და ქალების დაწინაურება დამოუკიდებელ სამუშაოზე სუსტად არის დაყენებული. მაგალითად, იმ დროს, როდესაც პროფკავშირის წევრ-ქალთა საერთო რიცხვი გაიზარდა 16,4 პროცენტით ცალკე კავშირებში უფრო მეტად ფაბრიკა - ქარხნების ადგილკომების წევრ-ქალთა რიცხვი პროფაქტივში მხოლოდ 13 პროცენტს შეადგენს და მისი ზრდა ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 0,8 პროც. გამოიხატა, სამაზრო განყოფილებებში ეს პროცენტი კიდევაც შემცირდა — (10,1-დან 7,1 პროცენტამდე). აგრეთვე სუსტად ხწარმოებს ქალების ჩაბმა წარმოებათა ცხოვრებაში — შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიებში ისინი შეადგენენ 8 პროცენტს, საწარმოო თათბირებში — 8,9 პროც. და კულტკომისიებში—12 პროცენტს.

ქალების ჩაბმის მხრივ საბჭოთა მშენებლობაში ზოგიერთ მიღწევებთან ერთად (ქალები საბჭოების წევრთა შორის 8 პროცენტს შეადგენენ), საჭიროა აღინიშნოს ქალების სუსტი ჩაბმა საბჭოთა პრაქტიკულ მუშაობაში და აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალებს სრულებით არ ამუშავებენ დამოუკიდებელ სამუშაოზე საბჭოთა ხაზით. მთელ საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი ქალი — სოფლის საბჭოს ან თემს აღმასკომს თავმჯდომარე.

მუშათა კოოპერაციის დარგში აღსანიშნავია დიდი მიღწევები. კოოპერაციის საქმიანობაში ჩაბმულია ქალების საგრძნობი ნაწილი. კარგად არის დაყენებული ქალების დაწინაურება აქტიურ კოოპერატიულ სამუშაოზე. თბილისში ჩვენ გვყავს 400 ქალი—სადუქნო კომისიის წევრი. საჭიროა წინ წავსწიოთ ქალების ეს აქტივობა კოოპერაციაში და გამოვიყენოთ იგი დაწინაურების დროს.

რაც შეეხება ქალების ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაში, იგი ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. სამანქანო ამხანაგობებში 2.587 კაცზე სულ 31 ქალი მოდის. საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობებში ქალები 4,4 პროცენტს შეადგენენ.

სადელეგატო კრებების დეფექტები

მომხსენებელი ეხება იმ მიზეზებს, რომლებთაცაა გამოწვეული ქალების სუსტი მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობაში. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მომხსენებელი ასახელებს იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები უყურადღებოთ სტოვებენ ქალების მომზადებას საზოგადოებრივ მუშაობისათვის. გარდა ამისა, სადელეგატო კრებების მუშაობას ახასიათებს მრავალი დეფექტი. სადელეგატო კრებების პროგრამები ვერ არის საკმაოდ შეთანხმებული ადგილობრივ პირობებთან. ისინი სუსტად არიან დაკავშირებულნი პრაქტიკულ მუშაობასთან და ყოველდღიურ მოთხოვნილებებთან.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების რეზოლუცია ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად საქართველოს მუშა და მშრომელ ქალთა პროლეტარული ფენების უფრო მეტად, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი, ჩაბმას სადელეგატო კრებების, საბჭოების სექციების, კოოპერაციის და სხვ. პრაქტიკულ მუშაობაში.

კულტურული მშენებლობა

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა კულტურულ მშენებლობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ ამ დარგში კომუნისტების პირადი მაგალითი და ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობა ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან (ჩადრის ტარება, მრავალცოლიანობა და სხვ.) ბრძოლაში უზრუნველჰყოფს ქალების ყოფა-ცხოვრებითი ტრადიციებისა და ცრუმორწმუნეობათაგან განთავისუფლების უფრო სწრაფ ტემპს.

ქალთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში ცენტრალური ყურადღება უნდა მიექცეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. პოპულიარულ ქალთა ლიტერატურის უქონლობა ნაციონალურ ენებზე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ქალების ყოფა-ცხოვრებითი მონობისაგან განთავისუფლების საქმეში. ამიტომაც საჭიროა უაღრესი ყურადღება მიექცეს სადელეგატო ლიტერატურის მიწოდების საქმეს.

ა. ლ. კ. კ. ამოცანები

ახალგაზრდა ქალებს შორის მუშაობის შესახებ ამხ. პშენიცინი ამბობს, რომ უკანასკნელ დროს ფრიად საგრძნობი შეიქმნა მათი რიცხვის ზრდა კომკავშირის ორგანიზაციებში (70 პროცენტამდე), მაგრამ კომკავშირს ჯერ ფრიად ცოტა რამ გაუკეთებია ახალგაზრდა ქალების ჩასაბმელად საზოგადოებრივ და პროფორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში, რის გამოც ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ახალგაზრდა ქალთა რიცხვის შემცირება კომკავშირში. მაგალითად, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებში ახალგაზრდა ქალთა რიცხვი 19,5 პროცენტიდან 9,2 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო საოლქო და სამაზრო კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა შორის— 0,6 პროცენტიდან 2,9 პროცენტამდე, უჯრედების მდივნებს შორის—5,8 პროცენტიდან 5,6 პროცენტამდე. შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის შესახებ, რომელიც პირველ რიგში საქართველოს კომკავშირს შეეხება. ეს დირექტივა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა ქალების დაწინაურებას კომკავშირის დამოუკიდებელ ხელმძღვანელ სამუშაოზე, მათ ჩაბმას გაძლიერებას წარმოებებში, სკოლებში, საბჭოებში და კოოპერაციაში.

ყურადღება დაწინაურებას

ქალების დაწინაურების საქმეში, მიუხედავად შემდგომ პარტიულ ორგანოთა მთელი რიგ დირექტივებისა, ცოტა რამ არის გაკეთებული. დაწინაურება ჯერ კიდევ მექანიკურ ხასიათს ატარებს. ამას ნათლად მოწმობს ის ციფრები, [illegible] ჩვენ მოგვეპოვება. სამეურნეო [illegible] დაწინაურებულ ამხანაგების საერთო რიცხვში (153) მხოლოდ 6 ქალია.

ამის შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების მუშაობას. იგი აღნიშნავს სადელეგატო კრებების ქსელის გაფართოებას, მათ ხარისხობრივ გაუმჯობესებას ქალაქებში, ქალ-მუშაკთა უფრო სისტემატიურ მომზადებას, ერთგვარ წარმატებას ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეში, მაგრამ ამასთანავე დასძენს, რომ მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მიმართული ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხების დამუშავებისაკენ. თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს ღარიბებს და მოჯამაგირე ქალებს შორის, არა აქვს საკმაო ყურადღება მიქცეული მუშა-ქალთა შორის მუშაობას და ამ ფენების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში.

მეტი დახმარება ქალთა განყოფილებებს

ადგილობრივი პარტიული ორგანოები სუსტ დახმარებას უწევენ მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებს. არავითარი ორგანიზაცია დღემდე ჯეროვნად ვერ აფასებს ქალთა შორის მუშაობას, არა თუ ქვედა ორგანიზაციებს, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტსაც კი არ დაუმუშავებია ქალთა შორის მუშაობის წინა გამოკვლევების შედეგები. ამავე დროს [illegible] და გლეხ ქალთა განყოფილებების მუშაკთა კადრები საჭიროებენ სოციალურ შემადგენლობის გაუმჯობესებას: განყოფილებების გამგეთა, [illegible]ტორებისა და ჯამაგი. [illegible] ქალთა ორგანიზატორების საერთო რიცხვიდან (73) მხოლოდ მუშა-ქალი არის 7, გლეხი ქალი—33 და მოსამსახურე—33. პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტეს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ქალები სუსტად არიან ჩაბმული პარტიაში. ქალთა წილი საქართველოს კომპარტიაში უდრის სულ 6,7 პროცენტს (მაშასადამე ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე საკავშირო კომპარტიაში). კომუნისტ ქალების სოციალური შემადგენლობა საგრძნობლად უარესდება. მაგალითად, მუშა-ქალების პროცენტი შემცირდა 29,1 პროცენტიდან 21,1 პროცენტამდე, მოჯამაგირე ქალების, გლეხ-ქალთა პროცენტი 29-დან 16,4-მდე შემცირდა იმ დროს, როდესაც მოსამსახურე ქალთა პროცენტი 48,9-დან 60,5-მდე გაიზარდა. პარტიულ ქალების სოციალურ შემადგენლობის გაუმჯობესებას უდიდეს ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებებმა, არამედ საქართველოს მთელმა კომუნისტურმა პარტიამ.

დასასრულ ამხ. პშენიცინმა სთქვა, რომ მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების 10 წლის თავის მომავალი დღესასწაული, რომლის დროსაც შეჯამებული იქნება ქალთა შორის მუშაობის შედეგები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მოგვცემს იმ მიზეზების ანალიზს, რომელნიც აფერხებენ სოციალურ მშენებლობაში ქალთა ჩაბმას. 10 წლის თავთან დაკავშირებით აღებული იქნება მტკიცე ხელმძღვანელო ხაზი. ამ დღესასწაულისათვის მომზადებასთან ერთად, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა უნდა შეამოწმონ თავისი მუშაობა ადგილობრივ პარტორგანიზაციებში, განამტკიცონ და გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური განყოფილების გადაწყვეტილებების თანახმად.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

(ამხ. ვარძიელის მოხსენება)

გუშინ, დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვარძიელმა მომავალ საბჭოთა არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.

საბჭოების საგადარჩევო კამპანია—ამბობს მომხსენებელი, უდიდეს მნიშვნელობას იძენს დღევანდელ პირობებში. თითქმის ორი წელიწადი გავიდა 1926—27 წლის არჩევნების შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში მრავალ დიდ წარმატებას მივაღწიეთ. საგრძნობლად გაიზარდა მუშათა და გლეხთა მასების აქტივობა, გაცხოველდა და გაუმჯობესდა საბჭოების მუშაობა, განმტკიცდა ღარიბ და საშუალო გლეხის კავშირი კულაკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მე მინდა აქ ხაზგასმით აღვნიშნო ჩასატარებელ კამპანიის განსაკუთრებული მნიშვნელობა. საბჭოების საარჩევნო კამპანიას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ის არის ნამდვილად მასიური კამპანია. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ 1926-27 წლის არჩევნებში 34 მილიონი ამომრჩეველი იღებდა მონაწილეობას.

ამ კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა ყველამ ნათლად გაითვალისწინოს ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ დადებული გვაქვს ხელშეკრულება მთელ რიგ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ჩვენ მაინც არა ვართ უზრუნველყოფილი თავდასხმისაგან.

რა პირობები გვაქვს ქვეყნის შიგნით? ჩვენ წინაშე სდგას მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანა, რომელიც სოციალისტურ აღმშენებლობასთან არის დაკავშირებული. ეს პრაქტიკული ამოცანებია: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მეურნეობის რეკონსტრუქცია და მის უფრო ახალ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანა, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა—ჩვენი კოოპერატიული საზოგადოებრივობის კოლმეურნეობათა მშენებლობის განმტკიცება-გაფართოება და სხვა. აი ყველა ეს პირობები ნათლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საბჭოების მომავალი არჩევნების დროს.

ამასთან ერთად სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ მუშებისა და გლეხების კლასიურ მტრების, კულაკების, ნეპმანების, მევახშეების ფარულ ფორმებში წარმოებულ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ.

წარსულ საარჩევნო კამპანიაში ქალთა მონაწილეობა სუსტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ამ საქმეში მიღწევა მაინც გვქონდა. ჩვენ ამ მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა უფრო მეტად დავაინტერესოთ ამომრჩეველი ქალთა მასა და მეტი რაოდენობით ჩავაბათ ის მომავალ არჩევნებში.

საბჭოების საანგარიშო საარჩევნო კრებებზე დასმული მოხსენებები უნდა აინტერესებდნენ ამომრჩევლებს. აქ უნდა განხილულ იქნეს ქალთათვის საინტერესო საკითხები. ამ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ შევსძლებთ ავსწიოთ, როგორც ქალთა დასწრება საარჩევნო კრებებზე, ისე მათი პროცენტი საბჭოების ახალ შემადგენლობაში.

პარტიული აღმშენებლობა

ქალთა შორის მუშაობის საკითხები

აჭარელი ქალი განთავისუფლების გზაზე.—მეტი ყურადღება ქალორგანიზატორთა შერჩევის საქმეს.—წერა-კითხვის უცოდინარობა ქალთა შორის უნდა აღ აღმოიფხვრას.

მშრომელი ქალი ნაციონალურ რაიონებში

(საუბარი თათბირის მონაწილეებთან)

ამხ. ილთანი შაშიკ-ოღლი

(აჭარისტანი)

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში აჭარისტანის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. ილთან შაშიკოღლიმ განაცხადა შემდეგი.

„ამჟამად აჭაროლქკომის ქალის განყოფილების მთელი ყურადღება მიმართულია აჭარელ ქალის ყოფა-ცხოვრებითი მონობისაგან სრული განთავისუფლებისაკენ. პირველ რიგში იერიში მივიტანეთ აჭარელ ქალის ცრუმორწმუნეობის და ოჯახური დამონავების, ქალთა უთანასწორობის გამომხატველ —ჩადრის ტარების წინააღმდეგ. მუშაობის ამ საინტერესო დარგში მესამჩნევი მიღწევებიც გვაქვს.

ამავე დროს ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ზოგიერთ კომუნისტების, კომკავშირელების და პასუხისმგებელ ამხანაგების ყოვლად დაუშვებელი მოქმედება ჩადრის წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც ჩვენ შევძელით საზეიმო კამპანიის ჩატარება აჭარელ ქალებს შორის ხულოს, ქედასა და ქობულეთის მაზრებში ქალებმა მასიურად ჩამოიხსნეს ჩადრები. ამ დროს მათ წინააღმდეგ წავიდნენ ზოგიერთი პასუხისმგებელი მომუშავენი, კომუნისტები და კომკავშირელები, რომელთაც აიძულეს აჭარელი ქალები ისევ ჩამოეფარებინათ ჩადრი. სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმ კომუნისტების მიმართ, რომელნიც ასე აფერხებენ ჩვენს მიერ დაწყებულ უდიდეს მნიშვნელობის საქმეს.

ეხლა ჩვენი პარტიული უჯრედები აწარმოებენ კამპანიას ყოფა-ცხოვრებითი საკითხებთან დაკავშირებით. ეწყობა აჭარელ ქალთა კრებები. ყველა კომუნისტი ვალდებულია ამ კრებებზე თავისი ცოლი ჩადრ ახდილი მოიყვანოს. კრებები ირჩევენ დელეგატებს სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლად. ამ კონფერენციაზე აჭარელ ქალებს განზრახული აქვთ აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა დეკრეტით იქნეს დაკანონებული ჩადრის მოხსნა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ხოჯები (მუსულმანთა სასულიერო პირები) ერთგვარ „პროგრესიულ" გზაზე შესდგნენ. რამოდენიმე ხნის წინეთ ჩატარებულ აჭარელ ქალთა მიტინგზე, ისინი ამტკიცებდნენ: „არსად ყურანში არ თქმულა, რომ ქალებმა ჩადრი აუცილებლად უნდა ატარონო". ამ გვარად თვითონ ხოჯების პირით აეხადა ფარდა საუკუნოებით გამეფებულ უმეცრებას, რაც აჭარელ ქალის დამონებისაკენ იყო მიმართული. ამ ამბავმა დიდი გავლენა იქონია აჭარელ გლეხობაზე.

დღითი დღე იზრდება აჭარელ ქალის აქტივობა და ღრმავდება მისი კულტურული განვითარების დონე. ხულოს, ქედას, აჭარის წყალის და ქობულეთის საბჭოებში ჩაბმულია 116 ქალი. 24 ქალი მუშაობს ბათომის აღმასკომის სხვა და სხვა სექციებში. მთავრობის წევრათ გაყვანილია 8 ქალი.

განვლილ მუშაობის მიღწევები საბუთს გვაძლევს გადაჭრით ვსთქვათ, რომ საბოლოოდ დავსძლევთ ყოველ გვარ დაბრკოლებებს არ არის შორს ის მომენტი, როდესაც აჭარელ ქალთა უმრავლესობა განთავისუფლდება ოჯახურ მონობისაგან და აქტიურად ჩაებმება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში".

ამხ. ვართანოვა

(ახალციხის მაზრა)

ქალთა შორის მუშაობას ჩვენს მაზრაში ხელს უშლის სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ჩამორჩენილობა. სასტიკი ბრძოლის წარმოება გვიხდება ძველ, მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ და ქალთა ოჯახური დამონებიდან განსათავისუფლებლად.

მიმდინარე წელს წერა-კითხვის უცოდინარ ქალებისათვის იხსნება 22 სალიკვიდაციო სკოლა. არსდება აგრეთვე ჭრა-კერვის სკოლა. უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჭრა-კერვის სკოლების საქმიანობა სასურველ დონეზეა დაყენებული. სკოლებში ჩაბმულია ახალგაზრდა ქალები, რომელთა შორის კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობასაც ვაწარმოებთ კულტურულად განსაკუთრებით თურქი ქალები არიან ჩამორჩენილი, ამიტომ მათთვის გვაქვს მოწყობილი 2 ქალთა კუთხე, ფასიანი მომუშავეებით. თურქ ქალებისათვის ეწყობა სხვადასხვა საუბრები და მოხსენებები. ძალიან გავრცელებულია მკითხაობა ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის. პარტორგანიზაცია ნაყოფიერ ბრძოლას აწარმოებს ამ ცრუ მორწმუნეობასთან.

წელს კოლმეურნეობებში ჩაბმულ იქნა 45 ქალი. ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში დამაკმაყოფილებელია. სადუქნო კომისიებში უმთავრესად ქალები მუშაობენ.

ამხ. ბაბაიანი

(ახალქალაქის მაზრა)

ახალქალაქის მაზრა საქართველოში ერთ ერთს ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენს, როგორც ყოფა-ცხოვრების, ისე კულტურული განვითარების მხრივ.

მაზრაში მოსახლე ეროვნებათა სიჭრელე ბევრათ ართულებს ქალთა შორის მუშაობის პირობებს, რადგან თვითეული ეროვნება თავის განსაკუთრებული ზნე-ჩვეულებებით ხასიათდება და მუშაობაში განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

გლეხ-ქალთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, ამიტომ დიდ მუშაობას ვაწარმოებთ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ. მიუხედავად მძიმე პირობებისა, წელს გავხსენით 7 სალიკვიდაციო პუნქტი, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობდნენ.

საგრძნობლად გაძლიერდა მასიური მუშაობა ქალთა შორის. მაზრის სხვადასხვა თემებსა და სოფლებში ჩატარდა საერთო კრებები ადგილობრივი საკითხების განსახილველად.

კრებებზე მოსმენილ იქნა საბჭოების მოხსენებები, კოოპერაციის და სხვ. ამ კრებებზე სწარმოებდა ქალთა დელეგატების მიმაგრება პრაქტიკულ სამუშაოზე.

გაცხოველდა საბჭოს წევრ ქალთა საქმიანობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ჩატარდა დეპუტატ ქალთა სათემო კონფერენციები.

ჩვენს მაზრაში არსებობს: მერძევეთა 13 არტელი, 3 სამანქანო ამხანაგობა და ერთიც სას.-სამ. კომუნა. მათ მუშაობაში ქალები ჯერ-ჯერობით ვერ არიან ჩაბმულნი საკმაო რაოდენობით.

ჩვენ ჩავატარეთ ღარიბ-დამოუკიდებელ გლეხ ქალთა მეურნეობების აღრიცხვა და ხელს უწყობთ მათს კოლმეურნეობებში გაერთიანებას.

ვინ უნდა ავირჩიოთ ქალორგანიზატორად

უჯრედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე—მუშა ქალების ორგანიზაცია და მათ შორის მუშაობის წარმოება. თუ ეს საქმე რიგიანად არ ექნება დაყენებული ბიუროს, მისი მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუნდაც სხვა დარგში დიდი მიღწევებიც ჰქონდეს. სწორედ ამიტომ საჭიროა ვისარგებლოდ წარსულის გაკვეთილებით და ქალთა ორგანიზატორებად სათანადოთ მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები ავირჩიოთ.

შემჩნეულია, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელებად გამოყოფილ იყვნენ მოუმზადებელი და პასიური ამხანაგები, ქალთა შორის მუშაობა ან სრულიად არა სწარმოებდა ან და ძალიან სუსტი იყო. ასეთ შემთხვევებში უჯრედს მხოლოდ ფორმალურად ჰყავდა გამოყოფილი ქალთა ორგანიზატორი. ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ საკითხში მარტო ფორმალური მიდგომით, საჭიროა თვით ქალთა შორის მუშაობის გაცხოველება და სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამისათვის კი აუცილებელია ხელმძღვანელთა ფრთხილი და დაკვირვებული შერჩევა.

როგორი უნდა იყვნენ ქალთა ორგანიზატორები, რომ შესძლონ უჯრედისა და საერთოდ პარტიის ამოცანების განხორციელება? უპირველეს ყოვლისა ორგანიზატორად არჩეულ უნდა იქნეს პოლიტიკურად მომზადებული პირი. ქალთა ორგანიზატორს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი არა მარტო, ჩვენი სახელმწიფოებრივი წესწყობილება და საზოგადოებრივი ფორმა, არამედ მას უნდა ესმოდეს პარტიის დანიშნულება და მისი უახლოესი მიზნებიც, უნდა იყოს გარკვეული თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაში, განსაკუთრებით კი ის ქალთა მოძრაობას უნდა იცნობდეს. გარდა საერთო პოლიტიკური მომზადებისა ორგანიზატორს მოეთხოვება აქტივობა და ინიციატივის გამოჩენის უნარი პარტიის მიერ დასახული გეგმების ფარგლებში. მხოლოდ ასეთ პირს შეუძლია გაცხოველებულად აწარმოოს ქალთა შორის მუშაობა.

ქალთა ორგანიზატორის მუშაობა მრავალმხრივია: მას ევალება დახმარების გაწევა ქალებისათვის რჩევის და ახსნა-განმარტების მიცემით; იგი თვალყურს უნდა ადევნებდეს დელეგატ ქალთა მეცადინეობას და დასწრებას, მასვე ევალება დელეგატ ქალთა პრაქტიკულ სამუშაოზე მიმაგრება.

ორგანიზატორი ვალდებულია სათანადო ზომები მიიღოს [illegible] და გამოუსადეგარ დელეგატების მიმართ. დასახული გეგმის განსახორციელებლად ქალთა ორგანიზატორი პერიოდულად იწვევს კრებებს, აკეთებს მოხსენებებს აგრეთვე ეცნობა დაწვრილებით ადგილობრივ პირობებს და მუშა ქალთა მდგომარეობას.

ვიმეორებ: ქალთა ორგანიზატორების არჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მხოლოდ მომზადებულ და გამოცდილ ამხანაგებს შეუძლიათ იმ მრავალფეროვან ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც სდგას პარტიის წინაშე ქალთა შორის მუშაობის დარგში.

ა—ლი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა:
ერთიან პარტიულ დღეს 19 ოქტომბერს
კომუჯრედების კრებებზე დამუშავებულ იქნეს
„საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმართვა თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებისადმი"
თბილისის კომიტეტის მდივანი—ასრიბეკოვი.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის

(„სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორთა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირის შედეგები)

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარება, მისი ინტენსიფიკაცია და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების გაძლიერება შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გარეშე. სოფლად მუშაობის ამოცანები ეს იგივე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანებია და ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობას ჩვენს სოფელში უდიდესი ადგილი უჭირავს. მეტად დიდი და ძნელი ამოცანები აქვს დაკისრებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას: განცალკევებულად მომუშავე გლეხების გაერთიანება, მათი მეურნეობის საწარმოო პროცესების შეკავშირება და მით ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია სოციალისტურ მიწადმოქმედების საფუძვლებზე.

მეტად მდიდარი მასალა მოგვცა სოფლის კავშირის ინსტრუქტორთა და სას. სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. უკანასკნელ წელში სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელს ახასიათებს განმტკიცება და გაძლიერება. განსაკუთრებული სიძლიერით ვითარდებიან მარტივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული გაერთიანებანი და კოლმეურნეობანი. კოოპერაციაში გლეხობის შეკავშირების ტემპიც გაძლიერდა; მთელ ქსელში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი [illegible] აღწევს 159189 მეურნეს, ანუ გლეხურ მოსახლეობის 41,7%. წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა საქონლის ბრუნვაც. მაგრამ აღნიშნულ მიღწევებთან ერთად, როგორც თათბირმა გამოარკვია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში ადგილი აქვს დეფექტებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უკანასკნელ ხანებში გააძლიერა ღარიბთა შორის მუშაობა, მაინც ღარიბთა ხვედრითი წონა კოოპერაციაში ვერ არის დამაკმაყოფილებელი და ინსტრუქტორთა თათბირმა სწორი გეზი აიღო ამ მხრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ღარიბთა მთლიანად შეკავშირება, განსაკუთრებით მარტივ საწარმოო გაერთიანებებში და კოლმეურნეობებში, ღარიბთა მეურნეობების ჩაბმა კონტრაქტაციის საქმეში, მათთვის პრივილეგიების მინიჭება გადიდებული ავანსებით, გაუმჯობესებული თესლით, იარაღ-მანქანების მიწოდებით, სისტემატიური ზრდა ღარიბთა შესაკავშირებელი ფონდებისა და ღარიბთა ჯგუფების აქტივიზაცია — აი ის ღონისძიებანი, რომელნიც უნდა გაატაროს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ თავის პრაქტიკულ საქმიანობის დროს. მხოლოდ ეს შეუწყობს ხელს ღარიბ გლეხკაცობის დაინტერესებას კოოპერაციით და მისცემს კოოპერატიულ მოძრაობას სწორ კლასიურ მიმართულებას.

ინსტრუქტორთა თაბირი განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის და სპეციალიზაციის საკითხებზე. თათბირმა დაადასტურა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას საქართველოში ახასიათებს განხრა უნივერსალიზმისაკენ, რაც აცილებულ უნდა იქნეს. ძირითადი ამხანაგობების უნივერსალიზმი და ამხანაგობების მიერ წარმოებული ოპერაციების მრავალფეროვნობა ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის კოოპერატიულად ჩამოყალიბებას, მუშაობის გაუმჯობესება - სპეციალიზაციას, საქონლის ბრუნვის გადიდებას, რაციონალიზაციას და სხ.. მე-XV პარტყრილობამ უაღრესი ყურადღება მიაქცია სპეციალიზაციის საკითხს და ამაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„მოწონებულ იქნას სას.-სამ. კოოპერაციის სპეციალური სახეების დაარსების პრაქტიკა და საჭიროდ იქნას ცნობილი კოოპერაციის ამ სახეების, როგორც მიწოდების და გასაღების შეკავშირებიდან გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათა განსაზოგადოებულ წარმოებაზე თანდათანობითი გადასვლის უდავო საშუალების, შემდგომი განვითარება".

აღნიშნულ საკითხის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცეკას მოხსენების გამო საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ გამოტანილი დადგენილება აშკარად მიაქცევს ჩვენს ყურადღებას მევენახეობა-მეღვინეობის, ჩაის და სხვა სპეციალურ კულტურების ირგვლივ კოოპერატიული მშენებლობის გაძლიერებაზე. ამასთან სრული შეთანხმებით, ინსტრუქტორთა თათბირმა აღნიშნა, რომ სპეციალურ სას.-სამ. კოოპერ. მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინაიდან ჩვენში ტექნიკური კულტურების განვითარება და კონტრაქტაციის სისტემის გაძლიერება მხოლოდ სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით შეიძლება. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას შეუძლია გააძლიეროს კონტრაქტაცია ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში და მით ხელი შეუწყოს გლეხთა ფართო მასების სტიქიურ, წვრილ საქონლის მწარმოებლის და ჩამორჩენილი მეურნეობების მსხვილ გეგმიან მეურნეობაზე გადაყვანას — კოლმეურნეობათა განვითარების და სოციალისტურ მრეწველობასთან დაკავშირების ნიადაგზე. უახლოესი ამოცანა, რომელიც ამჟამად სდგას სას.-სამ. კოოპერაციის წინაშე საქართველოში, არის სპეციალური ამხანაგობების შექმნა მევენახეობა-მეღვინეობაში, მეთამბაქოობაში, მეფრინველეობაში, მებამბეობაში და სხ. დარგებში.

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის და მათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთლიან სისტემასთან ორგანიული დაკავშირების საკითხებს საკმაო დრო მოანდომა თათბირმა. მომავალში აუცილებლად საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი იქნას დამყარებული კოლმეურნეობათა ცენტრსა და „სოფლის კავშირს" შორის, ვინაიდან კოლმეურნეობათა მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მთლიანი მშენებლობის განუყრელი შემადგენელი ნაწილია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ქსელის — სასოფლო-სამეურნეო - საკრედიტო ამხ-ბების ხელმძღვანელობის საკითხში დღევანდლამდე საქართველოში არ იყო გარკვეულობა „სოფლის კავშირსა" და სასოფლო-სამეურნეო ბანკს შორის, რაც იწვევდა პარალელურ მუშაობას და უარყოფით გავლენას ახდენდა თვით ქსელის ნორმალურ განვითარებაზე.

ინსტრუქტორ - ინსპექტორთა გაერთიანებული თათბირის ერთი დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ თათბირმა მოახდინა გამიჯვნა ამ ორ აპარატს შორის. ამიერიდან სასოფლო-სამეურნეო - საკრედიტო ამხანაგობების მთლიანი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, მშენებლობის წარმართვა, კოოპერატიული ინსტრუქტაჟი და მთლიანი რევიზიის წარმოება და აგრეთვე წარმართვა ამხ-ბების მთელი საქმიანობისა ორგანიზაციულ, გასაღების, მიწოდების და წარმოების მხრივ სოფლის კავშირს ეკისრება. სას.-სამ. ბანკი აწარმოებს მხოლოდ ქსელის საკრედიტო - საბანკო ოპერაციებს და ამ დარგში ანხორციელებს რევიზიას. ეს შეთანხმება უსათუოდ დიდ გარკვეულობას შეიტანს ქსელის საქმიანობაში და მის ნიადაგზე აგებული ხელმძღვანელობის მთლიანობა „სოფლის კავშირის" მხრივ ქსელს ნორმალურ განვითარების საშუალებას მისცემს.

ქსელის მუშაობის მეტი ეფექტიანობა და თვით ამ მუშაობისათვის საჭირო სოციალურ მიმართულების მიცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ამხ-ბათა მმართველი ორგანოები სათანადო სიმაღლეზე იქნებიან დაყენებული. ამ მიზნის მისაღწევად თათბირის დადგენილებით უნდა გაძლიერდეს კულტურულ-განმანათლებელი და მასიური მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს ახალ კოოპერაციულ კადრების შექმნას. ეს საქმიანობა კოოპერაციამ სისტემატიურად უნდა აწარმოოს და ამასთანავე მას უნდა მისცეს აგრონომიული განხრა.

სხვა საკითხებს შორის, რომლებსაც შეეხო თათბირი, აღსანიშნავია ქალთა და ახალგაზრდობის კოოპერაციაში შეკავშირების საკითხის მოწესრიგება, რის შესახებაც თათბირმა დაადგინა, რომ ოჯახის ხელმძღვანელებთან ერთად ამხანაგობებში წევრად შესვლის უფლება ეძლევა ოჯახის სხვა წევრებსაც მხოლოდ საწევრო გამოსაღების შეტანით ამხანაგობაში.

თათბირმა განიხილა აგრეთვე მთელი რიგი პრინციპიალური და პრაქტიკული საკითხები და მათ შესახებ გამოიტანა სათანადო დადგენილებანი. ყველა დადგენილებანი ეყრდნობა მე-XV პარტყრილობის მიერ დასახულ ხაზს სოფლად მუშაობის დარგში.

იმ დიდი ამოცანების შესრულება, რომლებიც ევალება სას.-სამ. კოოპერაციას, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაციის მუშაკები საერთოდ და კერძოდ კოოპერატიული ინსტრუქტაჟი საკმაოდ განავითარებენ საქმიანობას და მით გააძლიერებენ მთელი ქსელის მუშაკების აქტივობას ლენინის კოოპერატიული გეგმის განსახორციელებლად. მაგრამ აქ საჭიროა დახმარება მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, რომ სას.-სამ. კოოპერაციამ შესძლოს განცალკევებულად მომუშავე გლეხკაცობის გაერთიანებით ჩვენი სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდება, ქვეყნის დოვლათის გაზრდა და სოფლის ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე მოწყობა.

ზ. ნაფეტვარიძე.

ა.-კ. შინამრეწველურ-სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

მეორე დღე

ამიერ-კავკასიის შინამრეწველურ-სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირის მე-3, მე-4 და მე-5 სხდომაზე მოსმენილ იქნა რამოდენიმე მოხსენება კოოპერაციის ამ დარგის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. მთავარი ზოგადი ხასიათის მოხსენება გააკეთა ამხ. პიჩიკიანმა, ხოლო რესპუბლიკების შინამრეწველურ სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციების კავშირთა წარმომადგენლებმა შეავსეს და უფრო ვრცლად გააშუქეს კოოპერაციის ამ დარგის მდგომარეობა ცალკე დარგების მიხედვით. თანამოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე რესპუბლიკების ს. მ. უ. ს. საბჭოების წარმომადგენლები. ამ მოხსენებათა მიხედვით გამოირკვა შინამრეწველობის საერთო მდგომარეობა და კოოპერატიული მოძრაობის საერთო სურათი ამ დარგში.

შინამრეწველობა და შინამრეწველურ სარეწაო კოოპერაციის მდგომარეობა ა.-კავკასიის რესპუბლიკებში

ყველა მომხსენებლები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ შინამრეწველობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ერთი მთავარი დარგთაგანია. მისი შემდგომი განვითარება მიმდინარე ეკონომიურ პოლიტიკის აქტუალური ამოცანაა, რადგან შინამრეწველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკების ნივთიერ საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ხელოსნურ და შინამრეწველობის განვითარება ჩვენს პირობებში შეიძლება მხოლოთ ინდივიდუალურ და განცალკევებულ წვრილ მეურნეობათა გაერთიანებით დიდ კოლექტიურ ერთეულებათ, სადაც განზოგადოებული იქნება წარმოების საშუალებანი და შრომა. კოოპერატიული შეკავშირება უნდა დაიწყოს კოოპერაციის უბრალო ფორმებით, რომელთა საშუალებით გაერთიანებული უნდა იქნენ წვრილ მწარმოებელთა რაც შეიძლება მეტი მასები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამ მასების გამოგლეჯა კერძო ჩარჩების კლანჭებიდან, რომელნიც მათი ნაწარმოების შესყიდვით ამ მასების დაუნდობელ ექსპლოატაციას ეწევიან. მხოლოდ შემდეგ, როდესაც მომწიფდება ობიექტიური პირობები შესაძლებელი გახდება კოოპერატიულ გაერთიანების უფრო რთულ ფორმებზე გადასვლა. შინამრეწველობის ზოგიერთ დარგებში ამ ღონისძიების გატარება ეხლაც შესაძლებელია. საერთოდ კი შინამრეწველობის მდგომარეობა ისეთია, რომ იძლევა საშუალებას შინამრეწველთა გაერთიანებისას საშუამავლო და საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციების გარშემო. როგორია მდგომარეობა ცალკე რესპუბლიკების მიხედვით?

სომხეთი

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში სულ აღრიცხულია 131,436 შინამრეწველ-ხელოსანი; აქედან სომხეთზე მოდის 20.812 ანუ საერთო რიცხვის 15,8 პროცენტი. 13.477 შინამრეწველ-ხელოსანი (64,8 პროცენტი) მუშაობს სოფლად, ხოლო დანარჩენი მასა—7.333 (35 პროც.) ქალაქებში. ამგვარად შინამრეწველთა ორი მესამედი თავმოყრილია სოფლებში. შინამრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით ეს მასა შემდეგნაირად ნაწილდება. გემო-კვების მრეწველობაში მუშაობს 5.915 კაცი (28,4 პროც.); აქედან 80 პროცენტზე მეტი სოფლად საქმიანობს და დანარჩენი ქალაქში. შინამრეწველობის იმ დარგში, რომელსაც ეწოდება ტანსაცმელისა და ტუალეტის წარმოება, დასაქმებულია 3.875, ანუ შინამრეწველთა საერთო რიცხვის 18,7 პროც. ამ შინამრეწველთა უმრავლესობაც მუშაობს სოფლად (58 პროც.). მატყლის დამუშავების დარგში მუშაობს 3.312 შინამრეწველ-ხელოსანი, რომელთა 4/5 სოფლად მუშაობს. აქედან ხალიჩების ქსოვას მისდევს 2.519.

ლითონის დამუშავების დარგზე მოდის 1.773. ნახევარზე ცოტა მეტი ლითონის დამუშავებას აწარმოებს ქალაქებში. ხის დამუშავების დარგში დასაქმებულია 2.613 შინამრეწველი, რომელთა 2/3 თავის საქმიანობას სოფლად ეწევა. თიხის დამუშავებას—მეჭურჭლეობას, აგურისა და კრამიტის წარმოებას მისდევს 1.082, ანუ შინამრეწველ ხელოსანთა 5.23 პროც. ამ შინამრეწველთა დიდი უმრავლესობა (4/5) მუშაობს სოფლად. შინამრეწველობის ყველა ეს დარგები მეტწილად ამუშავებენ ადგილობრივ ნედლეულს, რომელთაც მათ აწვდის გლეხური მეურნეობა. (მატყლი, ბამბა, ტყავი, ხე-ტყე, ღვინო და სხვ.) ქალაქში უმთავრესად გავრცელებულია წვრილი ხელოსნობა.

მიუხედავად ნედლეულის დიდი მარაგისა, შინამრეწველობის მთავარი დარგები ამჟამად დაცემის პერიოდში იმყოფებიან, რაც ორი მიზეზით აიხსნება: შინამრეწველთა მასის შეუკავშირებლობით, ბაზრის დაკარგვით და დაუნდობელი ექსპლოატაციით, რომელსაც წვრილი მრეწველნი და ხელოსანნი განიცდიან ჩარჩი ვაჭრებისა და კერძო შემყიდველების მხრით. კერძო ჩარჩი კაპიტალი ჯერ კიდევ გაბატონებულია შინამრეწველობაში, რომლის ნაწარმოების მთავარ მასის შეყიდვას ჯერ-ჯერობით იგი აწარმოებს.

20.812 შინამრეწველიდან კოოპერატიულად გაერთიანებულია მხოლოდ 3 პროცენტი. შეკავშირებულნი არიან უმთავრესად არა სოფლის, არამედ ქალაქის მრეწველ ხელოსანი. ნოხ-ხალიჩის მქსოველთაგან შეკავშირებულია მხოლოთ ერთი პროც. ფეხსაცმელის მკერავთაგან 2,7 პროც., ხის დამამუშავებლებიდან 1,2 პროც. ლითონის დამამუშავებლიდან 1,1 პროც. შინამრეწველობის დანარჩენ დარგებს კოოპერატიული მოძრაობა თითქმის არ შეხებია. შინამრეწველნი შეკავშირებული არიან უმთავრესად საწარმოო არტელებში, რომელნიც წარმოადგენენ პატარა კოლექტიურ სამრეწველო წარმოებებს პრიმიტიული-ტექნიკური საშუალებებით. შინამრეწველურ სარეწაო კოოპერაციის საერთო პროდუქცია 1926-27 წელს უდრიდა 384 ათას მანეთს, საშუალოდ თითო საწარმოო არტელზე მოდიოდა 7.800 მანეთის პროდუქცია, ანუ ერთ წევრზე 616 მან. ყველაზე პატარა არტელები მოწყობილია ნოხ-ხალიჩის, ფეხსაცმლის და ლითონის დამუშავების დარგებში, სადაც თვითეულ არტელის პროდუქცია ყოველ წევრზე ირყევა 318 მანეთიდან 521 მანეთამდე. ყველაზე დიდი არტელები შექმნილია საპნის დამამზადებელ მრეწველობაში, სადაც საშუალო წლიური პროდუქცია თვითეულ წევრზე 4 ათას მანეთს აღწევს. საფეიქრო დარგში არტელის თვითეულ წევრზე მოდის 1.640 მან. პროდუქცია.

შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განვითარება სომხეთში მიმდინარეობს შინამრეწველობის ცალკე დარგების ხვედრითი წონის გაუთვალისწინებლათ: მაგ. მაშინ, როცა ფეიქარნი სომხეთში შეადგენენ შინამრეწველთა საერთო რიცხვის მხოლოთ 1,3 პროცენტს, შინამრეწველობის კოოპერაციის საერთო პროდუქციაში ფეიქართა პროდუქციას 57,3 პროცენტი უჭირავს. იგივე ითქმის საპნის წარმოებაზე, რომლის პროდუქციას საერთო პროდუქციაში უკავია 31 პროცენტზე მეტი. ამ მრეწველთა რიცხვი კი შინამრეწველთა საერთო მასის მხოლოდ 0,2 პროცენტს შეადგენს.

შ. მრეწ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა საერთოდ სალია. მათ ფინანსიურად მოღონიერებას ხელს უშლის ბანკის მიერ გაცემული სესხების მცირე რაოდენობა და საერთოდ ბანკების პოლიტიკის გაურკვევლობა შინამრეწველთა კრედიტობის დარგში.

საქართველო

საქართველოში აღრიცხულია 55.805 შინამრეწველ-ხელოსანი, ანუ ამიერ-კავკასიის შინამრეწველთა საერთო მასის 42.53 პროც. შინამრეწველთა მთავარი მასა 16.472 კაცი (29,6 პროც.) მუშაობს ტანსაცმელისა და ტუალეტის წარმოების დარგში. ამ მასის 3/4 თავის საქმიანობას ეწევა ქალაქებში. მეორე ადგილი უჭირავს ხის დარგში მომუშავეებს, რომელთა რიცხვი 12.598 უდრის (22,6 პროც.) ამ დარგის მუშათა 3/4 მოქმედობს სოფლად და თავის საქმიანობით დაკავშირებულია სასოფლო მეურნეობასთან. შემდეგი ადგილი უჭირავს გემო-კვების მრეწველობას. ამ დარგში 6.705 წვრილი მწარმოებელია, რომელთა 2/3 სოფლად მუშაობს და ხმარობს ადგილობრივ ნედლეულს.

ლითონის დამუშავებას საქართველოში მისდევს 6.386 კაცი. ნახევარზე მეტი მუშაობს სოფლებში და ხმარობს შემოტანილ ნედლეულს. მატყლის დამუშავებას საქართველოში ეწევა 5.009 კაცი, აქედან ფეიქრობას მისდევს 3.885, ნოხ-ხალიჩების ქსოვას 676, წინდებისა და სხვა ქსოვილების დამუშავებას 448. ამ შინამრეწველების 90 პროც. მუშაობს სოფლად ადგილობრივ ნედლეულზე. თიხისა და სხვა მინერალების დამუშავებას, რომელიც სასოფლო მეურნეობის დამხმარე დარგს წარმოადგენს, ეწევა 4857 კაცი.

ისე, როგორც სომხეთში, შინა-მრეწველობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარგები დაცემის პერიოდში იმყოფებიან. მიზეზები ივივეა: ბაზრის მოუწესრიგებლობა და დაუნდობელი ექსპლოატაცია კერძო კაპიტალის მიერ. შინა-მრეწველობის ხსნა აქაც კოოპერაციას შეუძლია.

1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის საქართველოში მოწყობილი იყო შინა-მრეწველთა 61 ამხანაგობა 3.211 წევრით. აქედან 52 იყო საწარმოო არტელები და 9 სარეწაო-საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც აერთიანებდა დამოუკიდებელ მწარმოებლებს საშუამავლო და საკრედიტო ოპერაციების გარშემო. საწარმოო არტელებში გაერთიანებულია 1.311 კაცი, სარეწაო-საკრედიტო ამხანაგობებში 1.900 კაცი. სარეწაო-საკრედიტო არტელების მოწყობა დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც იგი მიზნათ ისახავს შინა-მრეწველთა მთავარი მასის გაერთიანებას საშუამავლო და საკრედიტო ოპერაციების გარშემო. საერთოდ კი შინა-მრეწველთა კოოპერაციის ორგანიზაციული მიღწევები საქართველოში უმნიშვნელოა. საწარმოო არტელები აერთიანებენ მთელი მასის მხოლოდ 2,4 პროცენტს, ხოლო საკრედიტო ამხანაგობები 3/4 პროცენტს, ყველაზე უფრო დიდი არტელები არის პურის ცხობისა და საკანდიტრო წარმოების დარგში, სადაც თვითეული არტელი აერთიანებს საშუალოდ 68 წევრს, მკერავთა არტელები აერთიანებენ საშუალოდ 44 წევრს, დანარჩენ არტელებს კარლიკური ხასიათი აქვს.

შინა-მრეწველთა კოოპერატიული შეკავშირება არ შეეფერება შინა-მრეწველობის დარგების ხვედრითი წონას სახალხო მეურნეობაში. არტელები უმთავრესად აკავშირებენ მეორე ხარისხოვან დარგებს.

ყველა საწარმოო არტელების საერთო პროდუქცია 27—28 წლისათვის უდრიდა 12.988 ათას მანეთს, აქედან 36 პროც. არის პურის მცხობელთა არტელების საერთო პროდუქცია. საშუალოდ პურის მცხობელთა თვითეულ არტელზე მოდის 311.600 მან.—საერთო პროდუქცია, რაც ლაპარაკობს ამ არტელების ნახევრად კაპიტალისტურ ხასიათზე. მკერავთა არტელების საერთო პროდუქცია შეადგენს მთელი პროდუქციის 15,6 პროც. საშუალოდ თვითეულ ამ არტელზე მოდის 202.180 მან. პროდუქცია. მეტყავეთა არტელების პროდუქცია უჭირავს 14,3 პროც.

საქართველოს სარეწაო სამრეწველო კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა საერთოდ არ არის ცუდი, მაგრამ საკუთარ და აგრეთვე ნასესხი თანხების სიმცირე ძალიან ბორკავს კოოპერაციის ამ დარგის განვითარებას, შეუძლებელი ხდება, როგორც საწარმოო-სავაჭრო ოპერაციების გაფართოება, ისე თვით წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქცია.

მიწის კოდექსის დამრღვევნი

მიწების ფარულად ყიდვა-გაყიდვას სოფლად ეწევიან კულაკები და ყოფ. მემამულეები.— ადგილობრივ ხელისუფლებამ მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს მიწის კოდექსის დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.— სასამართლოებმა პირველ რიგში უნდა განიხილონ ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ პირთა საქმეები

მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ

(ქუთაისის მაზრა)

სოფლად კლასიური ხაზის სისწორით გატარებამ, ღარიბთა ორგანიზაციის შექმნამ და საერთოდ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების გამოცოცხლებამ სოფლად მუშაობაში გამოაჟღავნა სხვა მრავალ დეფექტებთან ერთად—მიწის მოუწესრიგებლობა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ნორმაზე ზედმეტი მიწების შენარჩუნება და მიწის ყიდვა-გაყიდვა.

თითქმის მაზრის უმრავლეს რაიონებში, ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ისეთი პირები, რომლებსაც აქამდე შერჩენიათ ნორმაზე ზედმეტი მიწები. ვინ არიან ესენი. ვაჭრები, ყოფილი თავადაზნაურობა, შეძლებული გლეხობა და ქალაქებში მოსამსახურეები, რომლებსაც დიდი ხანია გაწყვეტილი აქვთ კავშირი სოფლის მეურნეობასთან და მიწას კი ამუშავებენ ექსპლოატაციის წესით.

მაგალითად პატრიკეთის თემში, სოფ. გაგუთში მცხ. რკინიგზის მოსამსახურეს, აღმოაჩნდა 23 ქცევა ნორმაზე მეტი მიწა. სოფ. გაგუთში ანტონ წულუკიძეს, ძველი პოლკოვნიკი, (ყოფილი თავადი და მემამულე, მსახურობდა რაიონმესში, ამჟამად მოხსნილია სამსახურიდან) აღმოაჩნდა ზედმეტი მიწა 30 ქცევა. იმავე სოფ. მცხოვრებს ვანო მდივანს, მსახურებს და ცხოვრობს ჭიათურაში—20 ქცევა. ბაღდათის თემში: სოფ. დიმში მცხ. ილარიონ მაღლაკელიძეს, ღვინით მოვაჭრე სოხუმში—40 ქცევა, სოფ. ნერგეთში მცხ. იონა ჭიჭინაძეს, ყოფილ მემამულეს—63 ქცევა. ასეთი მაგალითები სხვა თემებშიაც მრავალი აღმოჩნდა.

სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილების მიერ თემებში მივლინებულია ოთხი მიწის მზომელი, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას მიწადმოწყობისათვის.

ჯერ-ჯერობით გამორკვეული და ჩამორთმეულია ნორმაზე ზედმეტი მიწები შემდეგ თემებში: რიონის თემში—300 ქცევა, გოდოგანის თემში—[illegible] ქცევა, ორპირის თემში—150 ქცევა, ბაღდათის თემში—450 ქცევა, კუხის თემში 120 ქცევა, ტობანიერის თემში 80 ქცევა. ამრიგად აღნიშნულ 6 თემში ჩამორთმეულია სულ 1420 ქცევა.

აღნიშნული ჩამორთმეული მიწები პირველ რიგში გადაეცემა კოლმეურნეობებს და აგრეთვე მიწის მცირე მქონე ღარიბ გლეხობას.

ეხლა გადავიდეთ საკითხზე მიწის ყიდვა-გაყიდ. შესახებ. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ქუთაისის მაზრაში? გამოირკვა, რომ წარსულ წლებში მიწის რეფორმის სუსტად ჩატარებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მიწის ყიდვა-გაყიდვას, ვინაიდან ყოფილ მემამულეებს, თავადაზნაურობას და ვაჭრებს ნორმაზე ზედმეტი მიწები შერჩათ.

როდესაც პარტიამ აიღო მტკიცე ხაზი მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, გამოაშკარავდა ყიდვა-გაყიდვის მრავალი შემთხვევა. ასეთი შემთხვევები უმთავრესად აღმოჩნდა: ბაღდათის, ვანის, სვირის და სხვა რაიონებშიაც. აღსანიშნავია ის გარემოება, თუ როგორ ახერხებენ მიწის ყიდვა-გაყიდვას. მაგალითად ბაღდათში 1926 წ. ყოფილ პოლკოვნიკ ბაქრაძემ და ყოფილ გენერალ ჩხეიძემ, ვითომ იჯარის სახით მისცეს სოფ. დიმში მცხ. გლეხებს სახანბერიძეებს 10 დესეტინა მიწა, რომელშიაც აიღეს 5.200 მანეთი.

მეორე მაგალითი—1925 წ. 22 ნოემბერს ეწრის თემში მცხ. ივანე ვერულაშვილმა გარიგის სახით მისცა მიწა სევერიანე კოპალეიშვილს და აიღო 500 მანეთი. ამ გარიგეს ხელმწერით ადასტურებს ეწრის თემ-აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე და მდივანი. ასეთი მაგალითები სხვა რაიონებშიაც ბევრია.

ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მიღებულია ზომები ამ ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად, სასამართლოების მიერ დაჩქარებით ირჩევა საქმეები, თემებში ამ ბოროტმოქმედებათა სიები აშკარავდება ღარიბ გლეხობის კრებებზე, გლეხობას ეცნობა მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ თუ როგორ სჯის პროლეტარული სახელმწიფო დამნაშავეთ. ღარიბი გლეხობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად.

ნ. მესხი.

სასამართლოს არქივში მდებარე საქმე

მარტვილის თემი, სენ. მაზრა

მარტვილის თემის სოფელ ბომბოთში მცხოვრებ (ამჟამად სოხუმში სცხოვრობს) დათიკო ადამიას მიწას ამუშავებდა ჯანაშიის ობლები. ამ მიწის ფართობი უდრის 3 ქცევას და სამას კვადრატულ საჟენს, რომელშიაც სდგას ორ ოთახიანი ფიცრული სახლი. როდესაც ადამია სოხუმში გადასახლდა, ეს მიწა სამუშაოდ გადასცა ჯანაშიას ობლებს. გასულ წელში კი ადამიამ მიწა ფარულად მიყიდა სოხუმელ ვაჭარს—მალაქია ჯანჯღავას. მიწა გაყიდულია სახლთან ერთად 1.500 მანეთად. ადგილობრივი ხელისუფლების და გლეხობის თვალის ასახვევად ისინი გაიძახიან, ვითომც მიწა ჯანჯღავას იჯარით ჰქონდეს აღებული. მაგრამ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჯანჯღავა ვაჭარია ორი მაღაზიის მეპატრონე სოხუმში და ეს მამული ხელში ჩაიგდო ჩარჩობიდან შეძენილი ფულებით.

ეს საქმე პრესის საშუალებით გამომჟღავნებულ იქნა. პასუხისგებაში მისცეს ადამია და ჯანჯღავა. სასამართლომ სამჯერ დანიშნა საქმის განხილვა, მაგრამ ორ სხდომაზე არც ერთი ბრალდებული არ გამოცხადდა, ხოლო მესამეჯერ დაესწრო მხოლოდ ადამია და ჯანჯღავამ არ ისურვა მობრძანება. სასამართლომ საქმე კიდევ გადასდო და მას შემდეგ ვინ იცის თუ რომელ კუნჭულში ინახება ამ საჩივარის ქაღალდები.

დროა ამ გაიძვერა ვაჭრებმა, რომლებმაც სურთ ასეთი უკანონობის მიფუჩეჩება, მიიღონ შესაფერი სასჯელი.

სოფკორი.

—:—

თავისუფალი ვაჭრობა მიწით

სოფ. ნაჯახოვი, სენ. მაზრა

სოფ. ნაჯახოვში მცხოვრებ ალექსანდრე თედორეს ძე დანელიამ მისი ძმისაგან იყიდა მიწა ზომით 1 ნახ. ქცევა, რის საფასურად გადაიხადა 450 მანეთი. გარეგნულად ეს საქმე ისე მოაწყვეს, ვითომ დანელიას ეს მიწა აღებული აქვს იჯარით. მაგრამ გადის მესამე წელი და ვხედავთ, რომ დანელიამ ხსენებული მიწა შეუერთა თავის ეზოს.

დანელიას ამ საეზოვე ადგილის შესაძენად ესაჭიროებოდა სათანადო თანხები, რისთვისაც მან გაყიდა ცხენისწყლის პირას მდებარე მიწა, ზომით 2 ნახ. ქცევა, რაშიაც აიღო 250 მანეთი. მიწა მიყიდა ამავე თემის მცხოვრებ ალექსანდრე კორსავას. თვით დანელიას შემწეობით გაყიდული იქნა აგრეთვე მისი ძმის მიწა ზომით 3 ქცევა, რომელიც მდებარეობს კორსავას მიერ შესყიდულ მიწის გვერდით. თვით პატრონი (ალ. დანელიას ძმა) ცოლშვილით გადასახლდენ ქუთაისში, სადაც ცხოვრობენ საკუთარ სახლში.

ეს უკანასკნელი 3 ქცევა ადგილი იყიდა ამავე სოფელში მცხოვრებ ნიკოლოზ დანელიამ, რომელიც თვითონ არ ამუშავებს მიწას, არამედ აქვს გაზიარებული და თვით კი ქალაქში „მუშაობს" (მგონი ვაჭრობს სოხუმში).

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრილი იქნეს ასეთი აშკარა დანაშაული, სასტიკად დაისაჯონ დამნაშავენი და გაყიდული მიწები გადაირიცხოს სახელმწიფო ფონდში. ჩვენი თემის მშრომელი გლეხობა უცდის ხელისუფლების პასუხს ამ ბოროტმოქმედებას წინააღმდეგ.

გლეხისშვილი.

ამოვიყენოთ უპატრონოთ მიტოვებული მიწები

(ოზურგეთის მაზრა)

ხიდისთავის და ასკანის თემებში მიწების ყიდვა-გაყიდვა ფარულად კვლავ გრძელდება. მაგალითად: სოფ. ვანის-ქედში კილურაძემ, რომელიც ფოთში ვაჭრობს, მიყიდა სამოსახლო მიწა შენობით პანტელეიმონ ნიკოლაიშვილს. ეს უკანასკნელი უკვე დასახლდა ამ ეზოზე.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ხიდისთავის თემში (სოფ. ბასილეთში) ზოგიერთ ცხოვრებლებს მიტოვებული აქვთ ეს სოფელი და სცხოვრობენ სხვა სოფელში, ან ქალაქში. მათი მიწები კი უპატრონოდ არის მიტოვებული და სარგებლობენ ისეთები, რომლებიც არ განიცდიან მიწის სივიწროვეს. მაგალითად, გიგო ცხომელიძე რამოდენიმე წლიდან გადასახლდა ბასილეთიდან სოფ[illegible]ში და მის მიწას დაეპატრონა ილარიონ ცხომელიძე; ივანე თავართქილაძე 12 წელია თბილისში სცხოვრობს, მას სოფელში სამი ქცევა მიწა აქვს, რომელიც უპატრონოდ არის მიტოვებული. ასეთივე მაგალითები სხვაგანაც ბევრია.

დროა ამ გარემოებას თემაღმასკომებმა ყურადღება მიაქციონ.

გულშემატკივარი.

ფორმალურად ჩამორთმეული მიწები ფაქტიურად უნდა ჩამოერთვათ

(ზუგდიდის მაზრა)

გაზ. „კომუნისტი"-ს 6 ოქტომბრის 232 ნომერში მოთავსებულია ს. ყულისკარიდან (ზუგდიდის მაზრა) წერილი სათაურით: „ჩამორთმეული მიწებით ისევ ძველი მეპატრონეები სარგებლობენ". წერილში ავტორი სხვათა შორის სწერს: —არის კიდევ შეძლებულ გლეხობის მეორე წყება, რომლებსაც მიწა-ადგილი მხოლოდ ქაღალდზე ჩამოერთვათ და არავისზე არ გადაუციათ. ამ მიწებით ისევ ყოფილი მეპატრონენი სარგებლობს"-ო.

ამ მოვლენას ალაგი აქვს არა მარტო ყულისკარის თემში, არამედ ზუგდიდის მაზრის სხვა თემებშიც, მაგალითად: ხეთის, აბასთუმნის და სხვა. ყოფილ მეპატრონეს მხოლოდ გამოცხადებული აქვს, თუ რომელი ნაკვეთიდან რამდენი მიწა აქვს ჩამორთმეული, მაგრამ ჩამორთმეული მიწები ფაქტიურად მათ ხელშია დატოვებული.

ეს გარემოება კი მათ სურვილს უღვიძებს, რომ საბოლოოდ შეინარჩუნონ ჩამორთმეული მიწები. ამისათვის ისინი მიმართავენ სხვადასხვა ხერხს: თვითნებურად ამუშავებენ მიწას ახდენენ ხელოვნურად კომლის გაყრას და სხვ.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ქაღალდზე ჩამორთმეული მიწა სინამდვილეშიც უნდა ჩამოერთვას ყოფილ მეპატრონეს და დაურიგდეს მცირე მიწის ქონე გლეხებს, ანუ, ყოველ შემთხვევაში, მიწათ-მოწყობის ჩატარებამდე თემაღმასკომმა თვითონ უნდა მოახდინოს ასეთი მიწის ექსპლოატაცია, თუნდაც შეღავათიან პირობებში მცირე მიწის მქონე გლეხებზე იჯარით გაცემით. ასეთი ზომების ცხოვრებაში გატარება ყოფილ მეპატრონეს საბოლოოდ დაუკარგავს ჩამორთმეულ მიწის უკან დაბრუნების იმედებს.

ამ საკითხს უნდა მიაქციოს ყურადღება მიწათ-მოქმედების კომისარიატმა და მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებამ.

ხეთელი.

კომბინატორები უნდა დაისაჯონ

თერჯოლის თემი, შორ. მაზრა

თერჯოლის თემში ცხოვრობს კულაკი გლეხები ლევან და სერგო მემანიშვილები. ერთი მათგანი უცოლშვილოა და მეორეს კი ყავს ქვრივი რძალი და პატარა შვილიშვილი.

ჯერ წინედაც, აღნიშნულმა ოჯახმა რაღაც კომბინაციების საშუალებით შეინარჩუნა ორ ნორმაზე მეტი მიწა.

წელს, როცა ჩვენ თემს მოევლინა მიწის მზომელი, წინად დახელოვნებულ კულაკებმა მოაწყვეს შემდეგი კომბინაცია თემის თავმჯდომარესთან. თავმჯდომარე უნტი მაკარიძემ თავის ბავშის ნათლიას — შალიკო არეშიძეს, რომელსაც მარტო დედა ყავს სარჩენი და აქვს მიწის მთელი ნორმა, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს გაურიგა კულაკ მემანიშვილის ქვრივი და გახადა ოჯახის წევრად რისთვისაც გააკეთეს ფარდები ამავე ღამეს და მიწების ზედმეტი ნორმა მიაკუთვნეს არეშიძეს. ამ კომბინაციის მოწყობა დაადასტურებიეს მიწის მზომელის თანაშემწე ლადიკო მაკარიძეს, რომელიც ამჟამად აწარმოებს მიწების ჩამორთმევას კულაკ გლეხობაზე.

საქმის კეთილად მოჭახრაკების შემდეგ თემის თავმჯდომარე მაკარიძე თავის ამალით ესტუმრა კულაკ მემანიშვილს, მოახდინეს ალუმი და უკუაგდეს კანონიერების დაცვა.

განა თემის ასეთი თავმჯდომარე და მივლინებული მიწის მზომელები არიან საბჭოთა კანონების ცხოვრებაში მტკიცედ გამტარებელნი?

საჭიროა სათანადო ორგანომ მიაქციოს ასეთ მოვლენას ყურადღება, დამნაშავენი სასტიკად დასაჯოს და ზედმეტი გადამალული მიწები გადასცეს მშრომელ გლეხობას.

საქმის მცოდნე გლეხი.

შორს ჩვენი რიგებიდან კულაკები

(ხიდისთავის თემი, გურია)

ხიდისთავის თემის, სოფ. წიფნაგვარის მცხ. ილარიონ ქერქაძემ 1923 წელს გამოჰყო თავის ოჯახის წევრობიდან ერთი შვილი და ერთ-ერთ თავის ნაჭერ მიწაზე მოუწყო საკოსახლო, მაგრამ საკვირველი შეიქნა ის გარემოება, რომ ქერქაძემ კულაკ ანანია კალანდაძის ნაჭერი მიწა შემოიფარგლა და შემოუობა მისთვის. ამ მიწაზე სასოფლო გზა გადიოდა, რის საშუალებითაც ორი სოფელი: წიფნაგვარა და პაიქსოული აწარმოებდენ ერთმანეთთან მიმოსვლას. სამაგიეროდ გზა ქერქაძემ გაუჭრა ისეთ ალაგას, სადაც გამოუსადეგარი იყო სოფლისათვის.

შეიქნა ლაპარაკი, რომ კულაკ ილარიონ ქერქაძემ მიწა იყიდაო. ამის დამამტკიცებელი ის არის რომ ანანია კალანდაძეს რამოდენიმე წელს უღელში ება ქერქაძის მიერ მიწის საფასურში აყვანილი ხარი. არის თუ არა დამტკიცებული მიწის ყიდვა-გაყიდვა ამ ორ კულაკებს შორის? ფაქტის წინაშე ვდგავართ. მხოლოთ საკვირველია ერთი გარემოება, რატომ ადგილობრივი ხელისუფლება ამის წინააღმდეგ არ იღებს სათანადო ზომებს.

ასეთივე კომბინაცია მოაწყო ივანე გუხთაიშვილმა. მან პანტელეიმონ ფოცხიშვილისაგან იყიდა მიწა და ორივე შეხმატკბილებით მუშაობს და მოსავალს შუაზე იყოფენ. მას რომ კითხო გიპასუხებს: „მე ვიყიდე რამოდენიმე წლით მიწის სარგებლობის უფლებაო".

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება და გამოირკვეს მიყრუებულ საქმე, ხოლო დამნაშავენი სასტიკად დაისაჯონ.

მცოდნე.

წერილებიდან

გომის თემი, (ქუთაის. მაზრა). ამ თემის მცხოვრებ სილოვან ნადირაძემ იყიდა მიწა, რომელიც დაადასტურა თემის მიწკომმა. ეს საქმე დღემდის მიფუჩეჩებულია ამის გამო ბევრებიც გაამამხნევნენ და ეწევიან მიწით ვაჭრობას. მიწადმოწყობა ფერხდება, საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

მეთვალყურე.

სოფ. ბოგვი. ადგილობრივ მცხოვრებ ვაჭრის ცოლმა — პელო ბეგიაშვილმა ერთი ნორმა მიწა მიყიდა 1926 წელში თავის ბიძაშვილს —თედო ბეგიაშვილს, რომელიც შეძლებული გლეხია. აღებული ფულით პელომ თავის ქალს უყიდა ძვირფასი ავეჯეულობა. ამ მოვლენას ადგილობრივ საბჭოს წევრებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ასეთი უკანონობის მიფუჩეჩება დანაშაულია.

დ. თ—ი.

როგორ ტარდება შრომის კანონები

შრომის კანონების გატარება წარმოებებში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.—კერძოდ დამ-ქირავებლები დაუზოგავ ექსპლოატაციას უწევენ დაქირავებულებს. —შრომის სასამართლოებში აჭიანურებენ შრომის დაცვის საკითხების განხილვას.

შრომის კანონების დაცვა კერძო სახელოსნოებში

შრომის დაცვის ორგანოების მუშაობა ადგილებზე საგრძნობლად მოისუსტებს. შრომის ინსპექტორები ბევრ ადგილას ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად და ვერ იცავენ შრომის კანონებს. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ ინსპექტორებზე, რომლის რაიონში უფრო მეტად კერძო დამქირავებლები შედიან. საბჭოთა და სახელმწიფო დაწესებულებებში შრომის დაცვის საქმე ასე თუ ისე მოგვარებულია. მართალია აქაც არის შემთხვევები შრომის კანონების დარღვევისა, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს არ არის სისტემატიური მოვლენა და მეორეც საბჭოთა და სახელმწიფო დაწესებულებებში არიან პროფესიონალური ორგანოები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ შრ. კანონების გატარებას.

რაც შეეხება არტელებს, შრომის კოლექტივებს და სხვა კერძო სახელოსნოებს, აქ სულ სხვა მდგომარეობაა. აქ არამც თუ დამქირავებელი, არამედ ხშირად თვით დაქირავებულიც არღვევს შრომის კანონებს დამქირავებელის შიშით მუშაობს შრომის კანონში გათვალისწინებულ დროზე მეტს. არის შემთხვევები, როდესაც 14-16 საათს ამუშავებენ კერძო დამქირავებლები დაქირავებულებს და არ აძლევენ არც შრომის ხელფასს და არც პროფკავშირში ჩაწერის უფლებას. როგორც ქუთაისელი კორესპონდენტი სწერს, ქ. კერძო სახელოსნოების პატრონები უსაზღვრო ექსპლოატაციას უწევენ მათ მიერ დაქირავებულ ახალგაზრდა მუშებს. ისინი ღამის 12-2 საათამდე ამუშავებენ მათ და ხელფასს კი უმნიშვნელოს აძლევენ.

ასეთივე მდგომარეობაში არიან სად. მცხეთის ბუფეტის მოიჯარადრის, გეგეჭკორის მოჯამაგირეებიც. ისინი მთელი დღის განმავლობაში დაუსვენებლივ მუშაობენ და არც თავის დროზე არ მიუღიათ ხელფასი. ვაებატონ გეგეჭკორის თავხედობამ იქამდეც კი მიაღწია, რომ, როდესაც ერთ-ერთმა დაქირავებულმა მოითხოვა მისგან 6 თვის [illegible] ხელფასი, დაითხოვა სამსახურიდან და დასტოვა ულუკმა პუროთ. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის, მაგრამ შრ. ინსპექტორები რატომღაც ეპარებათ ეს. ეს გარემოება ერთის მხრივ იმით აიხსნება, რომ შრომის ინსპექტორთა შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მათი თვალი ყველგან, ყველა კერძო სახელოსნოს ვერ სწვდება. ამით რასაკვირველია სარგებლობენ დამქირავებლები და საშინელ ექსპლოტაციას უწევენ დაქირავებულებს.

შრომის დაცვის ორგანოების ამოცანაა რაც შეიძლება გააძლიერონ თვალყური კერძო სახელოსნოებზე და დაიცვან დაქირავებულთა ინტერესები და შრომის კანონები.

X

დაიცავით ახალგაზრდათა შრომა

(წერილი ქუთაისიდან)

შრომის კანონების მიხედვით სასტიკათ აკრძალულია მოზარდი ახალგაზრდობის ზედმეტი საათებში მუშაობა. მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტება ქუთაისის კერძო სახელოსნოების მეპატრონეებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ისინი ხშირად ნორმალურ მუშაობის გარდა შეგირდებს 14-16 საათს ამუშავებენ.

სახელოსნოები იღება დილის 7 საათზე და იკეტება 5 საათზე. მაგრამ ეს ფორმალურად ხდება. ისე კი დამქირავებლები სახელოსნოს გარედან ბოქლომს ადებენ და შიგნით კი ღამის 12 და 2 საათამდე განაგრძობენ მუშაობას. შეგირდებს არ აქვთ საშუალება თუნდაც ერთი წუთით დაისვენონ. მათ არ იციან თუ არსებობს სადმე შრომის დაცვის ორგანოები, პროფესიონალური კავშირები და სხვ. ასეთი მდგომარეობაა შექმნილი ქუთაისის კერძო სახელოსნოებში.

საჭიროა შრომის ინსპექტორმა, კავშირმა და პროფბიურომ გადამწყვეტი ზომები მიიღონ კერძო სახელოსნოებში შრომის კანონების დარღვევის წინააღმდეგ.

ივანე ბუხაიძე.

შეისწავლეთ შრომის კანონები

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ხილის დასამზადებელ პუნქტში მუშაობდენ კავშირის წევრები, რომლებსაც აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ისინი არ იყვნენ დაზღვეულები და არც სარგებლობდენ არსებულ შრომის კანონებით. მუშაობას იწყებდენ დილის ექვსის ნახევრიდან და ათავებდენ ღამის 10-11 საათზე. კვირა უქმე დღე და სხვა რაიმე შეღავათი მათთვის არ არსებობდა. ვაგონების დატვირთვის დროს კი, მეორე ცვლის უყოლობის გამო მუშებს ხშირად დღე-ღამის განმავლობაში დაუსვენებლივ უხდებოდათ მუშაობა, რადგან მუშაობის შეჩერება დიდ ზარალს მისცემდა წარმოებას. ასეთ პირობებში მუშაობდენ ეს მუშები მიმდინარე წლის პირველ ივნისიდან სექტემბრამდე და ღებულობდენ სულ სამ მანეთს დღე-ღამეში.

აუტანელი იყო მათი მუშაობა. მუშებს აღარ შეეძლოთ ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება. და აი მიმართეს თხოვნით ამხანაგობის გამგეობის ყოვლად შემძლე თავმჯდომარეს, ამხ. ბაქრაძეს, რათა უკანასკნელს მოეღო მოწყალება და მიეცა მათთვის ცოტაოდენი შეღავათი, მაგრამ ამხ. ბაქრაძე განრისხდა, დაიწყო მუშტების ქნევა და ყვირილითა და ლანძღვა-გინებით გამოისტუმრა მუშები უკან. აქედან იწყება საჩივრები და კონფლიქტები ადმინისტრაციასა და მუშებს შორის.

მუშებმა პირველად შრომის ინსპექტორს მიმართეს დახმარებისათვის. უკანასკნელმა მეორე დღესვე დაათვალიერა სამუშაოები და წინადადება მისცა ადმინისტრაციას დაეცვა შრომის კანონები. მაგრამ ადმინისტრაციამ, მუშების კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაგიერ, 27 აგვისტოს, მოულოდნელად და გაუფრთხილებლად მოხსნა იგინი სამუშაოდან. მუშებს ერგებოდათ კვირა უქმე დღეების, ღამის საათებში მუშაობის, ზედმეტი ნამუშევარი, შვებულების და გაუფრთხილებლობის ფული. ადმინისტრაციამ არც ერთი კაპიკი აღნიშნულ ფულიდან არ მისცა მუშებს. საქმე გადაეცა კავშირის საკონფლიქტო კომისიას, რომელმაც დაადგინა მიეცეს თითეულ მუშას 228 მანეთი, მაგრამ გამგე (ბაქრაძე) რის გამგეა, რომ ასე მალე დააკმაყოფილოს მუშებისა და პროფკავშირის სამართლიანი მოთხოვნილებები? იგი ხელმეორეთ განრისხდა და დაიწყო უსაფუძვლო ყვირილი.

დღეს ეს საქმე შრომის სასამართლოს ხელშია. მუშები დღე-დღეზე ელოდებიან განაჩენის გამოტანას. მაგრამ ბაქრაძე აჭიანურებს საქმეს, იგი არ ცხადდება სასამართლოში საქმის გარჩევაზე და ამგვარად საქმე ხდება განუწყვიტლივ. როდის მოეღება ბოლო საქმის [illegible] არავინ იცის.

ვფიქრობთ შრომის უმაღლესი ორგანოები მიაქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას და ამხ. ბაქრაძეს შეასწავლიან საბჭოთა შრომის კანონებს.

ვ. ნ.

შრომის კანონებს არღვევს

სადგურ მცხეთის ბუფეტის მოიჯარადრე ვასილ გეგეჭკორს დაქირავებული ჰყავს მოჯამაგირეები, რომლებსაც აუტანელ პირობებში ამუშავებს მცირე ხელფასით. თითქმის 24 საათის განმავლობაში დაუსვენებლივ მუშაობენ მოჯამაგირეები. მათთვის არ არსებობს არც კვირა-უქმე დღე და არც შრომის კანონი. გარდა ამისა დამქირავებელი უდიერათ ეპყრობა მუშებს:

ამას წინათ სრულიად უმიზეზოთ დაითხოვა ერთგული და პატიოსანი მუშა, ვანო ხერუმოვი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მოიჯარადრეს. მიზეზი დათხოვნისა ის იყო, რომ ვანო ხერუმოვმა მოსთხოვა მოიჯარადრეს კუთვნილი ექვსი თვის ჯამაგირი. დამქირავებელმა გეგეჭკორმა იუკადრისა ეს და ცემით გაუმასპინძლდა დაქირავებულს.

დღეს ხერუმოვი უმუშევრათ დადის და არ იცის, ვის მიმართოს დახმარებისათვის.

კავშირმა და შრომის ინსპექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამას.

ცემენტი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

საუწყებათაშორისო თათბირი

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს ამიერ-კავკასიისთვის საამშენებლო მასალის მიწოდების საქმე და გეგმიანი ხასიათი მიეცეს მასალის განაწილებას მომხმარებლებს შორის, დაადგინა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან მოეწყოს მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირი ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოს, საბინაო კოოპერაციის ა.-კ. საბჭოს, გზათა და სამხედრო-საზღვაო სახ. კომისარიატის რწმუნებულების და რესპუბლიკანურ ენკომსაბჭოების წარმომადგენლებისაგან.

ვაჭრობის კომისარიატს დაევალა შეიმუშავოს სათანადო დებულება.

თბილისის ახალი წყალსადენი

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ თბილისის წყალსადენი არ აკმაყოფილებს სავსებით ქალაქის მოთხოვნილებას და მომავალში შეიძლება შეაფერხოს ქალაქის მრეწველობის განვითარება, მოიწონა საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილება თბილისში ახალი წყალსადენის გაყვანის შესახებ.

ა.-კ. ტეხნიკურ-საამშენებლო კომიტეტს დაევალა წარმოადგინოს თავისი დასკვნა წყალსადენის ტეხნიკური გეგმის შესახებ.

ამიერ-კავკ. ბანკების საკრედიტო გეგმა 1928—29 წ. პირველ კვარტალისათვის

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ ამიერ-კავკ. ბანკების საკრედიტო გეგმა 1928—29 წ. პირველ კვარტალისათვის დაამტკიცა 134.903.000 მანეთის რაოდენობით.

ამ გეგმის თანახმად საქართველოს კომუნალური ბანკის კრედიტები გადიდებულია—600.000 მანეთით, საზოგადოება „მკერავას" კრედიტები—250.000 მანეთით.

უმ. ეკ. საბჭოს ბეჭდვითი ორგანო

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ჟურნალები: „ეკონომიჩესკი ვესტნიკ ზაკავკაზია" და „ნოტ ი ხოზიაისტვო" შეერთებული იქნება ერთ ორგანოში, რომელსაც დაერქმევა: „ნაროდნოე ხოზიაისტვო ზაკავკაზია". ახალი ჟურნალი იქნება ამიერ-კავკ. უმ. ეკონომიურ საბჭოს ორგანო.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დამტკიცებულია ამხ. კარინიანის (პასუხისმგებელი რედ.), ბაგიროვის, ვარდანიანის, მგალობლიშვილის და ფირუმოვის შემადგენლობით.

საქ. სახკომსაბჭოში

სას.-სამ. მანქანების წარმოება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა მიწსახკომს დაამუშაოს საკითხი სახნისის გუთნის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ საქართველოს პირობების მიხედვით.

ს.მ.უ. საბჭოს დაევალა დაამუშაოს საკითხი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და წვრილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების მოწყობის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ.

წინადადება მიეცა მიწსახკომს გაითვალისწინოს 1928—29 წ. საოპერაციო გეგმაში ქ. ამირაჯიბის სახელობის მანქანა-იარაღების საცდელი სადგურის სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანა და აგრეთვე გაიღონ აღნიშნული სადგურის საჭიროებისათვის—ხელსაწყოების შესაძენად 10.000 მან.

პურის საცხობი ელექტრონული ქარხნის მოწყობა ქ. თბილისში

ინჟენერ პოლუდინმა შეიტანა სახკომსაბჭოში წინადადება ქ. თბილისში პურის საცხობი ელექტრონული ქარხნის მოწყობის შესახებ ვინაიდან ეს წინადადება დაგვიანებულია პირველი პურის ქარხნის მიმართ, რომელიც ამჟამად უკვე შენდება, წინადადება მიეცა ს.მ.უ.ს. შეისწავლოს პურის ელექტრონული ქარხნის მოწყობის საკითხი მეორე ქარხნის აგებასთან დაკავშირებით.

საფუთო გამოსაღები საგზაო მშენებლობისათვის

რადგან ქალაქ ბათომის საფუთო გამოსაღები ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, საგზაო მშენებლობის საჭიროებისათვის ანარიცხის დაწესება შეუძლებლად იქნა ცნობილი. მხოლოდ გამოსაღების ჯამის 20 პროც. რაოდენობით.

საფუთო გამოსაღების ანარიცხისაგან შექმნილ საგზაო ფონდის განაწილების დროს მხედველობაში იქნება მიღებული ბათომის რაიონის მოთხოვნილება.

მუშგლეხკორთა მდევნელი მუშათა ხელისუფლების მტერია

ხელები შორს!

ქვემოთ მოთავსებული წერილი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. ჩვენ თავშივე ვადასტურებთ, აღნიშნული წერილის ავტორი ჩიქვილაძე არ არის. მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ: რომ გაზეთების მუშაობის პრაქტიკაში დაკანონდა ჩვეულება: რედაქციები უმოწმებენ ამა თუ იმ პირს, რომელსაც უსაფუძვლოდ სწამებენ რომელიმე მამხილებელი კორესპონდენციის ავტორობას, რომ ეს პირი არ არის გარკვეული წერილის ავტორი. თვით ასეთი ფაქტი თავისთავად ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენში მართლაც აქვს ადგილი კორესპონდენტების დევნას.

ამავე დროს მუშკორისა და გლეხკორის მდევნელი ჯერ კიდევ შესაფერისად არ ისჯება, ბევრი მათგანი შეუმჩნეველი რჩება.

რით უნდა ავხსნათ, მაგალითად ასეთი შემთხვევა, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელსაც ევალება წერილში დასახელებულ ბოროტმოქმედებათა შესახებ ზომების მიღება სრული დუმილით უპასუხებს კორესპონდენციას? რით უნდა ავხსნათ, თუ არა თვითკრიტიკის მნიშვნელობის შეუთვისებლობით, როცა რედაქცია განმეორებით, გაზეთის საშუალებით ეკითხება ამა თუ იმ ორგანიზაციას, რა ზომებია მიღებული კორესპონდენციაში აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად და ამ განმეორებითი შეკითხვაზეც პასუხი არ ისმის? არის თუ არა ეს უპირველეს იმისათვის ხელის შეწყობა, რომ ბოროტმოქმედი წახალისდეს თავის ავკაცობაში, გააფართოვოს „მოღვაწეობა" და თან, დაუსჯელობით გათამამებულმა, დევნა დაუწყოს იმ პირს, რომელმაც მისი აზრით ის სააშკარაოზე გამოაჭენა? ყველა ამ კითხვებზე საუკეთესო პასუხს იძლევა ქვემოდ მოყვანილი კორესპონდენციის ისტორია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

„კომუნისტი"-ს 26 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო საკმაოდ ვრცელი კორესპონდენცია შორაპნის მაზრიდან სოფელ თუზის 4 წლედის გამგე ნ. ჩაფიძის შესახებ. კორესპონდენციაში აწერილი იყო ის უმგზავსოებანი, რომელთაც სისტემატიურად სჩადის სკოლის გამგე ჩაფიძე. ბრალდებები იმდენად საყურადღებო იყო, რომ ამ უმგზავსოებათა გამომჟღავნების შემდეგ ჩაფიძის სკოლის გამგეთ დატოვება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

რა მოხდა სინამდვილეში ჩვენ არ ვიცით. ცხადია ერთი. შორაპნის მაზრის სათანადო ორგანოს კრინტი არ დაუძრავს აღნიშნულ კორესპონდენციის გამო. ინსპექციის ფურცელში დაიბეჭდა შეკითხვა იმის შესახებ, რომ ს. თუზის შვიდწლედის გამგეზე მოთავსებულ კორესპონდენციაზე რედაქცია ელის პასუხს შორაპნის მაზრის სათანადო ორგანოსაგან. მას შემდეგ მალე ოთხი კვირა შესრულდება და პასუხი მაინც არ არის.

დანაშაულობაში გამომჟღავნებული ჩაფიძე კი აქედან სრულიად სწორ დასკვნას აკეთებს. სჩანს გამკითხავი არავინ არის, წერილმა აილულის წყალივით ჩაიარა. მე კი ავტორს მოვძებნი და მას ანგარიშს გაუსწორებო, ფიქრობს ის და ეძებს ჩაფიძე ავტორს. როგორც ვხედავთ, მას კიდევაც ვითომ მიუგნია იმისათვის, ჩაფიძეს მიზანში ამოუღია მასწავლებელი ჩიქვილაძე, ემუქრება მას, მოწმეებსაც კი ისწრებს ამ დამუქრების დროს. იქვეში ამოღებული მასწავლებელი ჩიქვილაძე სწერს: „მე მყავს მოწმეები, რომ ჩაფიძე მეჩემებოდა და დღესაც მეჩემება, მაგრამ, ვინაიდან პატარა კაცი ვარ და არ მინდა მასთან საქმის გამწვავება", გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ მე არა ვარ ჩაფიძის შესახებ დაბეჭდილ წერილის ავტორიო. არაფერი გასაკვირი იქნება ასეთ პირობებში, რომ ჩაფიძემ მის მიერ ნიშანში ამოღებულ კორესპონდენციის „ავტორს" უხეში საშუალებით გაუსწოროს ანგარიში, თუ კი თბილისში ნაძირალა პირებმა ბახტაძემ და ჩრეცხაძემ გაბედეს მუშკორზე ნაგანით თავდასხმა, როგორც ამის შესახებ უკვე იციან მკითხველებმა, რატომ შორაპნის მაზრის ერთ-ერთ შორეულ კუთხეში ამაზე უფრო მეტს ვერ გაბედავს სოფ. თუზში „ყოვლის შემძლე" ჩაფიძე?

ასეთი ჩაფიძეები ცოტა არ არის. ჩაფიძეს სხვა რაიონებშიაც საკმაოდ ჰყავს „თანამებრძოლნი" კორესპონდენტთა წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელ მრავალ საბუთებს შორის ჩვენ დავასახელებთ ერთ-ერთ დამახასიათებელ უსახელო წერილს, რომელიც მიიღო სოფელ ხაშმის (გარე-კახეთი) მცხოვრებმა ჭინჭველეიშვილმა.

ამ სოფლიდან ინსპექციის ფურცელში ადგილობრივ სკოლის გამგე, ნახუცარა აბრამ გოგნიაშვილზე დაიბეჭდა კორესპონდენცია შემდეგი სათაურით: „სკოლის გამგე—ქლეხის ორგანიზატორი". კორესპონდენციამ დიდათ შეაფუცხუნა გამომჟღავნებული სკოლის გამგე. მაშინვე დაიწყეს წერილის ავტორის ძებნა. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო და, აი, ეს ჭინჭველეიშვილი ღებულობს ფოსტით უსახელო წერილს. წინდაწინვე ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე ამ წერილის ნაწილობრივად გამოქვეყნებისათვისაც კი, რადგან ის უხეშ ქუჩური გინებით არის სავსე. წერილის მთლიანად მოყვანა შეუძლებელია, შეგვიპოვება ადგილები, რომელთა ბეჭდვით სიტყვით გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია.

„მე ჩათლახო, ვირიშვილო! ასე იწყება ანონიმური წერილი, რატომ გველობას არ იშლი? დედას გიტირებ, თუ შენს ქერქში არ დაეტევი... ოხ, თუ ჩაგიგდე ხელში, გვერდივით თავს გაგიჭყლეტავ! სერიოზულად გაფრთხილებ, ისე იყავი, ვითომც არა ხარ—სხვის საქმეში ნუ ერევი".

აი, მოსისხლე კლასიური მტერის ნიღაბახდილი სახე, აი, საბჭოთა საზოგადოებრივობის შეურიგებელ მოწინააღმდეგის ჭეშმარიტად „ინტიმიური" ენა. აი, გესლით და სიძულვილით ალესვე კბილების ღრჭენა ქურდულად და ზურგს უკანიდან.

თვითკრიტიკის ლოზუნგის შედარებით გაშლამ, შესაფერი გამოძახილი ჰპოვა, და აა, ამოძრავდნენ მუშა და გლეხ კორესპონდენტების მდევნელი ქვეწარმავალნი. ისინი იმდენად გათავხედდნენ, რომ ბოროტების მამხილებელ კორესპონდენტს, რომელიც მათი აზრით, თითქოს არის ჭინჭველეიშვილი, „თავის გაჭყლეტით" ემუქრებიან. „სერიოზულად" აფრთხილებენ მას, ისე იყავი, თითქოს ქვეყანაზე არც არსებობო, უკრძალავენ „სხვის" საქმეში ჩარევას.

ასეთ გამოსვლებზე ჩვენი პასუხი გარკვეულია. მუშა და გლეხი კორესპონდენტები მეტი ენერგიით განაგრძობენ „სხვის" საქმეში ჩარევას, ისინი უფრო თავდადებით შეებრძოლებიან ყოველი სახის ბოროტმოქმედებას, იმის სრული იმედით, რომ საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელთა მთელი საზოგადოებრივობის ყოველგვარი დახმარება და თანაგრძნობა მათ მხარეზე იქნება.

ჩვენ მართლაც „სერიოზულად ვაფრთხილებთ" ყველა იმათ, ვინც განიზრახავს გალაშქრებას მუშა და გლეხი კორესპონდენტის წინააღმდეგ, რომ ფრთხილად იყვნენ. მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაუნდობლად გასრესავს ყველას, ვინც წინ ეღობება მას ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

მუშგლეხკორთა მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების პირმშო შვილია. განსაკუთრებით დაუფასებელია ამ მშრომელი კალმოსნების მნიშვნელობა დღეს, თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების საქმეში. ამიტომ დაე, ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ მუშა ან გლეხ კორესპონდენტის დევნა ვინმე, ვინც არ უნდა იყვეს ის, იოლად დაუჯდება!

ერთხელ კიდევ ვეუბნებით მათ, ფრთხილად, ხელები შორს მუშგლეხკორისაგან!

კვესი.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას

გაზეთ „კომუნისტი"-ს 26 აგვისტოს ნომერში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელში, მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „კაცი, რომელსაც ყველაფერი გაუდის". წერილი ეხებოდა სოფ. თუზის შვიდწლედის გამგეს ნ. ჩაფიძეს.

მე ვიყავი და ვარ სოფლის კედლის გაზეთის „მახვილი"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი. აღნიშნულ ჩაფიძეზე კედლის გაზეთში შემოვიდა რამდენიმე წერილი. ერთი მათგანი კოლეგიამ მოათავსა გაზეთში. იმ დღიდან ჩაფიძემ მოიტანა იერიში ჩემზე. იგი სახალხოდ იმუქრებოდა: „პირველ სექტემბრიდან მას ადგილზე არ დავაყენებ"-ო. მართლაც, მე მომხსნეს სექტებრიდან. (ვმსახურობდი თავისის 4 წლედის გამგეთ).

რაც დამემართა დამემართა. მაგრამ ჩაფიძე ამ სასჯელს ჩემთვის ცოტად სთვლის. გაზეთ „კომუნისტში" (25 აგვისტოს № 197) მოთავსებული წერილის: ავტორობას მე მაბრალებს და მემუქრება. მე მყავს მოწმეები, რომ ჩაფიძე მეჩემებოდა და დღესაც მეჩემება, მაგრამ, ვინაიდგან მე პატარა კაცი ვარ და არ მინდა მასთან საქმის გამწვავება, ვსთხოვ გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას გამოაცხადოს, რომ წერილი: „კაცი, რომელსაც ყველაფერი გაუდის" მე არ მეკუთვნის და ამით მიხსნას ხელახალი ცილისწამებისა და სასჯელისაგან.

მასწ. ჩიქვილაძე.

დ. ჩხარი, შორაპნის მაზრა.

პენსია სოფლის მედიცინის მუშაკებისათვის

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა რუსეთის ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გამომუშავებული პროექტი სოფლის მედიცინის მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

პროექტი მიზნად ისახავს ერთი მხრივ სამართლიანი დაკმაყოფილება მისცეს სოფლის საექიმო მუშაკებს მათი განსაკუთრებით მძიმე შრომისათვის, მეორეს მხრივ კი—ისეთი პირობების შექმნას, რომ საექიმო მუშაკები დაინტერესებულ იქნენ, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენით სოფლად სამუშაოდ.

პროექტის თანახმად, კვალიფიციურ საექიმო მუშაკებს (ექიმები, ფერშლები, ბებია-ქალები და მომვლელები) სასოფლო ადგილას 25 წლის სამსახურის შემდეგ აქვთ პენსიის მიღების უფლება —ჯამაგირის ნახევარის რაოდენობით, ისინი კი, ვისაც კი სასოფლო ადგილას სამსახურის 35 წ. შეუსრულდება—ჯამაგირის $^{2}/_{3}$-ის რაოდენობით. თუ საექიმო მუშაკი პენსიის მიღების უფლების მოპოების შემდეგაც მოისურვებს მუშაობას, პენსია მას მიეცემა ნახევარი რაოდენობით. საექიმო მუშაკის სიკვდილის შემთხვევაში პენსია ეძლევა მის ოჯახს. პენსიის გაცემა ხდება სოფლის საექიმო მუშაკის ჯანმრთელობისა და ქონებრივი მდგომარეობისგან დამოუკიდებლად.

საბჭოების ნაწილობრივი არჩევნები

საბჭოების გადარჩევა მთა-თუშეთში

(წერილი კახეთიდან)

თემსაბჭოს არჩევნები მთა-თუშეთში დამთავრდა. არჩეულია საბჭოს 17 წევრი და 5 კანდიდატი.—საბჭოს ყოფილ წევრებს არც ერთი სხდომა არ მოუწვევიათ.—ახალმა საბჭომ დაავალა თემაღმასკომს პირველ რიგში იზრუნოს გზის გაკეთებისათვის. კობის თემში საარჩევნო კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 65 პროცენტი.

მთა-თუშეთი კახეთის მაზრას ეკუთვნის. ის მდებარეობს კავკასიონის მთების შუაგულში, იმ ადგილების მახლობლად, სადაც საზაფხულო სადგურებია. მთა-თუშეთში 36 სოფელია, რომლებიც 100 კილომეტრის მანძილზეა გაფანტული. იმ თუშების რაოდენობა, რომელნიც ზაფხული-ზამთარ რჩებიან იქ, დაახლოებით 3.000 სულს უდრის. ზამთრის პერიოდში მთა-თუშეთი ჩაკეტილია თოვლში, გვიან შემოდგომაზე და გაზაფხულშიაც მუდამ არ შეიძლება იქ ჩასვლა. საშუალოდ 5—6 თვე მთის თუშები მოწყვეტილნი არიან დანარჩენ რაიონებს.

უკანასკნელ დრომდის მთა-თუშეთის მცხოვრებნი ალვნის თემსაბჭოში შედიან. ადგილობრივ ყავდათ მხოლოდ რწმუნებული და საბჭოს წევრები (11 კაცი).

კახეთის სამაზრო აღმასკომმა აგვისტოს დამლევს მიიღო დადგენილება მთა-თუშეთში ცალკე თემის დაარსების შესახებ, რაც დაადასტურა სახკომსაბჭომ და მიმდინარე წლის სექტემბერში გაგზავნილი იყვნენ ალვნის თემის თავმჯდომარე ამხ. ცისკარიშვილი და მაზრაღმასკომის ინსტრუქტორი ხუციშვილი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად.

ზაფხულობით მთა-თუშეთში დიდძალი ხალხი გროვდება. მთელი ბარის თუშობა იქაა ცხვარით, ან ჰაერის გულისათვის საარაკოდ. ზაფხულობით აქვე ჩამოდიან ჩარჩები, იგზავნებიან მასწავლებლები საზაფხულო სკოლების მოსაწყობად, ფინაგენტები საგადასახადოთა ასაკრეფად და სხვა.

მივლინებულებმა ამხანაგებმა შეკრიბეს საბჭოს წევრები, შეადგინეს საარჩევნო კომისია, ჰყვეს მთელი მთა-თუშეთი 4 საარჩევნო უბნად: ხისოს უბანი, ომალოსი დართლოსი და [illegible].

გამოირკვა, რომ საბჭოს წევრებს არც ერთი სხდომა არ ჰქონიათ მთელი წლის განმავლობაში. რწმუნებულის მუშაობა გამოიხატა მხოლოდ ქორწინების და დაბადებულთა რეგისტრაციაში.

მოჯამაგირეების დახმარებით საარჩევნო უწყებები დროზე იქნა დარიგებული. საარჩევნო პუნქტებზე ამომრჩეველთა 40 პროც. მეტი გამოცხადდა, ეს პროცენტი ოთხმოცამდე იქნებოდა, რომ თუშებს ქალებისათვისაც ნება დაერთოთ საარჩევნო კრებებზე დასწრების, მაგრამ აქ ძველ კარჩაკეტილობას კიდევ მაგრად აქვს ფესვები გადგმული.

საბჭოში აირჩიეს 17 წევრი და 5 კანდიდატი. არჩეულთა შორის ერთად-ერთია პარტიული და ერთიც პარტიის კანდიდატია. ქალი მხოლოდ ერთად-ერთია. არჩეულთა შორის უღარიბესია 66,6 პროც., საშუალო 22,2 პროც. და მოჯამაგირე 11,2 პროც.

ახლად არჩეულმა საბჭომ დაავალა აღმასკომს, რომ უპირველესად ყოვლისა იზრუნოს საურმე გზის გასაყვანად სოფ. ფშაველიდან ს. ომალომდის, შემდეგ უნდა გახსნან სკოლები, საექიმო პუნქტი, კოოპერატივის განყოფილებები და სხვა.

საარჩევნო კამპანიის დროს აკრეფილ იქნა გასული წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელი 100 პროცენტით და მოსახლეობას დაურიგდა უწყებები ახალი წლის გადასახადის, რომელიც მთელი მთა-თუშეთისათვის უდრის 10.000 მანეთს და აიკრიფება მომავალ წლის ზაფხულში.

ე. კაკულია.

მეღვინეობა-მევენახეობა

სასოფლო მეურნეობის საქმის გასაუმჯობესებლად დაარსებულმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს ამხ. **ს. ჟულელი** დაადგინა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მოიწვიოს კიდევ ერთი სპეციალისტი და მიღებული იქნეს ზომები ადგილებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.

მავნებლებთან ბრძოლის ბიუროს დაევალა გააძლიეროს ღონისძიებები ფილოქსერის წინააღმდეგ.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა, ვინაიდან ღვინის ფალსიფიკაციის შესახებ არსებული კანონი არ სრულდება სისწორით, მოწვეული იქნეს 5 კონტროლიორი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ფილოქსერისაგან დაღუპულ ვენახების აღსადგენად კომისიამ გადასწყვიტა 1928-29 წელში მოიწვიოს სპეციალისტთა რამდენიმე თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნება ღონისძიებები ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და ახალი ვენახების გასაშენებლად. ასეთივე თათბირები მოეწყობა მევენახეობის რაიონებში მევენახე გლეხების მონაწილეობით.

საქართველოში მევენახეობის განვითარების მიზნით კომისიამ დაადგინა გაფართოებულ იქნეს მაზრებში არსებული ამერიკულ ლერწის სანერგეები. სანერგეების მუშაობისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად ადგილობრივ დაარსებული იქნება საკრედიტო კომისიები, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ მომუშავე სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტები და აგრონომები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გლეხთა კოლექტ. ამხანაგობების მოწყობას. ასეთ კოლექტივების მოსაწყობად მიწსახკომის მიერ გადადებული იქნება სპეციალური თანხები.

ამერიკულ ლერწის სანერგეებიდან კომისიის დადგენილებით, პირველ რიგში ნერგები მიეცემათ ღარიბ მევენახე გლეხებს დაკლებულ ფასებში.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა მევენახეობა-მეღვინეობისათვის გადადებული კრედიტებ პირველ რიგში განაწილებული იქნეს ღარიბ გლეხებს შორის.

კომისიამ გადასწყვიტა ფილოქსერისაგან დაღუპულ ვენახების აღსადგენად რაიონებში დაინიშნოს ინსტრუქტორები, რომლებიც საერთო დირექტივების თანახმად უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევენ გლეხებს ახალი ვენახების გაშენების საქმეში.

დასასრულ კომისიამ დაადგინა გაფართოებულ იქნეს მიწსახკომთან არსებული საფილოქსერო საბჭო.

ფლორიდინის ქარხნის აშენება

სამთო მრეწველობის ტრესტის ცნობებით, ამჟამად ფლორიდინის გადასამუშავებელი საცდელი ქარხნის აგების საქმე შემდეგ მდგომარეობაშია: მუშაობა საცდელი ქარხნის მოსაწყობად უკვე დაწყებულია და ერთი თვის განმავლობაში ქარხნის შენობა მზად იქნება 7 ნოემბრისათვის ქარხანა შესძლებს მუშაობის დაწყებას იმ ანგარიშით, რომ ყოველთვიურად მოხერხდეს 500—[illegible] ათასი ფუთი ფლორიდინის გადამუშავება. ქუთაისის საცდელ ქარხანაში დამზადებული ფლორიდინი გამოყენებული იქნება ბაქოს ნავთის საწმენდ ქარხნებში.

ქარხნის აგება და მოწყობილობის დადგმა ჯდება 28.000 მანეთი.

მეტი ყურადღება პიონერ-ორგანიზაციებს

ა.-კ. პროფსაბჭოს მოწოდება ა.-კ. პროფკავშირთა ორგანიზაციებისადმი

ა.-კ. პროფსაბჭომ მიმართა ამიერ-კავკასიის პროფორგანიზაციებს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მიუხედავად საკ. კომ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებისა, პროფკავშირები დღემდე სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პიონერ-მოძრაობას და საკმაო და სისტემატიურ დახმარებას არ უწევენ პიონერ-ორგანიზაციებს. ა.-კ. პროფსაბჭო მიუთითებს პროფორგანიზაციებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს პიონერ-მოძრაობას მშრომელთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში და საჭიროდ სთვლის, რომ პროფორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციონ პიონერ-ორგანიზაციებს და მეტი დახმარება გაუწიონ მათ. კერძოთ, ა.-კ. პროფსაბჭო ავალებს პროფორგანიზაციებს გააცხოველონ მუშაობა კავშირის წევრებს შორის პიონერ-მოძრაობისა და სოციალური აღზრდის ძირითადი ამოცანების განსამარტავად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშთა ჩაბმას პიონერ-რაზმებში, დახმარება გაუწიონ ამ რაზმებს სახელოსნოების მოწყობაში და „საშვალება მისცენ პიონერებს გაეცნონ წარმოებას.

პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოებს დაევალა თვალყური ადევნონ დირექტივების სწორად გატარების ცხოვრებაში, განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პროფორგანიზაციები სწორად ანხორციელებდნენ დირექტივებს მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა: მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების სისტემა გავრცელებულ იქნას სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალურ აპარატებზე, სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებების ცენტრალური სამმართველო აპარატებზე და იმ სახელმწიფო დაწესებულებებზე, რომლებიც იმყოფებიან სპეციალურ სახსართა ხარჯებზე. აღნიშნულ საკავშირო მნიშვნელობის ორგანოებში ხელფასის მოსაწესრიგებლად საჭირო სამუშაოთა ჩატარების გეგმას და ვადებს აწესებს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ხოლო რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოებში მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოები. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს ევალება 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის შეიმუშაოს სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის უნიფიკაციის გატარების 5 წლიანი საკავშირო გეგმა. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციას ევალება არა უგვიანეს 1929 წლის 1 მარტისა გადასინჯოს და შეასწოროს სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობათა სტანდარტული ნომენკლატურები. მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს წინადადება ეძლევათ, შეუთანხმონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა საკავშირო კანონმდებლობას სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შესახებ.

მეცნიერების მუშაკთა სექციაში

მეცნიერ. მუშ. სექციის ბიურომ ამ დღეებში განათლების მუშათა სახლში მოაწყო ორი საღამო ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად. საღამოებზე ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობის და შემოქმედების შესახებ მოხსენებები გააკეთეს პროფ. **შ. ნუცუბიძემ**, დოც. **დანელიამ** და პროფ. **პოლიექტოვმა**. მოხსენებებს მრავალი მსმენელი დაესწრო.

მეცნ. მუშ. სექციის ბიურომ თავის უკანასკნელ სხდომაზე შეიმუშავა და დაამტკიცა კულტურულ მუშაობის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მთელ რიგ ღონისძიებები, მშრომელთა ფართო მასებისათვის მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გასაცნობად და კულტურულ რევოლიუციისათვის ხელის შესაწყობად.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში განზრახულია ჩერნიშევსკის ხსოვნის საღამოს მოწყობა, როგორც განათლების მუშაკთა სახლში, ისე მუშათა კლუბებში. პოპულიარული მეცნიერული ლექციები ეწყობა აგრეთვე გლეხის სახლებში და წითელ არმიელთა ნაწილებში. თბილისის გარდა, ასეთ ლექციებს სექცია მოაწყობს პროვინციაშიც. მაგალითად პირველ ხანებში ქუთაისში და ბათომში, ხოლო შემდეგ გორში, თელავში, სიღნაღში, სამტრედიაში და ხონში მეცნიერთა მუშაკთა სექციის ძალებით გამართული იქნება სამეცნიერო პოპულიარული ლექციები მეცნიერების სხვა და სხვა დარგებიდან ამას გარდა ბიუროს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს რადიოთი პოპულიარული ლექციების გადაცემის საქმეში.

თვით სექციის წევრების კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ბიურო აწყობს განათლების სახლში ჭადრაკის მოთამაშეთა, ტურისტულ და სამხატვრო-სალიტერატურო წრეებს. ნოემბრის პირველ რიცხვებიდან მუშაობას იწყებს მარქსიზმის შესწავლის წრე.

მეცნიერების მუშაკების ერთმანეთთან დაახლოვების მიზნით განათლების მუშაკის სახლში მოეწყობა საოჯახო საღამოები. ერთი ასეთი საღამო განზრახულია ნოემბრის 20-სათვის.

ბიურომ დაადგინა ჟურნალ „განათლების მუშაკში" გამოჰყოს ცალკე განყოფილება, რომელშიაც მოთავსებული იქნება წერილები, ქრონიკა და მასალა მეცნიერების მუშაკთა და სამეცნიერო დაწესებულებათა ცხოვრებიდან და მუშაობიდან.

ა.-კ. ფინსახკომის აპარატის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა შემოწმება იმისა, თუ რამდენად არის შესრულებული ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის ის ღონისძიებები, რომელთა გატარებას ხელი უნდა შეეწყო ა.-კ. ფინსახკომის ცენტრალურ აპარატის სტრუქტურის, ფუნქციების და ანგარიშწარმოების გამარტივებისათვის.

შემოწმებამ გამოარკვია, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებათა უმეტესობა რომელიც ეხება აპარატის რაციონალიზაციას, ა.-კ. ფინსახკომის მიერ თავის დროზე იყო შესრულებული; ამასთანავე ცენტრალური აპარატის სტრუქტურის, და აგრეთვე ფინსახკომის სამმართველოების ფუნქციების და ანგარიშწარმოების გამარტივებამ შედეგათ მოგვცა ის, რომ საშტატო შემადგენლობა 1927 წლის ოქტომბრისათვის შემცირდა 80 კაცით (277-დან 197-დე).

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ის წინადადებანი კი, რომლებიც ეხებოდა ცენტრალური აპარატის ფუნქციონალურ მოქმედებას, ნაწილობრივ შეუსრულებელი დარჩა; ნაწილი ამ წინადადებებისა შესრულებული არ იყო იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ფინსახკომიდან მიღებული იქნა ახალი დირექტივები და განმარტებები, ზოგიერთ წინადადებებს კი ესაჭიროებოდა დამუშავება და ჩამოყალიბება ცენტრალურ საკავშირო ორგანოების მიერ.

აღნიშნა რა ეს გარემოება, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ფინსახკომს დააჩქაროს გამორკვევა საკითხისა იმ წინადადებების ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ცენტრალურ საკავშირო ორგანოებში.

ამასთანავე კოლეგიამ დაავალა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციებს ერთი თვის განმავლობაში შეამოწმონ, თუ რამდენად არის შესრულებული ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებანი, რომლებიც ეხება რესპუბლიკების საფინანსო აპარატის რაციონალიზაციას.

პროფმუშაობა

სასეზონო მუშებს შორის

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭომ ჩაატარა გამოკვლევა სასეზონო მუშებს შორის. გამოკვლევამ მიზნად ისახავდა პროფმუშაობის შემოწმებას ძირითად ორგანიზაციებში. გამოკვლეულ იქნა „აზნეფტსტროი"-ს, „ტექსტილსტროი"-ს და „სელსტროი"-ს მუშკომები. გამოკვლევის დროს აღმოჩენილ იქნა მრავალი დეფექტები. მაგალითად, სუსტად იყო დაყენებული მასიური და პროფესიონალური მუშაობა, სუსტად მუშაობდა აგრეთვე სადელეგატო ინსტიტუტი და ცალკე კომისიები, არ იყო შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებები ბიუროკრატიზმთან და უყაირათობასთან საბრძოლველად და მუშათა მასაც ნაკლებ იყო ჩაბმული ამ ბრძოლაში, სარევიზიო კომისიების უმრავლესობა სრულ უმოქმედობას იჩენდა, როგორც მუშკომები, ისე მუშათა ფართო მასა არ ღებულობდა მონაწილეობას მშენებლობის სამეურნეო ცხოვრებაში, უმეტეს შემთხვევაში მუშები არ იცნობდნენ კოლხელშეკრულებას, სამეურნეო ორგანოები არ ასრულებდნენ კოლხელშეკრულების ზოგიერთ მუხლებს, პროფორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ასეთ არანორმალურ მდგომარეობას და არ ღებულობდნენ ზომებს კოლხელშეკ. გასაცნობათ ფართო მასისათვის. ამასთანავე შემჩნეულ იქნა, რომ მუშებს და მათ ოჯახებს არ უწევენ საკმაო საექიმო დახმარებას, შრომის დაცვის საქმე ზოგიერთ წარმოებებში არ სდგას სათანადო სიმაღლეზე, მოიკოჭლებს საწარმოო თათბირების მუშაობა და ამ მუშაობაში არ არის ჩაბმული მუშათა მასა, ზოგ წარმოებაში ადგილი აქვს ზედმეტ სამუშაოებს, სათანადო ორგანოების ნებადაურთველად და სხვა.

დეფექტები შემჩნეულ იქნა აგრეთვე კულტმუშაობის დარგშიაც: პროფორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშაობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, არ უხსნიან მუშებს პარტიის ცალკე ლოზუნგებს, მაგალითად: სოფლად მუშაობის შესახებ, პროფკავშირთა როლს სოციალისტურ მშენებლობაში და სხვა. სუსტია მუშაობა მუშების კვალიფიკაციის ასაწევად და სათანადო ყურადღება არ ექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს.

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭომ განიხილა გამოკვლევის მასალები და პროფორგანიზაციების მუშაობა სასეზონო მუშებს შორის მეტად არადამაკმაყოფილებლად სცნო. ამიერ-კავკ. ყველა პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცა მიიღონ ზომები აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს: პროფკავშირულ დემოკრატიის და თვითკრიტიკის განვითარებას და გამოყენებას, სასეზონო მუშების კულტურული დონის აწევას, რისთვისაც უნდა გაფართოვდეს წითელი კუთხეების ქსელი, სასეზონო მუშები ჩაბმულ უნდა იქნენ საკლუბო მუშაობაში, მუშების დასვენების დროს უნდა მოეწყოს ჟურნალ-გაზეთების ხმა-მაღლა კითხვა და საუბრები, მშენებლობაზე უნდა მოეწყოს მოძრავი ბიბლიოთეკები და მოწესრიგდეს აგრეთვე კედლის გაზეთების გამოცემის საქმეც და უნდა გაძლიერდეს ინტერნაციონალური აღზრდის საქმე ცალკე ეროვნების მუშებს შორის, ამასთანავე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მუშების უფლებების დაცვას, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს კონტროლი კოლხელშეკრულების შესრულების საქმეზე და მიღებული უნდა იქნეს ზომები მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მუშების ფართო მასასთან ცოცხალი კავშირის გასაძლიერებლად.

გაზეთი, ფოსტა და სოფელი

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითი პერიოდულ გამოცემას. ეს მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უკეთ არის მოწყობილი პერიოდული გამოცემების გავრცელების საქმე.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? უნდა ითქვას, რომ, თუ მეტი არა, არასახარბიელო. ფოსტა გაზეთის გამავრცელებელი მთავარი არხია. ფოსტის მუშაობა კი ჩვენში ძალიან მოიკოჭლებს. თუ ამას არ მიექცა ყურადღება, ძნელია ბეჭდვითი პროდუქციის წარმატებით გავრცელებაზე ლაპარაკი.

რა არის ამის მიზეზი? უპირველესად ყოვლისა გზების მოუწყობლობა, ზოგჯერ კი მათი სრული უვარგისობა. ფოსტის ფუნქციების ერთ წერტილზე გაყინვა და მასთან ზოგიერთ ფოსტის მოხელეთა გაზეთის გავრცელებისადმი გულგრილობა. თუ ევროპაში ფოსტის საშუალებით ძაღლები და ცოცხალი თევზიც კი იგზავნება, თუ ევროპაში ფოსტა სცდილობს პატრონი მოუნახოს ისეთ ბარათს, რომელსაც მისამართი არ აწერია, რატომ ჩვენში არ შეიძლება თავის დროზე მიიღო დაბა-სოფლებში ბარათი და, რაც მთავარია, პერიოდული გამოცემა-გაზეთი?

გვეტყვიან, რომ ჩვენში ფოსტის განყოფილებები ძალიან მცირე რაოდენობისაა და ეს უშლის ხელს ფოსტას თავის დანიშნულებას სათანადოთ ემსახუროს. შეგვიძლია ეს გარემოება მივიღოთ ერთ-ერთ მიზეზათ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას. ფოსტის განყოფილებები, სადაც კი ისინი არიან, ხშირად ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს.

რასაკვირველია, ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი განყოფილებები დაარსდეს მთავარ პუნქტებსა და სოფლებში, მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდეს, არსებული ფოსტის განყოფილებანი უნდა შეუდგნენ ამ თავითვე თავის მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას, რომ კულტურის დენა ცენტრიდან სოფლისაკენ არ შეჩერდეს, არსად დაგუბდეს.

გაზეთების გავრცელების საქმეს, თვით პრესაც ნაკლებ ყურადღებას აპყრობს. პრესაც იშვიათად ლაპარაკობს ამის შესახებ. საჭიროა ამ საკითხის პოპულიარიზაცია, საჭიროა გაზეთის გავრცელების საქმე ყველა მშრომელს მიაჩნდეს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში. მაგრამ ვერავითარი პროპაგანდა გასჭრის გაზეთის გავრცელების საქმეში. თუ, ვიმეორებთ, ფოსტა სათანადოთ არ მოგვარდა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გაზეთები და სხვა ლიტერატურა თავის დროზე ვერ აღწევს არა თუ სოფელში, არამედ დაბებსა და ქალაქებშიც კი, ამაში ბრალი მიუძღვის როგორც ფოსტას, ისე ადგილობრივ აღმასკომებსაც. ხშირი მაგალითია, რომ ფოსტის განყოფილებებიდან სოფელში გასაგზავნი გაზეთები სამიკიტნოებში ჰყრია და ღვინის ბოთლების შესახვევად იქცევა წაკითხვამდე. ამით საშუალება ესპობა გაზეთის ხელის მომწერს მიიღოს გამოწერილი გაზეთის ყველა ნომრები. ეს გაზეთის ხელის მომწერს გულს უცრუებს და მეორე თვეში ის იძულებულია ხელი აიღოს გაზეთის გამოწერაზე. ის ასე მსჯელობს, სულ ერთია, გამოწერილ გაზეთებს თავის დროზე ვერ მივიღებ ან ნახევარზე მეტი სრულებით დამეკარგებაო.

დაკვირვებით ვიცით, რომ სოფლის მშრომელი მასები მხურვალეთ ეკიდებიან გათვითცნობიერების საქმეს. სოფლად დიდი ლტოლვაა გაზეთებისადმი.

ამ დროს კი გაზეთები დაბა-სოფლებში თავის დროზე არ მიდის. ხშირად კი მიდის, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომელიც გაგზავნილია ცენტრიდან, არამედ ამის ნახევარი ან კიდევ ნაკლები. ეს არანორმალური მდგომარეობა უსათუოდ უნდა გამოსწორდეს. ამ მიზნით საჭიროა ვიზრუნოთ ფოსტის მოხელეების სათანადოთ შერჩევისათვის, რომ გაზეთის გავრცელების საქმეს გადაულახავ ობიექტიურ პირობების გარდა, წინ არ ეღობებოდეს პირადი გულგრილობა და დაუდევრობა, რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ადგილი აქვს.

თუ გვსურს ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების საქმე სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ, ფოსტასთან ერთად უნდა მოგვარდეს რკინის გზის მუშაობის საქმეც. საჭიროა რკ. გზ. ყველა ის აგენტი, რომელსაც კავშირი აქვს გაზეთის გავრცელების საქმესთან, გაიმსჭვალოს იმის შეგნებით, თუ რა დიდ საქმეს აკეთებს გაზეთის გავრცელებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა თვით სოფლის მშრომელთა აქტიურ დახმარებას. არც ერთი დაუდევრობის თუ ბოროტმოქმედების ფაქტი, რომელიც შეეხება პრესის გავრცელების საქმეს, გამოუმჟღავნებელი არ უნდა დარჩეს.

კულტურის ცხოველმყოფელი სხივები გაზეთებისა და სხვა პერიოდულ გამოცემათა საშუალებით უნდა მოეფინოს მშრომელ გლეხობას და უნდა გაიბას კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი ნამგალსა და ჩაქუჩს შორის.

გაზეთი სოფელს თავის დროზე და უკლებლივ! აი, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების, ფოსტის, რკინის გზის და ადგილობრივი აპარატის ამოცანა.

აკ. სირაძე.

ქრონიკა

უღარიბეს გლეხობის განთავისუფლება სას.-სამ. გადასახადისაგან

ს.ს.რ.კ. ცაკ-ის 1927 წ. ოქტომბრის 15-ის მანიფესტის ცხოვრებაში გასატარებლად დაევალა ფინანსთა სახ. კომისარიატს წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს მოხსენება უღარიბეს გლეხობის განთავისუფლების შესახებ სას.-სამეურნეო გადასახადისაგან.

დემობილიზაცია-ქმნილ სამხედრო პირების სამუშაოზე მოწყობა

ამიერ-კავკასიის მთავრობის კომისია, რომელიც გამოყოფილია დემობილიზაცია-ქმნილ მეთაურების დაწესებულებებში გასანაწილებლად, ამჟამად აწარმოებს მუშაობას ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე.

მემაღაროეთა კონფერენცია

10 ნოემბრისათვის ჭიათურაში დანიშნულია მემაღაროეთა კავშირის სრულიად საქართველოს კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენება, სამთო ტრესტის მოხსენება, მარგანეცის ტრესტის მოხსენება, მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ, დელეგატების ამორჩევა მემაღაროეთა მე-8 სრულიად საკავშირო ყრილობისათვის.

სააფთიაქო სამმართველოს და ფარმაცევტიულ განყოფილების გაერთიანება

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი თბილისის მოსახლეობისათვის წამლეულობის მიწოდების შესახებ და დაადგინა წამლეულობის დამზადების საქმეში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად გაერთიანებული იქმნეს სააფთიაქო სამმართველო და ფარმაცევტიული განყოფილება.

გაერთიანების შემდეგ ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსებული იქნება სააფთიაქო-ფარმაცევტიულ ქვე-განყოფილება რომელიც უხელმძღვანელებს ქალაქში არსებულ აფთიაქების მუშაობას და მათი წამლეულობით მომარაგების საქმეს.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა შემოღებული იქნეს წამლეულობის დამზადების მექანიზაცია.

კომისიის დადგენილებით მოსახლეობისათვის წამლეულობის მიწოდების საქმის გასაუმჯობესებლად გაფართოებული იქნება არსებული აფთიაქები და აგრეთვე გადიდებული იქნება კვირა-უქმე დღეებში და ღამ-ღამეობით მორიგე აფთიაქების რიცხვი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ზოოლოგიური ბაღი.** კომუნალურ განყოფილებასთან დაარსდა ზოოლოგიური ბაღის მომწყობი კომისია.

◆ **კურსების ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება შეუდგა კურსებში (ქუთ. მაზრა) ქუჩების მოსაკირწყლავ ქვებას დამამზადებელ ქარხნის აგებას.

◆ **ახალი წყალსადენი.** თბ. აღმასკომთან ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით დაარსდა ახალი წყალსადენის საამშენებლო კომიტეტი.

◆ **ქუჩის გაფართოება.** კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოოს კომუნალური ქუჩა.

განათლების კომისარიატში

◆ **სასწავლო გადასახადი.** განათლების კომისარიატმა დაამტკიცა ახალ სასწავლო გადასახადის დებულება, რომელიც ამ დღეებში დაეგზავნებათ სახელმძღვანელოთ ადგილებს.

◆ **სტიპენდიები.** შორაპნის მაზრაღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა ზესტაფონის პედაგოგიურ კურსების 40 მსმენელს დაენიშნოს სტიპენდია.

სხვადასხვა

◆ **ინჟინერ-ტეხნიკოსთა კლუბში,** 22 ოქტომბერს ს. შეინი წაიკითხავს მოხსენებას: „დონბასის ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის პროცესი“.

◆ **შორაპნის მაზრის ბიუჯეტი** დაემტკიცებული იქნა 1.763.482 მანეთის რაოდენობით.

◆ **ქართულ ენის კაბინეტში** დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია ქართული ენის მასწავლებელთა კრება.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ვორონეჟიდან—კაშუბიანს, ხარკოვიდან—დავიდოვს, ქუთაისიდან—მამრიკიშვილს და ტყიბულიდან—ნადირაძეს.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

დისპუტი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება 23 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მართავს დისპუტს შემდეგ თემაზე: „მეიერხოლდი და ოქტომბერი ხელოვნებაში“. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **გიდონი.** დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირები: ლისოვსკი, გრ. რობაქიძე, სუტირინი, სეფი, პესიმისტი, ახმეტელი, დუდუჩავა, ფღენტი, ტატიშჩევი, ჯავიშვილი, ქიქოძე, როგოვსკი, ვერლამოვი და სხვ.

ქართულ მსახიობთა კოლექტივი

თბილისში შესდგა ქართულ მსახიობთა კოლექტივი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. კოლექტივი წარმოდგენებს გამართავს მუშათა კლუბებში. პირველ წარმოდგენას დადგამს რეპერტუარში რეჟისორი **ნ. გოძიაშვილი.** რეპერტუარში შეტანილია შემდეგ პიესები: „არლეკინი“, „ხალიფი მემკვიდრე“, „ცეკვა ბებუთით“, „კომისარი მოსკოვიდან“, „ეფიოპთა მეფე“, „კონსტანტინე ტერიოხინი“, „9 იანვარი“, „იღრიალე ჩინეთო“.

—:—

◆ **ხელოვნების სასახლეში დღეს,** სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე **კონსტანტინე გამსახურდია** წაიკითხავს მოხსენებას: „რაინერ მარიარილკე“. შესვლა არა მწერლებს შეუძლიათ მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით. დასაწყისი 8 საათ.

◆ **დ. კლდიაშვილის ავადმყოფობა.** მცხოვანი მწერალი **დავით კლდიაშვილი** ამჟამად ძლიერ ავადაა და მოთავსებულია 1-ლ კლინიკურ საავადმყოფოში.

◆ **ქუთაისის აკადემიური თეატრის** სეზონი გაიხსნება 1 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება ტოლსტოის პიესა: „კოპლია, ვცოცხლობთ“. დადგმა—**კ. მარჯანიშვილის.**

◆ **პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბთან** არსებულ ქართული დრამწრის მიერ 20 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება „ოლვევა“.

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

თბ. ფაბრიკა-ქარხნების და წარმოებების ზაჰესის ენერგიაზე გადამყვანი კომისიის ცნობით ამჟამად ზაჰესის ენერგიაზე გადაუყვანელი დარჩა მხოლოდ სპილენძის სატყეპი ქარხანა და ა.-კ. რკ. გზების ზოგიერთი წარმოებები.

თბილისის წყალსადენის ელექტროფიკაცია და მისი გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე დამთავრდება ერთ კვირაში, წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის საჭირო მოწყობილობი უკვე მიღებულია და ამჟამად სწარმოებს მათი დადგმა.

თბილისის წყალსადენის ელექტროფიკაცია ქარხნების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე დასრულდება 1929 წლის იანვრისათვის.

გარდა ამისა დაწყებულია მუშაობა იმ ფაბრიკების გადასაყვანათ ზაჰესის ენერგიაზე, რომელთა აგება ეხლა სწარმოებს. ახალი ფაბრიკების აგებისთანავე დამთავრებული იქნება მათი გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე.

საამშენებლო მასალების ბაზრის მდგომარეობა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს და უმ. ეკონომსაბჭოს გაერთიანებული სხდომა,—გაეცნო რა ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებს საამშენებლო მასალის ბაზრის გამოკვლევის შესახებ, აღნიშნა, რომ საამშენებლო მასალის ბაზრის მოწესრიგებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა არც ამიერ-კავკ. და არც რესპუბლიკანური ხელმძღვანელ ორგანოების მხრით. არ არსებობდა საამშენებლო მასალის მომარაგების რეალური გეგმა, საამშენებლო მასალის ბაზარი არ იყო სათანადოთ შესწავლილი და სხვ. მომმარაგებელი ორგანიზაციების მიერ საამშენებლო მასალაზე მოთხოვნილების დაგვიანებით წარდგენამ, გავლენა იქონია საამშენებლო მასალის მომარაგებაზე და ხელი შეუწყო ზოგიერთ საამშენებლო მასალის კრიზისის გაძლიერებას. მთლიანად არ არის გატარებული ცხოვრებაში დირექტივა ფასების დაკლების შესახებ. დირექტივა საბინაო მშენებლობისათვის მასალის შეღავათიან ფასებში დათმობის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ ტარდება ცხოვრებაში, ვინაიდან საბინაო კავშირი მასალას უმეტეს ნაწილად ფართო ბაზარზე ჰყიდის, და ბოლოს მთელ რიგ წარმოებების მიერ არ არის შესრულებული საწარმოო გეგმა საამშენებლო მასალის დამზადების დარგში.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატს წინადადება მიეცა: დროზე შეუდგეს საამშენებლო მასალის მომარაგების გეგმის შედგენას 1928—29 წლისათვის და გეგმის შედგენის დროს იხელმძღვანელოს სათანადო საკონტროლო ციფრებით; გამოიმუშავოს საამშენებლო მასალის ტვირთბრუნვის აღრიცხვის რაციონალური ფორმები და სხვა.

სასამართლო

სასამართლოს აღმასრულებელი საბრალმდებლო სკამზე

გიორგი ბაღდასარის ძე ბაღდასაროვი რამდენიმე წლის განმავლობაში ასრულებდა სასამართლოს აღმასრულებელის თანამდებობას. ჯერ იყო შრომის სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობაზე, შემდეგ იმავე თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა საბინაო სასამართლოში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა სასამართლოს აღმასრულებელთა საქმიანობის გადასასინჯათ ამა წლის დამდეგს სპეციალური რევიზია დანიშნა, რომელმაც ბევრი არანორმალურობა და ბოროტმოქმედება აღმოაჩინა აღმასრულებელის მიერ „აღსრულებულ“ საქმეში.

ბევრი აღმასრულებელი იჯდა საბრალმდებლო სკამზე. ბევრს დაუმტკიცდა სახაზინო ფულის გაფლანგვა, უფლების ბოროტად გამოყენება და სხვა დანაშაული.

ერთ-ერთ ასეთ მავნე ელემენტს სასამართლოს აპარატში წარმოადგენდა **გიორგი ბაღდასაროვი,** რომელიც არ ერიდებოდა არც სახაზინო ფულის მითვისებას და არც უფლების ბოროტად გამოყენებას.

ჩვენ ვემყარებით სასამართლოს გამოძიებით დადასტურებულ ფაქტებს.

ბაღდასაროვმა ჯერ კიდევ შრომის სასამართლოს აღმასრულებლად ყოფნის დროს გაფლანგა სახაზინო ფული. საბინაო საქმეთა აღმასრულებლად ყოფნის დროს კი უფრო მეტი „დაწინაურება“ დაეტყო ამ მხრივ. წინად თუ ათეულ მანეთობით ფლანგავდა, ეხლა ასეულებს გადააცილა.

გარდა ამისა აღმასრულებელი ბაღდასაროვი ბოროტად იყენებდა მისთვის მინიჭებულ უფლებას და მოქალაქეებს ზედმეტ პროცენტს ახდევინებდა გასამრჯელოს სახით.

ბაღდასაროვს დაუმტკიცდა როგორც სახაზინო ფულის ფლანგვა, ისე თანამდებობის ბოროტად გამოყენება და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა **1 წლით და 6 თვით.**

მსჯავრ-დადებულის ქონებას დაედო ყადაღა იმ სახაზინო თანხის ასანაზღაურებლად, რომელსაც იგი სისტემატიურად ფლანგავდა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე — ამხ. ბურკაძე, სახ. მსაჯულები — ბახტაძე და ჩიხრაძე, პროკურორი — ამხ. ბესელია.

სამართებლით ყელის გამოჭრა

საბრალმდებლო სკამზე ზის ახალგაზრდა ქალი **მატრონე ვარონკინა,** რომელმაც ა.-წ. 11 ივლისს ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის შენობაში სცადა სამართებლით ყელის გამოჭრა მძინარე ქმრის ნიკოლოზ ვარონკინისთვის.

როგორც საბრალმდებლო მასალიდან სჩანს, მატრონე ვარონკინის ქმარი ნიკოლოზ ვარონკინი, როგორც სამხედრო პირი, 1926 წელს გადაუყვანიათ სამსახურში ბაქოში, სადაც მას შეურთავს მეორე ცოლი და შეუქმნია ახალი ოჯახი.

პირველი ცოლი მატრონე ცხოვრობდა თბილისში. მიწერ - მოწერიდან, რომელიც ერთმანეთს შორის ჰქონიათ ვარონკინებს, სჩანს, რომ ქმარს გადაწყვეტილი ჰქონდა პირველ ცოლთან გაშორება.

როცა საკითხი არ გადასწყვიტა მიწერ-მოწერამ, ნიკოლოზ ვარონკინი ჩამოსულა თბილისში და პირადათ უნახავს თავისი პირველი ცოლი და მოუნდომებია საქმის ლიკვიდაცია შეთანხმებით.

მატრონე ვარონკინა ქმრის წინადადებას დიდი გულის წყრომით შეხვდა და იმ ღამეს, როცა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, მოხდა ასეთი ბოროტმოქმედება.

კინოში ყოფნის შემდეგ ქალმა უკვე განაშორებული ქმარი წაიყვანა თავის ბინაზე მოსალაპარაკებლად (!). მცირეოდენი წალაპარაკების შემდეგ ცოლ-ქმარი თითქო შეთანხმდენ.

ნიკოლოზ ვარონკინს უკვე ეძინა თავის ყოფ. ცოლის ოთახში, როცა მწვავე ტკივილი იგრძნო ყელზე და შეშინებული ზეზე წამოვარდა.

მას სამართებლით ხელში თავზე ადგა ცოლი, რომელიც აპირებდა სამართებლის მეორეჯერ ყელში გამოსმას.

მძიმედ დაჭრილმა ვარონკინმა მორთო ყვირილი, რომლის გაგონებაზე შემოცვივდენ ინსტიტუტის მოსამსახურეები და ნახეს სისხლში შეცურებული ყელგამოჭრილი ვარონკინი.

სასწრაფოდ მიღებული ზომებით ვარონკინი სიკვდილს გადარჩა.

მატრონე ვარონკინა დააპატიმრეს. სასამართლოში ვარონკინა აცხადებს, რომ მას არ უნდოდა ქმრის მოკვლა, უნდოდა მხოლოდ მისი დასახიჩრება და ბედნიერად სთვლის თავს, რომ ქმარი სიკვდილს გადარჩა.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. რ. კალანდაძე, ბრალს სდებს პროკურორი ამხ. ბესელია.

განაჩენი გამოტანილ იქნება დღეს.

ბერ.

შემთხვევები

ბავშის დაწვა

ოქტომბრის დასაწყისში ქედის მაზრის სოფელ დანდალოში (აჭარისტანი) მცხ. **შირინ ჩუტკი-ოღლიმ** თავის ცოლის დახმარებით ტყეში შეიტყუა მეზობლის ტელი-ოღლის ხუთი წლის ბიჭი და გახრწნა. შირინ ჩუტკი-ოღლი ჯერ დაიმალა, შემდეგ მივიდა ბავშის მამასთან და შეურიგდა. შირინ ჩუტკი-ოღლი დაჰპირდა ბავშის მამას 500 მანეთს ფულად, უღელ ხარს და რამდენიმე ფუთს სიმინდს. ამ შერიგების შემდეგ მეზობლებმა მოულოდნელად ნახეს დამწვარი გვამი ბავშისა, რომელსაც არავინ იცის, რა დაემართა. ეჭვი აქვთ, რომ ბავში დასწვეს გახრწნის კვალის დასაფარავად. საქმე პროკურორს გადაეცა. გამოძიება სწარმოებს. მოლა და სხვა დამნაშავენი დააპატიმრეს.

საგზაო-სატრ. სამომხ. საზ-ბის მაღაზიის გაქურდვა

16 ოქტომბერს გაქურდეს საგზაო-სატრ. სამომხ. საზ-ბის მაღაზია № 122. წაღებულია 600 მ. საქონელი. ეჭვით დაპატიმრებულია მაღაზიის გამგე ალექსანდრე პაველის ძე ალალაროვი.

დაჭრა

16 ოქტომბერს კახეთის ქ. № 63 უცნობმა პირმა დანით კისერში დასჭრა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის თივის დამამზადებელ პუნქტის გამგე ფოკა კალანდაძე.

შეპყრობა

16 ოქტომბერს შეიპყრეს მცირე წლოვანი გენადი პეტრეს ძე გირგვიანი, რომელმაც ყ. რა-ოღლის მოპარა ქურქი;—დააპატიმრეს მიხეილ ჯანგირას ძე დავიდოვი (უბინაო), რომელმაც ცენტრალურ მაღაზიაში ალექს ტერალიანს ამოართვა 30 მ.;—ქურდობისათვის შეიპყრეს სარქის ბალოიანცი (უბინაო);—ბაგრატ ხუბულავას ბინის გაქურდვისათვის დააპატიმრეს მერიკ მიკირტიჩიანცი (უბინაო);—დააპატიმრეს მარიამ ავეტიქას ასული ბზიკიანცი, რომელმაც ართაშ ყაზაროვს ამოართვა 50 მანეთი;—შეიპყრეს ნიკოლოზ არჩილის ძე ურგიშვილი, მარო ლეჟტროშვილის ბინის გაქურდვისათვის;—დააპატიმრეს ქურდი ილია ცაპელიზა (უბინაო);—შეიპყრეს მირონ აზიზ-ოღლი და ალი გუსეინ-ოღლი, რომლებმაც სადგურზე იანკო ფრის მოპარეს 300 მ. ნივთები.

რკინის გზებზე

დანიშვნა

საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამიერ-კავკასიაში ამხ. **ხაჩიევი,** გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, დაინიშნა ა/კ. ტვირთების მიმწესრიგებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ.

დაჯახება

16 ოქტომბერს სადგ. ლიხში შესვლის დროს ორთქლმავალი № 1453, რომელსაც მართავდა მემანქანე **ქოქსლაძე,** არ შეჩერდა სემაფორთან და შეიჭრა სადგურში.

ორთქლმავალი დაეჯახა სადგურში მდგომ საბარგო მატ. № 109—კუდს და დაამსხვრია ერთი ვაგონი.

სწარმოებს კვლევა-ძიება.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი

დღეს, გადაცემა იწარმოებს რკინის გზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის რადიო-სტუდიიდან.

პარასკევი, 19 ოქტომბერი

პარასკევს, 19 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრის ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი — „მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები“ — ქართულ ენაზე; საუბარი ბიოლოგიაზე — რუსულ ენაზე; ტეხნიკური კონსულტაცია; მუსიკალური ანტრაქტი; რადიო-გაზეთი თურქულ ენაზე; ოსური გაზეთი; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები — ქართულ და რუსულ ენებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — ქართულ და რუსულ ენებზე; კონცერტი სტუდიიდან.

ჭადრაკი

მაესტრო გრიგორიევისა და გოგლიძის მატჩი

მატჩის შედეგები

მატჩის უკანასკნელი, მეათე პარტიის გათამაშება დასრულდა საჭადრაკო კლუბში, გუშინ საღამოს 9 საათზე. გათამაშების გაგრძელების წინ, ორივე მოწინააღმდეგის ძალთა განწყობილება ისეთი იყო, რომ პარტია და, მაშასადამე, მატჩიც, ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, რადგან მეათე პარტიის გათამაშებამდე მაესტრო გრიგორიევსაც და გოგლიძესაც თანაბარი რიცხვის მოგება ჰქონდათ.

მაესტრო გრიგორიევი

ვ. გოგლიძე

პარტიის გაგრძელების შემდეგ გოგლიძე აჩქარდა და ზედი-ზედ დაუშვა შეცდომები, რითაც დაკარგა სამივე პაიკი. შემდეგ შავებს (გოგლიძე) მოუხდა თავდაცვის წარმოება მარტო ერთი ეტლით.

მე-78 სვლაზე გოგლიძემ დასთმო პარტია. მატჩის შედეგები ასეთია: მაესტრო გრიგორიევი—5 ნახევარი და გოგლიძე 4 ნახევარი.

მატჩის დასრულების შემდეგ მრავალრიცხოვან დამსწრეებს სიტყვით მიმართა მაესტრო გრიგორიევმა. მან აღნიშნა, რომ გოგლიძემ მატჩით მოიპოვა დიდი სახელი და ცხადჰყო თავისი საუკეთესო კვალიფიკაცია. გრიგორიევმა გოგლიძე დაახასიათა როგორც, დიდი ფანტაზიისა და იშვიათი ნიჭის მოჭადრაკე ახალგაზრდა, რომელსაც მისი აზრით დიდი მომავალი აქვს.

ორატორი ამასთანავე შენიშნავს, რომ გოგლიძეს ახასიათებს, რამოდენიმე უარყოფითი მხარე. მას აკლია სხვათა შორის დისციპლინა. უარყოფითი მხარეების გამოსწორება მისთვის ადვილია. ამავე დროს გრიგორიევი აცხადებს, რომ იგი შეეცდება, რათა გოგლიძე დაშვებულ იქნეს სრულიად საკავშირო ჩემპიონატზე.

თავის საპასუხო სიტყვაში გოგლიძე აღნიშნავს, რომ ჩატარებულ მატჩს მისთვის ჰქონდა დიდი პრაქტიკული და პედაგოგიური მნიშვნელობა. აღნიშნული მატჩის ჩატარებამ დამარწმუნა,—სთქვა გოგლიძემ,—რომ მაქვს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების უფლება და შემიძლია ვივარაუდო ჩემპიონატიდან გამარჯვებული გამოსვლა.

იგი მადლობას უხდის მაესტრო გრიგორიევს, მატჩის ჩატარებისათვის.

დამსწრე საზოგადოებამ მატჩის ორივე მონაწილე ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 66

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-20 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების (კან. კრ. 1926 წლ. № 7, მუხ. 114) მე-20 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 20. მილიციის თანამშრომლის მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულის საქმე, რომელიც გათვალისწინებულია სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-14 მუხლის „ა“ პუნქტში, მე-15 მუხლის „ა“ პუნქტში და მე-16 მუხლის „ა“ პუნქტში,—ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, ხოლო საქმე იმ დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია იმავე დებულების მე-2, 3, 4, 5, 7, 8 მუხლში, მე-14 მუხლის „ბ“, „დ“, და „ე“ პუნქტში, მე-15 მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტში და მე-16 მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტში,—ექვემდებარება სამხედრო სასამართლოს. უკეთუ აღნიშნული დანაშაული ჩადენილია უმაღლესი კომანდო შემადგენლობის პირთა მიერ, ამ დანაშაულის საქმე ექვემდებარება უზენაეს სასამართლოს,—სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 448 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულის წესისამებრ.

შენიშვნა 1: უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის დაწესებულია დისციპლინარული პასუხისმგებლობა, მილიციის თანამშრომელი მიიცემა პასუხისგებაში სადისციპლინო წესდების თანახმად.

შენიშვნა 2: ყველა დანარჩენი დანაშაულისათვის, გარდა ამა მუხლში აღნიშნულისა, მილიციის თანამშრომელი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის თანახმად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ.
ვ. ვაშაკიძე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ.
შ. მათიკაშვილი.

—:—

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი“-ს 200 (2243) №-ში ა. წ. აგვისტოს 29 გამოქვეყნებულ ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანებაში № 8 გაპარულია შეცდომა—სახელდობრ ის, სადაც სწერია „გამოცხადდეს საყვედური ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. იასონ ჯანაშიას სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. აგვისტოს 17-ის სხდომაზე გამოუცხადებლობისათვის“—უნდა იყოს „გამოეცხადოს საყვედური ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. იასონ ჯანაშიას სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. აგვისტოს 21-ის სხდომაზე გამოუცხადებლობისათვის“.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრო - მუსიკა

ლენინგრადელმა პროფ. ლ. ტერმენმა, რომელმაც გამოიგონა ელექტრო - მუსიკალური ყუთი ნიუ-იორკის სტადიონზე 12.000 კაცისაგან შემდგარ აუდიტორიის წინაშე გამართა ელექტრო - კონცერტი. ტერმენმა შეასრულა რამდენიმე ნომერი და მათ შორის სენ-სანსის არია „გედი“.

დამსწრე საზოგადოება ტერმენს ოვაციებით შეხვდა.

აერო - ფოტოგრაფია

აერო - ფოტოგრაფიამ (სურათების გადაღება ჰაერში) უკანასკნელ ხანებში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. სურათების გადაღების ამ წესს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ აგებენ სპეციალურ აეროპლანებს, მომარაგებულს ყველა მოწყობილობებით სურათების გადასაღებად ჰაერიდან. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ასეთმა აეროპლანმა, რომელიც ინგლისის მთავრობას ეკუთვნოდა, შეასრულა ისეთი სამუშაო, რომელზედაც რამდენიმე წლის წინად ოცნებობაც კი არ შეიძლებოდა. გადაიღეს გაუვალი ტერიტორია სამხრეთ - ამერიკაში, სივრცით რამდენიმე ათასი კვადრ. კილომეტრი. ეს მუშაობა შესრულებულ იქნა რამდენიმე კვირაში. წინად კი ამ საქმეს რამდენიმე თვე მოუნდებოდა. ასეთივე სამუშაოსათვის ემზადება შეერთებული შტატების გეოდეზიური სამმართველო: გადაღებული იქნება ფლორიდას აღმოსავლეთ ნაპირი, სივრცით 2.500 კვადრ. მილი.

ნარევი

ძველი ქალაქის ნანგრევების პოვნა

ასტრონომიული დაკვირვებების [illegible] ანაპიჩოს მთის მწვერვალებზე ანდებში (სამხრეთ-ამერიკა) აღმოაჩინეს ინკების (ახლანდელი პერუს რესპუბლიკის ძველ მცხოვრებთა) დღემდი უცნობი ქალაქის და ციხის ნანგრევები. ნაპოვნი ქალაქი, როგორც ჩანს, დაინგრა 600 წლით ადრე ესპანელების მისვლამდი ამერიკაში (16 საუკუნე). ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალაქი წარმოადგენს ნაყოფს იმ ცივილიზაციისას, რომელიც წინ უსწრებდა ინკების იმპერიის შექმნას.

ძველი კულტურის ეს ნაშთები პირველად შენიშნა პერუს მეცნიერთა ექსპედიციამ მიმდინარე წლის აგვისტოში, მაგრამ მისვლა ქალაქის ნანგრევებთან არ მოხერხდა, რადგან ამისათვის საჭირო იყო გადასვლა მდ. ვილკოტაზე და გზის გაკვლევა გაუვალ ტყეებში. ამის გამო ექსპედიცია დაბრუნდა კუცკოში (ქ. პერუში; ინკების იმპერიის ყოფ. სატახ. ქალ.) და სათანადოდ მომზადების შემდეგ კვლავ შეეცადა მიახლოვებოდა ნანგრევებს. ექსპედიციის 4 წევრმა გადასცურა მდინარე და ავიდა მთაზე. ერთ მკლევარს გველმა უკბინა. დანარჩენებმა შესძლეს ასვლა მწვერვალზე. (ციხის გალავანს შიგნით მათ იპოვეს ქალაქი ქვის შენობებით. ქუჩებით, ხეივნებით და სხვ.

ახლო ხანში ეწყობა ახალი ექსპედიცია ნანგრევების უფრო დაწვრილებით შესასწავლად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3), **მოწვეულია საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი.** დღის წესრიგში სდგას 1) უჯრედების ბიუროების გადარჩევის და რაიკომის საანგარიშო კამპანიის გეგმის საკითხი; 2) მიღების და გადარიცხვის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები. პლენუმს უნდა დაესწრონ რაიკომის წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, ქალაქის რაიკომის უჯრედების მდივნები და შტატგარეშე მყოფი ინსტრუქტორები.

—:—

18 ოქტომბრისათვის თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეული **უჯრედების მდივნების თათბირი გადადებულია.**

—:—

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აუწყებს მთლიან პარტკოლეგიების ხელმძღვანელებს, რომ შაბათს, 20 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია ხელმძღვანელთა სემინარი.

საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ, შაბათს, 20 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, თბ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ბინაზე (რუსთაველის პრ. № 20) შესდგება თბ. კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა. კომისიის წევრების და იმ ამხანაგების დასწრება, რომელთა ანკეტები უნდა დაამტკიცოს თბ. კომიტეტმა, სავალდებულოა.

—:—

საქ. ლენ. კომკავშირის, თბ. ორგ. ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 21 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქ. № 7) შესდგება **რაიკომის სარევიზიო კომისიის სხდომა.** სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები; გუმინა, გალუსტოვი, ბარათაშვილი, ისაგულოვი, კერესელიძე, ქორქაშვილი, რომანენკო, ივანესოვი, ნარსია და ქადაგიშვილი.

—:—

საქ. სახ. პოლიტ ინსტიტუტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი იწვევს კომკავშირის გაერთიანებულ დახურულ კრებას დღის, 18 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ს. რ. ტერსამმართველოს მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათ თანამოსამსახურე

ევგენია (ჟენია) ზაალიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან (ახანურ-ს შეს. № 4) 18 ოქტომბერს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 4554

დამწუხრებული დედა მართა, მეუღლე კატუშა პატარა ციალა და გივით, და მაგალო სიდედრი ნინო ლევანის ასული ციცქიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

ვასო მინდიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, ვერის ახალ სასაფლაოზე ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს 4 ნახ. საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4562

ღრმათ დამწუხრებულნი ქმარი აკაკი, შვილი ზინიკო, დედ-მამა ტასო და დავითი, ცული ზინა, სიძე ილიკო გოგელია შვილებით, ბიძა და ბიცოლა მიხეილ და ნატალია, ბიძის შვილები ქსენია და პეტრე, ბიძები ამბერკი და დანიელ, ბიცოლები ელენე და ვერა შვილებით და მული თამარა ქმრით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი

ვალია პროკოფის ასული მეგრელიშვილისა

გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან, კრილოვის ქ., № 5 18 ამა ოქტომბერს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 4571

---

17 ამა თვეს გარდაიცვალა

თომა აბრამის ძე მთავრიშვილი

რასაც აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს გულდამწვარნი: მეუღლე ნატალია ვასილის ასული და შვილები: კოტე და დათა. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში, გასვენება ქალ. ქუთაისში ამა თვი 19 საღამოს 5 საათ.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ბეტი ბალფური კომედიაში	მოსამსახურე ყველაფრისთვის
არფასტო	განსაკუთრებული მხატვრული სურათი ზღვის ტყვეები რეჟისორი—მ. ფ. ვერნერი. ოპერატორი—სლავინსკი	
პალასი		
სოლეი		
მინიონი	ტამილა	დიუმენის პოპულიარულ რომანის მიხედვით
აპოლო	კარმენ ბონი სურათში	ნამდვილი მამაკაცი
დარბაზი	უცხოეთ. მხატვრული სურათი	ღამის ექსპრესი
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელი 3 და 4 სერია	უპრაზია

ანონსი: მალე ახალი სურათი „ყინულის სახლი“ 0—13

სასწავლო სეზონისათვის

თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი
მზათ არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბორატორიები. არის ყოველნაირი ლაბორატორიული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები
ფასები დაკლებულია
თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ სასაფლაოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—4 ნ. 1620

ელექტრონის შუქით სამკურნალო
საექიმო კოსმეტიკის კაბინეტი
ნ. პ. გვირიშიანის

სახის გაახალგაზრდავება ამერიკელი პროფესორი დეხინევიჩის მეთოდით.
კოსმეტიკური მკურნალობა კანის ყოველგვარი დაავადებისა: ტალი, ფერჭამელა, მუწუკები, ჭორფლი, მეჭეჭა, ყვავილის ნიშნები, კანის სიმშრალე, ქონის გამოყოფა, მზის დამწვარი, ლაქები, სახის ემალი, ნიშანი, ბებერა (МОЗОЛЬ).
თმის მკურნალობა გერმანელი პროფესორების იულისბერგის და იოზეფის მეთოდით: ქერტლი, თმის ზრდა, დაცვენის და ყოველგვარი დაავადების საექიმო დარიგება კანის და თმის შესახებ.
დაარსონვალიზაცია აპარატ. teslatherm და shelton, ფარადიზაცია და ელექტროლიზაცია, სახის, კისრის, ხელების, და გულმკერდის. გამოძახება სახლში დილ. 9 ს.—11 ს. მიღება დილის 11 ს.—5 საათ. საღამოს. მისამართი: განოვის ქ. № 9 (ა. წერეთლის) ეზოში. 4487 2—1

კინო
აპოლო
დღეს და ყოველდღე
უკანასკნელად თბილისში
საუკეთესო სურათი
„ნამდვილი მამაკაცი“
კარმენ ბონის
მონაწილეობით.
ნ. 1716

ხუთშაბათს, ამა ოქტომბრის 18, საღამოს 7 საათ.
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში
(რუსთველის გამზ. № 34)
დანიშნულია
გაზეთზე ხელის მოწერის შემკრებ
აგენტების კრება
დასწრება სავალდებულოა
2—1 მთავარი კანტორა

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

7 ოქტომბერს დილით ფოთის მატარებელზე სადგურ გორსა და კასპს შუა დაიკარგა 12 წლის
დარიკო დავითულიანი
მცხ. რაჭის მაზრის სოფ. ჩორჯოში აცვია სახიანი ჩითის კაბა, ფეხზე ყვითელი ჩუსტები, აქვს მოკლე წაბლის ფერი თმა და ყელზე კი პატარა ჩიყვი (ციყვი). ვსთხოვ ყველას ვინც რაიმე იცის დაკარგულ ბავშვის შესახებ აცნობოს შემდეგი მისამართით; თბილისი თხინვალის შესახვევი № 10 ილია ბოჭორიშვილს 4533

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს 20 და კვირას 21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სასახლის ქ. 3.
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება ფარდაგები, ხალიჩები, კამოდები, ჭურჭლეულობა, შუშეულობა, უწვავი სალარო, ბუფეტები, პირისაბანები, კრაოტები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1716

БЮРО ПЕРЕПИСКИ
БАБАЛОВА
сущ. с 1909 г. ул. Коминтерна, № 6,
ПРОИЗВОДИТ
ИСКЛЮЧИТЕЛЬНО ПЕРЕПИСКУ
бумаг, а потому просит граждан за составлением дел. бумаг и юрид. и др. советами не обращаться. 4567

მათემატიკის მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და გამეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე. 6—1 4515

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშვენებას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ. საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით ავადებულთა მიღება დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის) ქ.), კადეტთა კორპუსის უკან. (25—1

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი
ამით აცხადებს, რომ 21 ოქტომბერს 28 წ. წნორის წყალზედ დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა აბრამ მინდიაშვილის მოძრავ ქონებას: რომელიც აღწერილია 3 ნოემბერს 26 წ. „ზაკტკო“-ს ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა. სია გასაყიდი ქონებისა: ერთი სართულიანი ქვიტკირის სახლი ერთი ოთახი, დახურული კრამიტით, გვერდზე მიდგმული ხის „სარაია“ 4 განყოფილებით დახურული ყავრით. ერთი დიდი და ერთი პატარა სასწორი, ერთი ხის ბოჭკა, ერთი დაზგა და ყაფაზები შეფასებული 600 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასიდან. 4556

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჭაჭიაშვილი
აცხადებს, რომ ის ზესტაფონში 22 ოქტომბერს, 25 თებერვლის ქ. დილის 10 საათ. საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის სერგო თედორეს ძე გაჩეჩილაძის მოძრავ ქონებას, სახელდობრ საკერავ მანქანას, სამოც წყვილ კაცის შეკრულ წაღას და 35 წყვილს ქალის ფეხსაცმელებს შეფასებულს 640 მან. დასაკმაყოფილებლად ვახტანგ მელიქოვის ვალისა, თანახმად ქ. თბილისის სახალხო ნოტარიუსის ა/წ. 21 მაისს №№ 1112 და 1114 აღსრულებითი წარწერისა. 4565

ქ. თბილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ჭეიშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 22 ოქტომბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 97 ლეხანოვის პრ. საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის მოქ. გოტლიბ მოლბაზის მოძრავ ქონებას: ერთი ცილინდრი სპილენძის, ერთი ჩუგუნის აბაზანი, არყის სპილენძის ქვაბი, არყის სპილენძის ქვაბი სახურავით. შეფასებულს 310 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 2 ივნისს 1928 წ. თარიღით, № 1207 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 4.563

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ექიმი
დარეჯან გ. თაყაიშვილი-
კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდკინის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8 9 საათ საღამ. 5—8 საათ. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
საღამოს 5—6 ქალებს. 25—1

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ელმ. 6—22 4364 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის
ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

კბილის ტეხნიკოსთა
კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ
ხელოვნურ კბილების ჩასმა
და
პროტეზების მომზადება.
იღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი (ფსიხოთერაპია)
ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ქორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5 - 7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი—11—78 ნ. 25—2

დავკარგე: რძის საპენსიო წიგნაკი, გაცემული ქ. ჭიათურის დამზღვევ სალაროს მიერ ტიტიკო ალექსანდრეს-ძე ქონიავას სახელზე, ჩ. გ. 4553

დავკარგე: კომუნალურ მეურნ. მუშ. კავშირის საწევრო წიგნაკი, სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, პირადობის მოწმობა, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი და ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი ვიქტორ ფილიპეს-ძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ 4552

დავკარგე: რკინისგზის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 25467 დიანოზ სტვილიას სახელზე, ჩ. გ. 4552

დავკარგე: საშვალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 2401 ვენერა სერაფიონის ასული რაზმაძის სახელზე, ჩ. გ 4561

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 11646 თ. ჩანგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4560

დავკარგე: განმუშაკთა კავშირის წიგნაკი № 25032 გრიგოლ სამსონიას სახელზე, ჩ. გ. 4557

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 1967, გლეხკომის, წითელი ჯვრის და შინა მრეწველობის კავშირის წიგნაკი სერგო ხვთისიევის სახელზე, ჩ. გ. 4558

დავკარგე: საშვალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 2201 გაცემული ქ. ზესტ. ცხრაწლედიდან და ორწლიან ეკონომიურ ფინანსიური კურსების დამთავრების მოწმობა № 48, გაცემული ქ. თბილისში არსებული სასწავლებლიდან აკაკი დიმიტრის-ძე ცხადაძის სახელზე, ჩ. გ. 4555

დავკარგე ერთი უღელი ხარკამეჩების მოწმობა № 924, მიღებული ხვთის თემ. აღმასკომიდან რაჟდენ ბურლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4558

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 534 და თამასუქი ორასი მანეთის გიორგი ღოღობერიძეს სახელზე, ჩ. გ. 4566

დავკარგე მატრიკული № 637 გაცემული თბილ. სახელ. უნივერსიტეტის - პოლიტეხნიკური ფაკულტეტიდან და პირადობის მოწმობა № 637 გაცემული ამავე ფაკულტეტის საქმეთა მართველობიდან ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე გრიგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4564

დავკარგე: ორდერი № 2221, 70 მანეთიანი ისიდორე გუგუჩიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1716

დავკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 16350 ლუბა თვალთვალაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1716

დავკარგე: ორი თამასუქის ბლანკი ორასი მანეთიანი ხელმოწერილი ანდრო და ევგენი ფიფიების სახელზე, ჩ. გ. ნ. 1716

დავკარგე: სამხედრო ნუსხა ამბაკო ოყუჯავას სახელზე ჩ. გ. ნ. 1716

დავკარგე: პროფკავშირის წიგნაკი № 20087 კაპიტონ კაკულიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1716

დავკარგე: სიღარიბის მოწმობა მანიაკ ბაღდასაროვის სახელზე, ჩ. გ. 4568

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 39489 თამარ მიხეილის ასული კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. 4569

დავკარგე: ლომბარდის ქვითრები №№ 055708, 044105, ჩ. გ. 4570

დავკარგე: პროფკავშირის საწევრო წიგნაკი დიმიტრი (დიტო) ამირანის-ძე ლომთაძის სახელზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.